

ევროპის კავშირის სამეზობლო პროგრამა

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების
სექტორების შეფასება აღმოსავლეთი
პარტნიორობის ქვეყნებში

საქართველო



ევროპის კომისიის დაფინანსებით



განხორციელდა სურსათისა და სოფლის მეურნეობის
ორგანიზაციის მიერ



FAO-ს რეგიონული ოფისი ევროპისა და ცენტრალური აზიისთვის

ბენკზურ უტკა (Benczur utca) 34.

H-1068 ბუდაპეშტი

უნგრეთი

ტელ: +36 1 4612000 ფაქსი: +36 1 3517029

ელ.ფოსტა: FAO-RO-Europe@fao.org

GCP/RER/041/EC
ENPI 2012/298-262

დაწყების თარიღი: 2012 წლის 16 ივლისი

დასრულების თარიღი: 2012 წლის 31 დეკემბერი

ეს პუბლიკაცია შეიქმნა ევროპის კავშირის დახმარებით. მის შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია FAO და იგი არ უნდა იქნეს გამოყენებული ევროპის კავშირის შეხედულებათა დემონსტრირებისთვის.

ამ პუბლიკაციაში გამოყენებული აღნიშვნები და წარმოდგენილი მასალები არ გამოხატავს გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) შეხედულებას რომელიმე ქვეყნის, ტერიტორიის, ქალაქის, ადგილის ან მისი ხელისუფლების სამართლებრივი ან განვითარების სტატუსის შესახებ, ან მისი საზღვრების სელიმიტაციის შესახებ. კონკრეტული კომპანიების ან მწარმოებელთა პროდუქციის ხსენება, მიუხედავად იმისა, არის იგი დაპატენტებული თუ არა, არ ნიშნავს იმას, რომ იგი მოწონებული ან რეკომენდებულია სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მიერ და რომ მას უპირატესობა აქვს იმავე სახის სხვა პროდუქტის მიმართებით, რომლებიც ნახსენები არ არის.

აკრონიმები

ARD	Agriculture and Rural Development აგრარული და სასოფლო განვითარება
BSEC	Black Sea Economic Cooperation შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა
BSP	Budget Support Programme ბიუჯეტის მხარდაჭერის პროგრამა
CNFA	Citizens Network for Foreign Affairs მოქალაქეთა ქსელი საგარეო ურთიერთობისთვის
EaP	Eastern Partnership - აღმოსავლეთის პარტნიორობა
EBRD	European Bank for Reconstruction and Development ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EC	European Commission - ევროპის კომისია
EU	European Union - ევროპის კავშირი
DCFTA	Deep and Comprehensive Free Trade Area ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე
DCI	Instrument for Development Cooperation განვითარების თანამშრომლობის ინსტრუმენტი
DG Agri	Directorate General for Agriculture and Rural Development აგრარული და სოფლის განვითარების გენერალური დირექტორატი
DG DevCo	Directorate General for Development and Cooperation – EuropeAid განვითარებისა და თანამშრომლობის გენერალური დირექტორატი - ევროდახმარება
DANIDA	Danish International Development Agency დანის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
ENPARD	European Neighbourhood Programme for Agriculture and Rural Development სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა
ENPI	European Neighbourhood and Partnership Instrument/ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტი
ENRTP	Environment and Sustainable Management of Natural Resources გარემოს და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა
EUD	Delegation of the European Union - ევროკავშირის წამომადგენლობა
FADN	Farm Accountancy Data Network ფერმის საბუღალტრო მონაცემთა ქსელი
FAO	Food and Agriculture Organisation of the United Nations გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია
FSP	Food Security Programme სურსათის უსაფრთხოების პროგრამა
GUAM	Organization for Democracy and Economic Development: GE, UA, AZ, MD დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია: საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა
IDP	Internally Displaced Person იძულებით გადაადგილებული პირი
INOGATE	Interstate Oil and Gas Transportation to Europe

	ნავთობისა და გაზის სახელმწიფოთაშორისი ტრანსპორტირება ევროპაში
KfW	Kreditanstalt für Wiederaufbau რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი
LEPLs	Legal Entities of Public Law საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LOC	Letter of Credit - აკრედიტივი
MCA	Millennium Challenge Account ათასწლეულის გამოწვევის ანგარიში
MCC	Millennium Challenge Corporation ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია
MDG	Millennium Development Goals ათასწლეულის განვითარების მიზნები
MoA	Ministry of Agriculture სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MoE	Ministry of Economy and Sustainable Development ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
MoF	Ministry of Finance - ფინანსთა სამინისტრო
NSA	Non-state actors - არასახელმწიფო აქტორები
PADOR	Potential Applicant Data Online Registration პოტენციურ განმცხადებელთა მონაცემების ონლაინ რეგისტრაცია
PFM	Public Financial Management საჯარო ფინანსების მართვა
SDC	Swiss Development Cooperation შვეიცარიის განვითარების თანამშრომლობა
SIF	Social Investment Fund სოციალური ინვესტიციების ფონდი
SIGMA	Support for Improvement in Governance and Management მმართველობისა და მართვის გაუმჯობესების მხარდაჭერა
SPS	Sanitary and Phytosanitary სანიტარია და ფიტოსანიტარია
SPSP	Sector Policy Support Programme სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა
SWOT	ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები, საფრთხეები
TAIEX	Technical Assistance and Information Exchange (DG General Enlargement) ტექნიკური დახმარება და ინფორმაციის გაცვლა (ზოგადი გაფართოების გენერალური დირექტორატი)
TCP	Technical Cooperation Project ტექნიკური თანამშრომლობის პროექტი
TRACECA	Transport Corridor Europe-Caucasus-Asia ევროპის, კავკასიისა და აზიის სატრანსპორტო კორიდორი
UNDP	United Nations Development Programme გაეროს განვითარების პროგრამა
USAID	The United States Agency for International Development აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო
USDA	The United States Department of Agriculture აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი

შინაარსი

აკრონიმები	5
შინაარსი	7
1. შესავალი.....	11
2. საბაზისო მონაცემები და ძირითადი მაჩვენებლები	13
3. მთავრობის პოლიტიკა სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების სექტორების მიმართ.....	27
3.1. ეროვნულ კანონმდებლობაში დარგის მდგომარეობის აღწერა და შეფასება; ...	29
3.2. სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების არსებული და დაგეგმილი სამთავრობო პოლიტიკის და/ან სტრატეგიების აღწერა და შეფასება	29
სტრატეგიის განხორციელება.....	33
2011 წელს მთავრობამ შექმნა სოფლის მეურნეობის პოლიტიკის კომისია, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო ხელმძღვანელობს, შესაბამისი სამინისტროებისა და სააგენტოების მონაწილეობით, რეგიონული განვითარების სამინისტროსა და გარემოს დაცვის სამინისტროს ჩათვლით. ეს კომისია მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სექტორის სტრატეგიის მონიტორინგისა და განხორციელების პროცესში.....	33
2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ახალი მთავრობა შეიქმნა. ახალი მთავრობისთვის სოფლის მეურნეობა უმაღლესი პრიორიტეტული სფეროა. სოფლის მეურნეობის სამინისტრო სათანადო მიმართულებით შეასწორებს სტრატეგიას. განსაკუთრებით გამოკვეთილია მომსახურების უზრუნველყოფა, მექანიზაციის ცენტრების ჩათვლით. ახალი მთავრობის მიერ სტრატეგიული პრიორიტეტების გადასინჯვის შემდეგ მოხდება სამოქმედო გეგმის დაასრულება, რომელიც, თავის მხრივ, საფუძველს შექმნის საქართველოსა და ENPARD-ს შორის ფინანსური შეთანხმების დასრულებისთვის. ვინაიდან დღევანდელ სტრატეგიაში არც ერთი დებულება არ ეხება სასოფლო განვითარებას, სწორედ ამ სფეროშია მოსალოდნელი უფრო ინტენსიური ცვლილებები.....	33
საქართველოს მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია შექმნას წინაპირობები წარმატებული, მდიდარი და ერთიანი საქართველოსთვის, სადაც ყველა მოქალაქეს ექნება ცხოვრების ღირსეული გარემო და საშუალება გახდეს მსოფლიო საზოგადოებრიობის წარმატებული წევრი.....	33
საქართველოს მთავრობა ამ მიზნების მიღწევას ცდილობდა სამუშაო ადგილების შექმნით და უმუშევრობის შემცირებით, და, ამავდროულად, პენსიონერებისა და უნარშეზღუდული პირებისათვის დამატებითი სოციალური დახმარების სისტემის შექმნით. შესაბამისად, მოდერნიზებისა და დასაქმების 2011-2015 წლების „ათპუნქტიანი გეგმა“ ორიენტირებულია ორ მიზანზე: როგორ შეიქმნას მეტი და უფრო მაღალანაზღაურებადი სამუშაო; და როგორც გაუმჯობესდეს მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობა. ეს ათი პუნქტია:	34
3.3. საქართველოს სამთავრობო პროგრამების ENPARD-ის მიდგომასთან თავსებადობის შეფასება.....	35
3.4. პოლიტიკის კრიტიკა	36
4. ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასება.....	38

4.1. სამთავრობო ინსტიტუტების მიერ ENPARD-ის მიდგომის მართვის, განხორციელებისა და მონიტორინგის მდგომარეობის შეფასება	38
4.2. სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სფეროს დაინტერესებულ სუბიექტთა მიერ ENPARD-ის მიდგომის მართვის, განხორციელებისა და მონიტორინგის მდგომარეობის შეფასება	39
4.3. სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სფეროს დაინტერესებულ სუბიექტთა ტრენინგის საჭიროების შეფასება, კერძო სექტორის ჩათვლით, ENPARD-ის მიდგომის გამოყენების ხელშეწყობის მიზნით.	40
5. არსებული მიმდინარე პროგრამების მიმოხილვა	41
5.1. დონორთა პროგრამები	41
იმის გათვალისწინებით, რომ სხვა დონორები უკვე უზრუნველყოფენ ან გეგმავენ დახმარებას გარკვეულ პრიორიტეტულ სფეროებში, ევროკავშირის სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერი პროგრამა ფოკუსირებული იქნება სექტორის სტრატეგიის კონკრეტულ ასპექტებზე, რომლებსაც მთავრობა არ აფინანსებს (როგორც ეს ხდება სასოფლო ინფრასტრუქტურის შემთხვევაში), სადაც სხვა დონორები არ აქტიურობენ და სადაც ევროკავშირი განსაკუთრებით ეფექტიანია და/ან ფუნდამენტური გამოცდილება აქვს.	44
5.2. შედეგების შეგროვება და ანალიზი.....	47
6. სუსტი სფეროები და SWOT ანალიზი	49
6.1. სექტორისთვის დამახასიათებელი SWOT ანალიზი	49
6.2. ყველაზე რელევანტური პრიორიტეტული სფეროების ჩამონათვალი.....	51
7. რეკომენდაციები მოქმედებათა შესახებ, რომლებიც შეიძლება ორმხრივ კონტექსტში განხორციელდეს.	52
7.1. სოფლის მეურნეობისა და სასოფლო სექტორის განვითარების ხარვეზების განსაზღვრა სამომავლო მოქმედებათა ფარგლებში.....	53
7.2. წინადადებები საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ამ ხარვეზების აღმოფხვრის ხელშეწყობი მოქმედებების შესახებ	54
7.3. მწარმოებელი ორგანიზაციები საქართველოში: წინადადებები ფორმირების შესახებ	57
8. რეგიონული ხარვეზების გამოვლენა, პრიორიტეტების დადგენა და რეკომენდაციები სამომავლო მოქმედებებისთვის.....	60
8.1. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სასოფლო განვითარების სექტორში რეგიონული განსხვავებების შეფასება, მეცხოველეობის სექტორის ჩათვლით	61
8.2. რეკომენდებული მოქმედებები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს რეგიონულ კონტექსტში.....	64
9. დასკვნები და მიღებული გაკვეთილები	67
9.1. მიმოხილვა	67
9.2. რეგიონის საერთო დღის წესრიგის საკითხები სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების საბჭოსთვის	68
10. მითითებები და გამოყენებული წყაროები	70
11. დანართები	72

დანართი 1: ფერმერთა მომსახურების ცენტრები (ფმც) და მექანიზაციის მომსახურების ცენტრები (მმც)

დანართი 2: ორგანიზაციული სქემა, აგრარული და სასოფლო განვითარება

დანართი 3: სემინარი, 2012 წლის 18 ოქტომბერი

1. შესავალი

1.1. სექტორის ანალიზის კონტექსტი და ამოცანა

აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნების უმრავლესობას ისეთი აგრარული სექტორი აქვს, რომელიც დიდი რაოდენობით შინამეურნეობებს მოიცავს. ისინი, საარსებო საშუალების უზრუნველსაყოფად, გარკვეულწილად დამოკიდებული არიან მცირე და დანაწევრებულ მიწის ნაკვეთებზე. მათ ბაზართან შეზღუდული წვდომა, შეზღუდული რესურსები და ზრდის შეზღუდული პოტენციალი აქვთ.

მთავრობასთან ერთად მათ ეხმარებიან დონორები (მათ შორის, ევროკავშირი და FAO), თუმცა, თანამედროვე გლობალური კრიზისი, ფასების თანმდევი სწრაფი ზრდით და სხვა შედეგებით, ნათლად მიუთითებს აგრარული/სასოფლო თემების დაუცველობაზე, რაც, თავის მხრივ, აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებისგან აგრარული პოლიტიკის ჩამოყალიბების განმტკიცებას მოითხოვს, რომელიც ორიენტირებული იქნება მცირე ფერმერებზე და ფერმერულ ორგანიზაციებზე, ხელს შეუწყობს აგრარულ სექტორში კერძო და სახელმწიფო სუბიექტებს, უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის რესტრუქტურირაციას მდგრად საფუძველზე, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოდერნიზებას და სასოფლო სივრცეების განვითარებას.

სათანადო სტრატეგიებისა და პოლიტიკის შემუშავებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აგრარული სექტორისა და სასოფლო სივრცეების ზოგად შეფასებას. ამ პროექტით გათვალისწინებული ეს კვლევა, რომელიც ადგილობრივ საზოგადოებასთან და კერძო დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციით ჩატარდა, ხელს შეუწყობს სექტორში არსებული მდგომარეობის შეფასებას, მოახდენს პრიორიტეტების, სამიზნე ქვესექტორებისა, ჩარევის სფეროებისა და ბენეფიციართა განსაზღვრას.

პროექტის საბოლოო ამოცანა შესაბამისობაშია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აგრარული და სასოფლო განვითარების პროგრამის (ENPARD) მიდგომასთან, რომელიც მიზნად ისახავს აგრარული და სასოფლო განვითარების სექტორების მხარდაჭერას, ევროკავშირის საუკეთესო გამოცდილების საფუძველზე, რომელიც მას აგრარული და სასოფლო სფეროების განვითარებაში აქვს დაგროვილი. ამ პროექტის შედეგებზე დაყრდნობით მოხდება ENPARD პროგრამებისა და მოქმედებების განსაზღვრა, შემუშავება და აღმოსავლეთი პარტნიორობის დაინტერესებულ ქვეყნებში განხორციელება.

1.2. მკვლევართა ჯგუფი

ანგარიში მომზადდა მკვლევართა შემდეგი ჯგუფის მიერ:

- EC/FAO მართვის კომიტეტი
- რიჩარდ ებერლინი, FAO სასოფლო განვითარებისა და მიწით სარგებლობის ტექნიკური ექსპერტი, REUDD
- მაგალი ჰერანზი, FAO ცხოველთა ჯანმრთელობისა უმცროსი ტექნიკური ექსპერტი, REUDD
- მარკ ლე სილერი, საერთაშორისო კონსულტანტი
- ადრიან ნილი, საერთაშორისო კონსულტანტი
- სიმუს ოგრადი, საერთაშორისო კონსულტანტი
- დრაგან ანგელოვსკი, საერთაშორისო კონსულტანტი
- ზურაბ ჩეკურაშვილი, ეროვნული კონსულტანტი

1.3. მადლიერება

სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის პასუხისმგებელი გუნდი გამოხატავს მადლიერებას ევროკომისიის მიმართ მცირე ხნიანი, მაგრამ ინტენსიური პროექტის მსვლელობის პერიოდში გაწეული დახმარებისა და ხელმძღვანელობისათვის.

ევროკომისია

განსაკუთრებული მადლობა შემდეგ პირებს: ხესუს ლავანა, იზაბელა კომბრესი და დომინიკ ოლევისსკი

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

განსაკუთრებული მადლობა შემდეგ პირებს: ხუან-ხოსე ეჩანოვი და რამონ მარია რეიგადა გრანდა

დიდი მადლობა საჯარო და კერძო დაწესებულებებსა და სამოქალაქო ორგანიზაციებს, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სამინისტროებს, რომელნიც ინტერესითა და ენთუზიაზმით ჩაერთვნენ პროცესში და მოგვაწოდეს ღირებული ინფორმაცია.

ასევე გუნდს სურს გულწრფელი მადლიერება გამოხატოს პროექტის მიმდინარეობის პროცესში გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისათვის შემდეგი პირების მიმართ:

- FAO კოლეგები საქართველოში, განსაკუთრებით მამუკა მესხი
- REU საველე პროგრამის განყოფილება, განსაკუთრებით ესტერ ბართა, აგასი ჰარუტინიანი, რაიმუნდ ელე და გორან სტავრიკი.

2. საბაზისო მონაცემები და ძირითადი მაჩვენებლები

2.1. ზოგადი კონტექსტი და ეკონომიკური ინდიკატორები

საქართველო პატარა განვითარებადი ქვეყანაა, დაახლოებით 4.5 მილიონი მოსახლეობით. იგი ძირითადად მთიანი ქვეყანაა. ჩრდილოეთით მას აკრავს დიდი კავკასიონის ქედი, ხოლო სამხრეთით - მცირე კავკასიონი. სამხრეთით კოლხეთის დაბლობს შავი ზღვა აკრავს. აღმოსავლეთით მდინარე მტკვრის აუზი იშლება. განსხვავებული რელიეფი სხვადასხვა მიკროკლიმატს ქმნის. ასევე განსხვავებულია ნალექების რაოდენობაც, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტის წარმოებისთვის.



ფართობი, სულ 6.97 მილ. კა
სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი 3.03 მილ. კა

*სახნავი მიწის ფართობი 0.802 მილ. კა
მრავალწლიანი კულტურები 0.26 მილ. კა
მინდვრები და საძოვრები 1.97 მილ. კა*

მშპ PPP (2011): \$24.86 მილიარდი
სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 9.3%
ჯინის ინდექსი (2008) 41.3

ჯინი PPP (2011) \$5,600 ერთ სულ მოსახლეზე
HDI 0.743 დაკავებული ადგილი (2011) 97th
ISO 3166-2:GE

მოსახლეობა (2011) 4.5 მილ.

მოსახლეობის ზრდა (2011) -0.327%, შობადობის
დონე: 1.46

სოფლის მოსახლეობა 46.8% (2.1 მილ.)

სასოფლო-სამეურნეო მიწა

პრივატიზებული 25%

სახელმწიფოს საკუთრებაში 75%

საქართველო დაყოფილია 9 რეგიონად და 2 ავტონომიურ რესპუბლიკად (აფხაზეთი, აჭარა); დედაქალაქია თბილისი. რეგიონები დაყოფილია 65 რაიონად, რომლებშიც 61 ქალაქი (10 რესპუბლიკური მნიშვნელობის; 4 - ავტონომიური; 46 რაიონული) და 4488 სოფელია.

2011 წელს მთლიანი ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე \$5,600 შეადგენდა, თუმცა, მოსახლეობის 25%, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს. სიღარიბის დონე განსაკუთრებით მაღალია სოფლის მოსახლეობას შორის. ჯინის კოეფიციენტი, უთანასწორობის საზომი, 2011 წელს იყო 41.3, ყოფილი საბჭოთა ქვეყნების მაჩვენებლებზე საკმაოდ დაბალი.

მოსახლეობა 1 იანვრისთვის, – 2010-2012 (ათასი)

	2010	2011	2012
მთლიანი მოსახლეობა	4436,4 (100%)	4469,2 (100%)	4497,6 (100%)
ქალაქის	2350,5 (53%)	2371,3 (53,1%)	2391,7 (53,2%)
სოფლის	2085,9 (47%)	2097,9 (46,9%)	2105,9 (46,8%)

2011 წელს უმუშევრობის საერთო დონე იყო 16.5%, ყველაზე მაღალი რეგიონში. გარდა ამისა, სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი (თვითკმარი ფერმერების ჩათვლით) თვითდასაქმებულად კლასიფიცირდება.

მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ)

	2006	2007	2008	2009	2010	2011
მეშ (მილ. აშშ დოლარი)	7,937.6	10,211.8	12,628.2	10,649.4	11,277.2	13,903.6
მეშ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	1,803.5	2,323.7	2,881.8	2,428.4	2,542.0	3,111.0

2008-2009 წლებში ქვეყანაზე ორმა კრიზისმა იქონია ზეგავლენა - 2008 წლის ომმა რუსეთთან და გლობალურმა ეკონომიკურმა დაცემამ. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, რომელიც 2006 წელს 9%-მდე გაიზარდა (მშპ - 77.62 მილიარდი აშშ დოლარი), 2008 წელს მკვეთრად დაეცა 2.3%-მდე, ხოლო 2009 წელს 3.8% იყო (მშპ - 10.77 მილიარდი აშშ დოლარი). 2010-2011 წლებში მთავრობის მიერ განხორციელებულ რეფორმებს ეკონომიკური გაჯანსაღება მოჰყვა. 2011 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 7%-ით გაიზარდა და ფართო მაკროეკონომიკურ სტაბილურობას მიაღწია. 2011 წელს ინფლაცია 8.5%-მდე ავიდა (2011 წელს - 7.1%). ფისკალური დეფიციტი მშპ-ის 6.6%-დან (2010 წელს) მშპ-ის 3.6%-მდე შემცირდა (2011 წელს). 2011 წელს გაიზარდა ორმხრივი ვაჭრობა ევროპის კავშირთან და ჯამში 2.2 მილიარდ ევროს მიაღწია; ევროკავშირის ექსპორტი საქართველოში იმპორტთან შედარებით უფრო მეტად გაიზარდა.

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)

	2006	2007	2008	2009	2010	2011
მშპ რეალური ზრდა, პროცენტი	9.4	12.3	2.3	-3.8	6.3	7.0
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (დღევანდელი ფასებით), აშშ დოლარი	1763.5	2314.6	2921.1	2455.2	2623.0	3215.4
მშპ დღევანდელი ფასებით, მილ. აშშ დოლარი	7761.7	10171.9	12800.5	10767.1	11636.5	14370.4
მშპ-ის პროცენტული სტრუქტურა						
სოფლის მეურნეობა, მონადირეობა, მეტყევეობა და თევზჭერა	12,8	10,7	9,4	9,4	8,4	9,3
მრეწველობა	17	16,5	15,5	15,4	16,1	17,3
მშენებლობა	7,9	7,8	6,4	6,5	6,1	6,2
ვაჭრობა	15,6	14,8	16,2	15,1	16,8	17,3
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	13,2	12,1	11	11,2	11,5	10,6
სხვა	33,5	38,1	41,5	42,4	41,1	39,3

სულ FDI (მილიონი აშშ დოლარი) და წილი (%) სოფლის მეურნეობაში

	2010	2011
სულ	814,5 (100%)	1 117,2 (100%)
სოფლის მეურნეობა	8,7 (1,1%)	14,9 (1,3%)


2.2. სოფლის მეურნეობა და სასოფლო სექტორი

საქართველო ტრადიციული აგრარული ქვეყანაა. მოსახლეობის თითქმის ნახევარი სოფლად ცხოვრობს, სადაც დაბალპროდუქტიული, თვითკმარი და სახევრად თვითკმარი ფერმერული მეურნეობები ცხოვრების ძირითადი წყაროა. სასოფლო-სამეურნეო მიწების მზარდი წილი გამოუყენებელი რჩება.

საბჭოთა პერიოდის სოფლის მეურნეობა, თითქმის 1990 წლამდე, მკვეთრად განსხვავდებოდა დღევანდელი მდგომარეობისაგან. იმ პერიოდში სოფლის მეურნეობის წილი ყოველწლიურად მკვეთრად იზრდებოდა, მაღალღირებული პროდუქტის წარმოების ხარჯზე, ხოლო სოფლის მეურნეობაში ექსპორტი იმპორტს 70%-ით აღემატებოდა. სამუშაო ადგილებს ქმნიდნენ პლანტაციები და გადამამუშავებელი ფაბრიკები, რომლებიც დირექტივებით მართულ მომარაგების ქსელს ემსახურებოდა. 1990 წლიდან სოფლის მეურნეობის პროდუქცია უწყვეტად მცირდება და მცირდება მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტშიც, ხოლო სოფლის მეურნეობაში იზრდება თვითდასაქმებულად კლასიფიცირებულთა რაოდენობა.

1990-იან წლებში განხორციელებული პრივატიზაციის პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა „ფერმერთა“ ნახევარმილიონიანი ახალი კლასი. ეს არის საარსებო საშუალება მიწის მცირე ნაკვეთებზე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით, სადაც მიწის მეპატრონეს თვითდასაქმებულის სტატუსს ანიჭებენ. სოფლის მეურნეობა, როგორც სექტორი, დამატებითად იყო მიჩნეული - თვითდასაქმებულის საარსებო საშუალებად ბუნდოვან ფისკალურ გარემოში. ცხადია, ეს ბუნდოვანება, წახალისებულია, რადგან 100000 (€ 42,000) ლარზე ნაკლები შემოსავლის შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადის გადახდა არ მოითხოვება.

ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის სექტორი განვითარების დახმარების კონკრეტულ რაოდენობაში იყო, და არა მხოლოდ სექტორში პოლიტიკის თუ სტრატეგიის უქონლობის გამო. მთავრობას სექტორი მიტოვებული ჰქონდა, რაც განსხვავდება ჩაურევლობის პოლიტიკისაგან, ხოლო ეკონომიკის სტრატეგიულ პრიორიტეტად იგი მხოლოდ სიტყვიერად ჰქონდა გამოცხადებული. ჩაურევლობის ამ მიდგომას თან სდევდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის უწყვეტი შემცირება, რაც გამოიხატებოდა ნათესი მიწების ფართობების შემცირებით და სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების წარმოების დაცემით.



სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში მნიშვნელოვნად მცირდება (25%-დან 1999 წელს, 9.3%-მდე 2011 წელს). სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის კლება რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული: მიწების დანაწევრება, ცოდნისა და ტექნოლოგიების გადაცემის ნაკლებობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მაღალი ღირებულება და ძვირი ფინანსური რესურსები, თანამედროვე მექანიზაციის მომსახურების უქონლობა, ბაზრებზე ცუდი ხელმისაწვდომობა და რუსეთის სავაჭრო ემბარგო, და ზოგადად დეგრადირებული სასოფლო ინფრასტრუქტურა.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულად კლასიფიცირებულთა რაოდენობა ფაქტობრივად არ შეცვლილა - 52.1% 2000 წელს და 53.1% 2011 წელს. სოფლის მეურნეობა გადარჩენის მნიშვნელოვანი საშუალებაა სოფლის მოსახლეობისთვის. ამ სექტორში დასაქმებულად კვალიფიცირებულთა შორის 95% 'წვრილი ფერმერია', რომლებსაც, ჩვეულებრივ, 1.2 ჰა მიწის ნაკვეთი და 2 ძროხა ჰყავთ. მიჩნეულია, რომ ასეთი ოჯახები მიეკუთვნებიან საარსებო საშუალებების მქონეთა ან ნაწილობრივ მქონეთა კატეგორიას. სოფლად შემოსავლების ზრდა ძირითადად გამოიწვია რემიტენციების ზრდამ, რომლებსაც საქართველოს გარეთ მცხოვრები და მომუშავე ემიგრანტები აგზავნიან, რაც სოფლის მოსახლეობაზე სოფლის მეურნეობის სავალალო მდგომარეობის ზემოქმედებას ამცირებს.

საქართველოში აგრარული სექტორი მრავალი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას. პროდუქტიულობა ძალზე დაბალია. ქვეყანაში სიღარიბის ხანგრძლივი მაღალი დონის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია საქართველოს სოფლის მეურნეობის მოდერნიზების კრახი. სავარგულების საერთო რაოდენობა 43%-ით შემცირდა. ასევე შემცირდა ერთ ჰექტარ სავარგულზე საშუალო პროდუქტის რაოდენობაც. სოფლის მეურნეობას კვლავ განსაკუთრებული როლი ეკისრება, მიუხედავად იმისა, რომ შემცირდა სექტორის წილი მშპ-ში, საგარეო სავალუტო ოპერაციებიდან მიღებულ შემოსავლებში, დასაქმების გაზრდაში და სიღარიბის შემცირებაში.

სოფლის მეურნეობის ინდიკატორები წლების მიხედვით

წელი	ნათესი ფართობი ჰა	ნათესი ფართობი % სახნავი მიწის	პირუტყვის სულადობა	დასაქმება სოფლის მეურნეობაში	სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში
1990	701,900	87.5%	4,287,000	25.2%	29.7%
1995	453,100	56.5%	2,104,300	30.6%	41.7%
2000	610,800	76.2%	2,166,000	52.1%	20.2%
2005	539,600	67.3%	2,539,600	54.3%	16.8%

2006	330,200	41.2%	2,243,100	55.6%	12.8%
2007	297,200	37.1%	1,864,900	55.7%	10,7%
2008	329,300	41.1%	1,735,600	55.3%	9,4%
2009	308,300	38.4%	1,535,500	47.3%	8.3%
2010	275,300	34.3%	1,813,000	53.4%	8.4%
2011	281,000	35.0%	1,823,000	53,1%	9.3%

სოფელი სერიოზულადაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობისაგან მიღებულ საარსებო წყაროებზე და სახელმწიფო ტრანსფერებზე. სოფლის ეკონომიკის წილი მთლიან პროდუქციაში დაბალია, მაგრამ იგი მოსახლეობის უმრავლესობისთვის დახმარების მნიშვნელოვანი საშუალებაა. ქვეყანა ძირითადად იმპორტზეა დამოკიდებული. 2010 წელს მოხმარებული ხორბლის 85% შემოტანილი იყო. სექტორის წინაშე რამდენიმე ძირითადი პრობლემა დგას: ძირითად კაპიტალდაბანდებათა შემცირება; რუსეთის მიერ გამოცხადებული ემბარგო; მსოფლიო ეკონომიკის რეცესია; კრედიტებზე შეზღუდული მისაწვდომობა (სექტორზე მთელი სესხების მხოლოდ 1% მოდის); სოფლის მეურნეობაში სათანადო კვლევითი, საგანმანათლებლო და სასწავლო სისტემის არარსებობა; საირიგაციო სისტემების და სხვა ინფრასტრუქტურის სავალალო მდგომარეობა; და შინაური პირუტყვის ფართოდ გავრცელებული დაავადებები.

სოფლად არაფერმერული სექტორი მცირეა და ძირითადად მცირე და საშუალო ზომის სავაჭრო საწარმოებისაგან შედგება. მონაცემებში სოფლისა და ურბანული საწარმოები ერთმანეთისაგან გამიჯნული არ არის. რეგისტრირებული მცირე და საშუალო საწარმოები სასოფლო არაფერმერული სექტორის შემცვლელად გამოიყენება. არაფერმერულ სექტორში, რაოდენობის თვალსაზრისით, კერძო ინდივიდუალურ პირთა მფლობელობაში მყოფი საწარმოები ჭარბობს. რეგიონებში არაფერმერულ საწარმოთა უმრავლესობა მცირე (89%) ან საშუალო (11%) საწარმოებია და მათი უმრავლესობა (77%) ვაჭრობაშია ჩართული.

სოფლის მეურნეობის პროდუქცია (მილიონი ლარი, %)

	2006	2007	2008	2009	2010
სოფლის მეურნეობის პროდუქცია - სულ	2134,2 (100%)	2250,9 (100%)	2202,9 (100%)	2072,2 (100%)	2241,8 (100%)
მემცენარეობა	911,4 (43%)	1051,7 (47%)	918,1 (41%)	868,3 (42%)	932,1 (42%)
მეცხოველეობა	1165,3 (55%)	1138,8 (51%)	1227,6 (56%)	1140,5 (55%)	1240,3 (55%)
სასოფლო-სამეურნეო მომსახურება	57,6 (2%)	60,4 (2%)	57,2 (3%)	63,4 (3%)	69,4 (3%)

სასოფლო-სამეურნეო მიწა

საქართველო 11 ადმინისტრაციულ რეგიონად და 22 კლიმატურ ზონადაა დაყოფილი. მიწისა და კლიმატური პირობების მრავალფეროვნება სასოფლო სამეურნეო კულტურების ფართო სპექტრის მოყვანის საშუალებას იძლევა. სასოფლო სამეურნეო მიწის საერთო ფართობი დაახლოებით 3 მილიონი ჰექტარია, რომელიც შემდეგნაირადაა განაწილებული: სახნავი - 27%; მრავალწლიანი კულტურები - 9%; მინდვრები და საძოვრები - 64%.

1990-იან წლებში განხორციელებული პრივატიზაციის (საკარმიდანო ნაკვეთების, კოლექტიური და სახელმწიფო მეურნეობების მიწების) პროცესის შედეგები ასე გამოიყურება: უფლებამოსილ ინდივიდუალურ პირებს საკუთრებაში უპირობოდ გადაეცათ 0.76 მილ. ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწა; 460 000 ჰა დარჩა სახელმწიფო საკუთრებაში, რომლიდანაც 300 000 ჰა იჯარით გაიცა. ამის შედეგად დაახლოებით 1 მილიონი ჰა მიწის გამოყენება დაიწყო ე.წ. 'ფერმერთა' ახალმა კლასმა. ეს ნაკვეთები მრავალ მცირე ზომის ნაკვეთად დაიყო, მიწის ტიპის შესაბამისად, რამაც მიწის ინტენსიური ფრაგმენტაცია გამოიწვია. გარდა ამისა, 1.75 მილიონი ჰა სათიბი მიწები ადგილობრივი ადმინისტრაციების ბალანსზე დარჩა, რომლებსაც ადგილობრივი თემები სათიბად იყენებენ. მოსახლეობას შეუძლია გამოიყენოს საძოვრები, რისთვისაც მცირე წლიური გადასახადია დაწესებული. საძოვართა უმრავლესობა დეგრადირებული და გადაძოვილია.

მიწის პრივატიზაციის პროცესის შედეგად სოფლის მეურნეობა არსებობის საშუალებად იქცა, რის გამოც ნახევარ მილიონზე მეტი მიწის მფლობელი თვითდაქირავებულ ფერმერთა კატეგორიაში მოექცა. სოფლის მეურნეობამ, როგორც სექტორმა, დამხმარის ფუნქცია შეიძინა და სოფლად საარსებო საშუალებად იქცა. მიწის პრივატიზაციის შედეგად ელოდნენ, რომ მოხდებოდა მიწის ნაკვეთების თანდათანობითი კონსოლიდაცია იჯარის პროცესისა და ფუნქციონირებადი მიწის ბაზრის მეშვეობით. დინამიკა ამ მიმართულებით არ განვითარდა; კვლავ მასიური ხასიათი აქვს მიწის მცირე ნაკვეთების კულტივაციას.

სასოფლო სამეურნეო მიწების 75% კვლავ სახელმწიფოს საკუთრებაა, მაგრამ მათი გაყიდვა დასაშვებია. საქართველოს მთავრობა მიწას ინტერნეტში საჯარო აუქციონის წესით ყიდის ([www. privatization.ge](http://www.privatization.ge), www.eauction.ge). სახნავი მიწების 55% უკვე პრივატიზებულია.

სასოფლო-სამეურნეო მიწა (ათასი ჰექტარი)

	სულ	სახნავი	მრავალწლიანი	მინდორი	საძოვარი
სულ	3025,8	801,8	263,8	143,8	1796,6
პრივატიზებული	767,3	438,5	180,5	44	99,8
სახელმწიფო საკუთრება	2258,5	363,3	83,3	99,8	1712,1

სასოფლო-სამეურნეო მიწა ('000 ჰა)	პრივატიზებული ('000 ჰა)	წილი (%)
3 025,8	767,3	25%
სახნავი ('000 ჰა)		
801,8	438,5	55%

2005 წელს ჩატარებული სოფლის მეურნეობის აღწერის შესაბამისად საქართველოში 700 000 სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთია. მათი 99% საოჯახო ფერმებადაა კლასიფიცირებული. ფერმერულ სექტორში მცირე კერძო ფერმები დომინირებს. 93%-ს 2 ჰა-ზე ნაკლები მიწა აქვს. ერთი ფერმის საშუალო ფართობია 2.3 ჰა. ნაკვეთების 82% არსებობის საშუალების კატეგორიას მიეკუთვნება, 18% არსებობის ნაწილობრივი საშუალების ან კომერციული ნაკვეთის კატეგორიას.

მიწის ნაკვეთების საერთო რაოდენობა და მათი სტრუქტურა.

ყველა მიწის ნაკვეთი	საოჯახო ფერმები	სოფლის მეურნეობის საწარმოები	სხვა ნაკვეთები
729 542 (100%)	728 247 (99,8%)	820 (0,1%)	475 (0,1%)
მიწის ნაკვეთები წარმოების მიზნის მიხედვით			
ყველა მიწის ნაკვეთი	საარსებო საშუალებად გამოყენებული	ნაწილობრივ საარსებო საშუალებად გამოყენებული	მითითებული არ არის
729 542 (100%)	594 858 (81,5%)	129 498 (17,8%)	5 186(0,7%)

მთავრობამ მნიშვნელოვნად გააფართოვა კერძო მფლობელობაში არსებული მიწის ფართობები. 2008 წლის ბოლოს მთელი სასოფლო-სამეურნეო მიწების 32%, ანუ სასოფლო-სამეურნეო მიწების 78%, საძოვრების გამოკლებით, კერძო საკუთრებაში გადავიდა. მთავრობა მიწის პრივატიზაციის გაგრძელებას აპირებს.

მთავრობამ მიწის რეგისტრაციის მაღალეფექტური სისტემა დააფუძნა, მაგრამ ადრე გაფორმებულ დოკუმენტებში მრავალი შეცდომაა, რომლებსაც გასწორება სჭირდება, რაც აუცილებელია მომავალში უფრო აქტიური მეორადი მიწის ბაზრისთვის. გარდა ამისა, ამ ბოლო დროს განხორციელებული ტყის იჯარით გაცემის პრაქტიკა ტყის კარგი და გრძელვადიანი მართვის უზრუნველსაყოფად საკმარისი არ არის. სასოფლო-სამეურნეო მიწის დინამიკის, მფლობელობისა და გამოყენების შესახებ სტრუქტურირებული და სანდო ინფორმაცია არ არსებობს.

სასოფლო-სამეურნეო მიწის მზარდი წილი გამოუყენებელი რჩება. არსებული სტატისტიკიდან, ანგარიშებიდან და სავსე ვიზიტებიდან ნათლად ჩანს, რომ სახნავი მიწების დიდი ნაწილი დათესილი/გამოყენებული არ არის (130 000 ჰა, ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში). გარდა ამისა, ცხადია, რომ მრავალი მიწის მეპატრონე ამ ადგილებში აღარ ცხოვრობს, არც მიწას იყენებს და არც სხვას აძლევს მისი გამოყენების საშუალებას. მიწას ფასი არა აქვს, რადგან 5 ჰექტარზე ნაკლები მიწის ფართობზე მიწის გადასახადი არ არის.

ბოლო ათი წლის განმავლობაში მთავრობა მიუთითებდა, რომ სოფლის მეურნეობის რენტაბელობის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი დანაწევრებული მიწის ნაკვეთები იყო (რომელთა გამოყენება დამხმარე დანიშნულებით შეუძლებელია), რომელთა 80% მუშავდება მინიმალური დანახარჯებით. ამ პრობლემის მოსაგვარებლად მთავრობამ გადაწყვიტა ყურადღების ცენტრში მოაქციოს უფრო მსხვილი ფერმერები,

რომლებსაც პროდუქტიულობის გაზრდის უკეთესი შესძლებლობა აქვთ და უკეთ უზრუნველყოფენ მოსავლის ექსპორტისა და იმპორტის ჩანაცვლებას.

ინფრასტრუქტურა

საქართველოში საირიგაციო სისტემა თავისი განვითარების კულმინაციის დროს თითქმის 500 000 ჰექტარს მოიცავდა, ხოლო 1990 წელს - 386 000 ჰექტარს. დღეისათვის იგი 73-80 ათას ჰექტარს ფარავს, ანუ ქვეყნის დამუშავებული მიწის ფართობების დაახლოებით 25 პროცენტს. ეს მაჩვენებელი 33%-მდე გაიზრდება, თუკი სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმატებით შეასრულებს ირიგაციის გაფართოების გეგმას. ამ დროს კი საირიგაციო სისტემები ნადგურდება. მათი მნიშვნელოვანი ნაწილის რეკონსტრუქციას დონორები აფინანსებენ. ამავდროულად, ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში დაიწყეს წყლის მომხმარებელთა ორგანიზაციების შექმნა, მაგრამ ამ პროცესს არაერთგვაროვანი შედეგები აქვს.

მთავრობის სტრატეგია ითვალისწინებს უფრო ეფექტიანი საირიგაციო სისტემების თანდათანობით განვითარებას, როგორცაა, წვეთოვანი და მბრუნავი სისტემები, რომლებსაც შეუძლია მნიშვნელოვნად აამაღლოს ნაყოფიერება და ფარგლები. იგი ხელს შეუწყობს მიწის ფასის ზრდას და მიწის ბაზრის განვითარებას, ინვესტირების გონივრული წრის შექმნას და ბაზარზე ორიენტირებულ რეფორმას.

ამ მიდგომის პრობლემა არის ის, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობის ინვესტიციები დღეისათვის საკმარისი არ არის (მოკლევადიანიდან საშუალოვადიან პერსპექტივაში) იმისთვის, რომ მნიშვნელოვნად შეცვალოს მიწის მფლობელობის მთელი სტრუქტურა. ძვირადღირებულ და ხარისხიან საირიგაციო სისტემებზე მისაწვდომობამ შეიძლება ხელი შეუწყოს შიდა ინვესტიციებს, თუმცა, მოსალოდნელი არ არის, რომ იგი უახლოეს მომავალში ზეგავლენას იქონიებს მცირე ფერმერთა უმრავლესობაზე. მიზანი არის უფრო ფართომასშტაბიან და ეფექტიან სოფლის მეურნეობაზე გადასვლა, რეალობის დაძლევა, რომელიც გლეხური სოფლის მეურნეობაა.

სასოფლო-სამეურნეო მომსახურება

დღეს სოფლის მეურნეობის დახმარების სამსახურები წარმოდგენილია მომსახურების მიმწოდებელი ურთიერგადამკვეთი ფუნქციების მქონე ორგანიზაციებით, რომლებიც სოფლის მეურნეობაში წვლილის შეტანის მიზნით მოქმედებენ. ეს არის განვითარების ორგანიზაციები, მათ შორის, CNFA (მოქალაქეთა ქსელი საგარეო ურთიერთობებისთვის), Mercy Corps, CARE, გაეროს განვითარების პროგრამა; კერძო კომპანიები, როგორცაა, ქართლი ჰოლდინგი და მობლექსი; და სამთავრობო დაწესებულებები, როგორცაა, საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია.

მექანიზაციის საშუალებათა უზრუნველყოფაში ძირითადად ჩართულია ათასწლეულის გამოწვევა საქართველო/აგრობიზნესის განვითარების აქტიობა, აგრეთვე აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) CNFA, რომლებიც, მექანიზაციის პროექტების მეშვეობით მხარს უჭერენ მექანიზაციის მომსახურების

ცენტრების შექმნას. საქართველოს მთავრობამ, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას სხვადასხვა პროექტების მეშვეობით უზრუნველყოფს, ქსელის სწრაფი გაფართოება დაიწყო, რომლის მეშვეობითაც იგი სოფელს ტექნიკას აწვდის.

2009 წელს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შექმნა კომპანია „მექანიზატორი“. დღეისათვის ეს ორგანიზაცია სასოფლო-სამეურნეო მომსახურების ბაზარზე მიწოდების 30%-ს უზრუნველყოფს. მისი მოგება 2010 წელს 1.2 მილიონი ლარი (673 000 აშშ დოლარი) იყო, რაც 2011 წელს გასამმაგდა და 3.6 მილიონი ლარი (2.1 აშშ დოლარი) შეადგინა (დანართი 1). თუმცა ‘მექანიზატორის’ მიმართ კერძო სექტორისა და დონორთა დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. მიუხედავად იმისა, რომ მომსახურების მიმწოდებელი მრავალი კერძო ორგანიზაცია პირდაპირ კონკურენციას არ აწყდება (რადგან ყურადღება უფრო დიდ ფერმერებზეა გადატანილი და უფრო მაღალფასიანი მომსახურების შეთავაზებაზე), მათ მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს კომერციული მომსახურების უზრუნველყოფაში.

მთავრობის მიერ განხორციელებულმა მექანიზაციის პროგრამამ ხელი შეუწყო საქართველოში მექანიზაციის მიმწოდებელი რამდენიმე ორგანიზაციის შექმნას, მაგრამ პროგრამამ ვერ შექმნა კარგი საფუძველი მექანიზაციის მომსახურების გრძელვადიანი განვითარებისთვის. მთავრობამ სხვადასხვა სიტუაციებში მრავალჯერ აღნიშნა, რომ უნდა მოხდეს სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი მომსახურების ცენტრების პრივატიზება.

იჯარის სისტემა თავისი განვითარების ადრეულ ეტაპზეა და დღეისათვის სოფლის ფინანსირებისთვის მნიშვნელოვან წყაროს არ წარმოადგენს. საჭიროა სათანადო ყურადღება მიექცეს საიჯარო კომპანიების დაბეგვრასთან დაკავშირებული კანონმდებლობის რეფორმას.

ინვესტირება სოფლის მეურნეობაში

სოფლის მეურნეობაში ინვესტირება პრობლემურად მიიჩნევა, მიუხედავად იმისა, რომ სათესლე მასალა, სასუქი და პესტიციდები ხელმისაწვდომია გონივრულ ფასში. როგორც ჩანს, ამ სახის ინვესტიციები ძირითადად ხელმისაწვდომია, რადგან, ფერმერთა უმრავლესობა ამბობს, რომ მათ შეუძლიათ ამ საშუალებათა შექმნა. ყველაზე დიდი პრობლემა ხარისხი და ცოდნაა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმისაწვდომია სათესლე მასალა, სასუქი და პესტიციდები, ისტორიულად არსებობს ხარისხის პრობლემა, რადგან ძირითადად გამოიყენება იაფი და პოტენციურად დეგრადირებული პროდუქტი. ასევე, კვლავ პრობლემას ქმნის პროდუქციის ფალსიფიცირება.

ფერმერთა უმრავლესობა მეურნეობას შერჩევის გარეშე ეწევა და მათ არასაკმარისი განათლება აქვთ, ან სულაც არა აქვთ განათლება სოფლის მეურნეობის სფეროში. სწორედ ამიტომ, მათ შეიძლება არც იცოდნენ რა უპირატესობა აქვს ერთ პროდუქტს მეორესთან შედარებით. მაშინაც კი, როდესაც მათ ესმით, რომ მაღალხარისხიან

პროდუქტს მოგების მოტანა შეუძლია, შეიძლება არ იცოდნენ როგორ გამოიყენონ მოცემული პროდუქტი მოგების უზრუნველსაყოფად. მაგალითად, ფერმერმა შეიძლება იცოდეს, რომ მას 'სასუქი' სჭირდება, მაგრამ შეიძლება არ იცოდეს რომელი სასუქი სჭირდება და როგორ გამოიყენოს იგი. ამის შედეგად, ნაცვლად იმისა, რომ მაღალხარისხიანი პროდუქტიდან მიიღონ მოგება, ხშირად ამ მოგების რეალიზება არ ხდება.

2011 წელს მთავრობამ ხორბლისა და სიმინდის სათესლე მასალის გავრცელების პროგრამის განხორციელება დაიწყო საგანგებოდ შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მქონე საწარმოს მეშვეობით. 2011 წელს, პიონერის ჯიშის ჰიბრიდული სიმინდისა და იაგერის ჯიშის ხორბლის თესლის გავრცელებისას ფერმერებმა ისინი კომერციულ ფასად, კონსიგნაციის წესით შეიძინეს. სათესლე მასალის საფასური მოსავლის აღების შემდეგ უნდა გადაეხადათ. შედეგები, საუკეთესო შემთხვევაში, არაერთგვაროვნად შეიძლება შეფასდეს. პროგრამა, როგორც ასეთი, არც დონორმა და საერთაშორისო საზოგადოებრიობამ მოიწონა, რადგან მიჩნეულ იქნა, რომ იგი ზიანს აყენებდა ისედაც მყიფე საბითუმო მიწოდების ინვესტირებას. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ასევე დაარიგა საწვავი და სასუქი (20 ლიტრი საწვავი და ერთი ტომარა სასუქი).

მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვი და ვეტერინარული სამსახური

აგრარული სექტორის მსგავსად, ვეტერინარული სამსახურის უზრუნველყოფაც ფართომასშტაბიან პრივატიზაციას დაექვემდებარა. დღეისათვის მომსახურების უზრუნველყოფაში სახელმწიფოს როლი საგრძნობლადაა შემცირებული. დანახარჯების შემცირების მიზნით და ეკონომიკაში ჩაურევლობის პრინციპის ფართოდ გამოყენების შედეგად, ვეტერინარულ სექტორში 2005 წლის რეფორმის შემდეგ დაავადებათა პროფილაქტიკის, გამოვლენისა და მკურნალობის პასუხისმგებლობა ძირითადად კერძო სექტორს დაეკისრა. ამ სფეროში სახელმწიფოს მცირე ჩართულობა ნათლად მიუთითებს პრივატიზაციის ფარგლებზე. დღეისათვის მთავრობას მთელი ქვეყნის მასშტაბით 125 ვეტერინარი ჰყავს დაქირავებული, ხოლო სურსათის ეროვნული სააგენტო (რომელიც ვეტერინარიაზე პასუხისმგებელი) ბიუჯეტიდან ყოველწლიურად მთელი ქვეყნისთვის 1.2 მილიონ ლარს (725 000 აშშ დოლარს) გამოყოფს 'ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკისთვის'.

ცხოველთა დაავადებების მონიტორინგის, პროფილაქტიკისა და მკურნალობის ამოცანების კერძო ვეტერინარებზე დაკისრება სხვადასხვა სახის პრობლემებს ქმნის. პრობლემა ის არის, რომ კერძო ვეტერინარებს შეუძლიათ ეფექტიანად გაუმკლავდნენ დაავადების ინდივიდუალურ შემთხვევებს, მაგრამ ეროვნული მონიტორინგისა და დაავადებათა მკურნალობის ეროვნული გეგმებისთვის სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურაა საჭირო, რასაც სახელმწიფო დაფინანსება სჭირდება. მაგალითად, ღორის ჭირი, ბრუცელოზი, თურქული და მრავალი სხვა დაავადება სამთავრობო ვეტერინართა ჩარევას მოითხოვს, რომლებსაც, დაავადების იდენტიფიცირების შემდეგ, ფერმებში კარანტინის გამოცხადებისა და დაავადებული

ცხოველების განადგურების უფლებამოსილება აქვთ, კომპენსაციის სათანადო სქემის საფუძველზე.

ცხოველთა ჯანმრთელობაზე ასევე უარყოფითად მოქმედებს ისიც, რომ მსხვილფეხა პირუტყვს მცირერიცხოვან ჯგუფებად ინახავენ. საქონელი, ცხვარი და ღორები, რომლებიც უფასო სამოვრებითა და ფურაჟით იკვებებიან სახელმწიფო და სათემო მიწებზე, ადვილად ექვემდებარებიან გადამდებ დაავადებებს, რითაც ფუჭი ხდება კონტროლისა და დაავადების აღმოფხვრის ღონისძიებები.

დღევანდელი ვეტერინარული სისტემით გამოწვეული მეორე პრობლემა არის ის, რომ ნათელი არ არის, შეუძლია თუ არა მას კარგი მოვლა უზრუნველყოს მდგრადი ფორმით. პროფესიონალ ვეტერინართა უმრავლესობა ხანდაზმულია. ისინი არ არიან მიჩვეული კერძო სექტორში მუშაობას, ხოლო 2011 წლიდან მათ ვეტერინარად მუშაობისთვის აკრედიტაცია აღარ სჭირდებათ. ყოველივე ამის შედეგად ძნელია მომსახურების ხარისხის შეფასება.

ვეტერინარულ მომსახურებასთან დაკავშირებული პრობლემების გამწვავებას იწვევს ის, რომ ქართველი ფერმერებს ზოგადად ცუდად ესმით ცხოველთა დაავადებების საკითხი. უმრავლესობას ამ სფეროში განათლება არა აქვს; ასევე არა აქვთ საიმედო ინფორმაცია და არ ღებულობენ კოსულტაციებს. ამის შედეგად ისინი ვერ ახერხებენ მეცხოველეობის კარგი პრაქტიკის ელემენტარულ შეფასებას, რაც საქართველოში ცხოველთა დაავადებებთან დაკავშირებული პრობლემების გამწვავებას იწვევს.

პრობლემა კიდევ უფრო გაართულა ბოლო წლებში მეცხოველეობის სექტორში გავრცელებულმა ცხოველთა და ზოონოზურმა¹ დაავადებებმა, კერძოდ, ღორის გრიპმა, თურქულმა, ქათმის გრიპმა, ბრუცელოზმა, ციმბირის წყლულმა და ცოფმა, რის შედეგადაც შინაური პირუტყვის გარკვეული ნაწილი მნიშვნელოვნად დასუსტდა. სამწუხაროდ მთავრობამ ვერ შეძლო ამ დაავადებათა კონტროლისა და აღმოფხვრის ღონისძიებების გატარება. ამასთან ერთად, ცხოველთა დაავადების კონტროლის სფეროში არსებული გაურკვეველობა აფერხებს ინვესტიციებსა და კვლავწარმოებას.

მეცხოველეობის სექტორში დაბალი პროდუქტიულობა ძირითადად გამოწვეულია ცხოველთა ჯიშების ცუდი სტრუქტურით, რომლებიც კერძო მფლობელებს/შინამეურნეობებს ჰყავთ, და რომლებიც პირუტყვის უდიდეს ნაწილს შეადგენს (გარდა ფრინველისა). ეს არაპროდუქტიული ჯიშები, რომლებიც ტრადიციულად უფასო სამოვრებზე იკვებებიან, მართვის გარეშე მიტოვებული სახელმწიფო და სათემო მიწებზე გადამოვას იწვევს. ახლომდებარე გადამოვილი მიწებების ნაყოფიერება ვერ უზრუნველყოფს ხორცის ნამატის ან წველადობის ზრდისთვის საჭირო კვებას.

¹ ბიოუსაფრთხოების მე-3 სონის დიაგნოსტიკის ლაბორატორია, და სამხრეთი კავკასიის ეპიდემიოლოგიისა და ლაბორატორიული ტრენინგის პროგრამა დაფუძნებულია თბილისში, საქართველოს დაავადებთა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრში.

რძე და ხორცი ყველაზე ღირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტია. მერძევე პირუტყვის ყოლა კვლავ ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. ოჯახში ძირითადად ერთი ძროხა ჰყავთ. ჭარბ რძეს, თუკი აქვთ, ჰყიდიან. შემოდობილი ტერიტორიები არ არსებობს. ამის გამო პირუტყვი საერთო სამოვრებზე ერთად, ნახირის სახით, არა ჰყავთ. მათ ხელით წველიან და ინდივიდუალურად ინახავენ, შინამეურნეობების ეზოებში.

საქართველო	რძე	ხორცი	ყურძენი	
	0.58	0.03	0.12	მილიონი ტონა
	0.18	0.08	0.07	0.33 მილიარდი აშშ

შესაბამისად, რძის მიწოდება სეზონურ ხასიათს ატარებს - ზაფხულში რძის რაოდენობა მეტია, ხოლო ზამთარში საგრძნობლად იკლებს, ზამთრის საკვების გამო. მეცხოველეები მსხვილფეხა პირუტყვს მაღალხარისხიან საკვებს არ აძლევენ. ისინი ძირითადად უფასო ან ძალიან იაფი სამოვრებით კმაყოფილდებიან, ზამთარში - თივით. ამის გამო არა მხოლოდ წველადობაა დაბალი, არამედ ძალზე ძნელია კონკურენტუნარიანი ხორცის წარმოებაც. ეს ნაწილობრივ მოთხოვნის, და ნაწილობრივ - მიწოდების პრობლემითაა გამოწვეული. პირუტყვის საკვებზე მოთხოვნა დაბალია, ძირითადად ფინანსური საშუალებების ნაკლებობისა და მაღალ რისკთან დაკავშირებული სოფლის მეურნეობის ინვესტიციებისადმი უარყოფითი განწყობის გამო. მდგომარეობა გამწვავებულია, რადგან ადგილობრივ დონეზე საქონლის მაღალი ხარისხის საკვები მცირე რაოდენობით იწარმოება, ამიტომ ფერმერები იძულებული არიან მცირი იმპორტირებული საკვების იმედზე იყვნენ.

გადასახადი და მარეგულირებელი სტრუქტურა

გადასახადები და მარეგულირებელი სისტემა მიწის გამოყენებისა და მცირემასშტაბიანი წარმოების არსებული მახასიათებლების შეცვლისთვის რაიმე სტიმულებს არ ქმნის. ქონების გადასახადი მხოლოდ მიწის ნაკვეთებზეა დაწესებული (ქონების გადასახადი: რეგიონის, მიწის ტიპისა და ხარისხის მიხედვით: სამოვარი 2-დან 5 ლარამდე; სასოფლო-სამეურნეო მიწა 8-დან 57 ლარამდე), რომელთა ფართობი ხუთ ჰექტარს აღემატება, მიუხედავად იმისა, მიწას იყენებენ თუ არა. გარდა ამისა, მიწის ინდივიდუალური მფლობელები, რომლებიც სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულთა კატეგორიას მიეკუთვნებიან, არც საშემოსავლოს იხდიან და არც შემოსავალზე დეკლარაციის წარდგენა მოეთხოვებათ, თუკი შემოსავალი წელიწადში 100 000 ლარს არ აღემატება (დაახლოებით 42 000 ევროს). ასევე არ იხდიან დღგ-ს, თუკი ბრუნვა 200 000 ლარზე (84000 ევრო) ნაკლებია. თუ ინდივიდუალური პირის ან პირთა ჯგუფის შემოსავლები ამ ფარგლებს სცდება, მაშინ მათ მოეთხოვებათ ფისკალური იდენტიფიცირება, ფინანსური ორგანოების წინაშე ანგარიშის წარდგენა და გადასახადების გადახდა. ისინი ასევე ექვემდებარებიან ოფიციალურ კონტროლსა და ზედამხედველობას. ასეთი მდგომარეობა ძალზე შემაფერხებელი ფაქტორია სხვადასხვა სახის მწარმოებელთა ჯგუფების ჩამოყალიბებისთვის.

გადასახადის ეს ზღვარი ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ეხება. ჯგუფზე, რომელიც კომერციულ ორგანიზაციას ქმნის, როგორცაა კოოპერატივი ან შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, გადასახადის იმავე ზღვარს დაექვემდებარება. სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებისთვის ეს გამოიწვევს 18%-იანი დღგ-ის გადახდის ვალდებულებას, ასევე საქმის ოფიციალურად წარმოებას ფინანსური პირის სახით. ძირითადად ნაღდ ფულზე და ბარტერზე დაფუძნებული ანგარიშსწორების სისტემისა და სტიმულების ნაკლებობის გამო ასეთი ორგანიზაციული ფორმები ნაკლებად მიმზიდველია. უკეთესია ფინანსურ ზღვარს ქვემოთ დარჩენა და ანონიმური თვითდასაქმებულის სტატუსის შენარჩუნება.

საქართველო ვაჭრობის ლიბერალურ პოლიტიკას ახორციელებს, უფრო მაღალი კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობის მიზნით. სოფლის მეურნეობის სექტორი ძალზე უმნიშვნელოა და ცუდი იმპორტის დაბალი ტარიფებით, საშუალოდ უფრო ნაკლებად, ვიდრე საქართველოს მრავალი სავაჭრო პარტნიორი. ეს ზეგავლენას ახდენს განვითარებაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია რძის ჩამზარებელი ცენტრების შექმნა, რაც მცირე მწარმოებლებს (უმრავლესობას) საშუალებას აძლევს მოახდინონ საღი რძის მიწოდების კონსოლიდაცია და მიწოდების კონტრაქტები გააფორმონ რძის პროდუქტების მწარმოებლებთან. დღეისათვის 104 ასეთი ცენტრი არსებობს (20 შეიქმნა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პროექტის ფარგლებში), მათგან მხოლოდ 20 ფუნქციონირებს. ეს ძირითადად გამოწვეულია მშრალი რძის ფხვნილის ფასის ცვალებადობით და მისი პირდაპირი ზემოქმედებით რძის პროდუქტების შიდა ბაზარზე.

თავისუფალი ვაჭრობის ზოგადი პოლიტიკის გათვალისწინებით, საქართველოში რძის საბითუმო მოთხოვნა არა არის ტარიფით დაცული მსოფლიო ბაზარზე ფასების ცვლილებებისაგან. როდესაც მშრალი რძის ფხვნილის ფასი დაბალია, ქვეყნის შიგნით გადაუმუშავებელ რძეზე მოთხოვნა კლებულობს, როდესაც მაღალია - პირიქით. არამდგრადი ფასების გარემოში და რძის პროდუქტების მწარმოებელთა მხრიდან გადახდის არადამაკმაყოფილებელი პრაქტიკის გამო, რძის ჩამზარებელმა ყველა ცენტრმა ფაქტობრივად ფუნქციონირება შეწყვიტა. თუკი კომერციული მესაქონლეობის ფერმებიდან გადაუმუშავებელი რძე მიეწოდება რძის პროდუქტების მწარმოებლებს, ურბანულ დასახლებებსა და საექსპორტო ბაზარს, მაშინ მენახირეები დაკავშირებული იქნებიან სურსათის უვნებლობასთან და ცხოველთა ჯანმრთელობასთან (მიღევნების უნარი და დაავადებათა კონტროლი უფრო მეტ პროფესიონალიზმს მოითხოვს). ამას დახმარება უნდა გაუწიოს სავაჭრო და ფისკალურმა პოლიტიკამ, სოფლის მეურნეობის სფეროში ტარიფებისა და დაბეგვრის თვალსაზრისით.

სოფლის მეურნეობისათვის სახელმწიფო მხარდაჭერა იწყება მოკლევადიანი ინვესტიციებიდან გრძელვადიანი ინვესტიციებზე გადასვლით, როგორცაა, საირიგაციო და დრენაჟის სისტემები, და მომსახურების ინფრასტრუქტურა. თუმცა, მექანიზაციის საშუალებებზე მნიშვნელოვანი დანახარჯების საპირისპიროდ, რაც ძირითადად კერძო სექტორის ფუნქციაა, მომსახურების უზრუნველსაყოფად რაიმე

ხარჯები არ გაუღიათ. სოფლის მეურნეობის სექტორზე არ გავრცელებულა არც მაკროეკონომიკური რეფორმები და არც ბიზნესის გარემოს გაუმჯობესება. სექტორის რეფორმების შედეგად არ გაუმჯობესებულა პროდუქტიულობა, რომელიც სტაგნაციას განიცდის. სექტორმა რეაგირება ვერ მოახდინა ვერც ინტენსიურ კონკურენციაზე, რომელიც ვაჭრობის რეფორმებმა მოიტანა, რაც გამოწვეულია სასოფლო-სამეურნეო მომსახურების, ინფრასტრუქტურისა და გლეხური ტიპის მეურნეობის ხარვეზებით.

3. მთავრობის პოლიტიკა სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების სექტორების მიმართ

ამ თავის დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში მთავრობა შეიცვალა. ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად მოსალოდნელია ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პოლიტიკის სახეცვლილებაც. ამ მოხსენების დაწერის მომენტისთვის ახალი მინისტრები დაინიშნა, თუმცა, ახალი პოლიტიკის ერთადერთი სახელმძღვანელო დოკუმენტი მმართველო კოალიციის პროგრამაა.

გასული ოცი წლის განმავლობაში მთავრობის პოლიტიკაში სოფლის მეურნეობის სექტორს უმნიშვნელო ადგილი ეკავა, განსაკუთრებით, 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ. პრიორიტეტი ენიჭებოდა სექტორებს, რომლებიც სასწრაფო რეფორმებს მოითხოვდა, კერძოდ, ეფექტიან მმართველობას და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობას. საქართველოში სოფლის მეურნეობა განვითარების პრიორიტეტი 2010-2011 წლებში გახდა. ცვლილებების საჭიროება ნათელი გახდა გვალვის დროს, რომლის შედეგადაც მკვეთრად შემცირდა მარცვლეულის ექსპორტი ტრადიციული მიმწოდებელი ქვეყნებიდან (2007 წელს). 2010 წელს, სურსათზე ფასების მკვეთრად ზრდამ 27% აგრო-ინფლაცია გამოიწვია. სოფლის მეურნეობის სექტორზე გადატანილი ახალი აქცენტების შესახებ მრავალჯერ აღნიშნა პრეზიდენტმა. ისინი აისახა 2011-2015 წლების 10-პუნქტიან გეგმაში, რომელიც ბიზნესზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის განვითარებას ითვალისწინებს, ტრადიციულ შინამეურნეობაზე დაფუძნებულ სოფლის მეურნეობასთან ერთად. ამ მიდგომას მხარი დაუჭირეს ბიზნესის სექტორმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და დონორებმა.

2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელიც მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა და ამ უკანასკნელმა 2011 წლის დეკემბერში დაამტკიცა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი, 2011 წლის ბიუჯეტთან შედარებით, 60 პროცენტითაა გაზრდილი. 2011 წელს სოფლის მეურნეობისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი (76.16 მილიონი ლარი) 2010 წლის ბიუჯეტზე 80%-ით მეტი იყო. ეს ზრდა გამიზნული იყო სოფლის მეურნეობის სტრატეგიის განხორციელებისთვის და არა სოფლის მეურნეობის სამინისტროს საერთო ხარჯებისთვის.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2012 წლის ბიუჯეტი, 119,998 მილიონი ლარი, მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის 1.5%-ია, რაც საკმაოდ მოკრძალებული მაჩვენებელია ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის ხვედრით წილთან შედარებით, რომელიც ქვეყნის მშპ-ის 8-9 პროცენტს შეადგენს, ხოლო დასაქმების თვალსაზრისით მასში სამუშაო ძალის 54 პროცენტია ჩართული. 119,998 მილიონიდან 88.8% (106,575 მილიონი) ორიენტირებულია სასოფლო განვითარების პროგრამაზე; 4.7% (5,674 მილიონი) სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ეპიზოოტური დაავადებების რეაბილიტაციისთვის, ხოლო 6.5% (7,750 მილიონი ლარი) მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარებაზე. 2012 წლის ბიუჯეტში ჩართული არ არის დონორების მიერ ფინანსირებული პროექტები, რომლებიც 2011 წლის ბიუჯეტის 16%-ს შეადგენდა.

მთავრობა აღიარებს, რომ სანიტარული და ფიტოსანიტარული კონტროლი მნიშვნელოვანი ასპექტია ევროკავშირითან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების განვითარებისთვის. სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სააგენტო (სოფლის მეურნეობის სამინისტრო) და შემოსავლების სამსახურის საბაჟო კონტროლის დეპარტამენტის ვეტერინარული, სანიტარული და ფიტოსანიტარული კონტროლის განყოფილება არასათანადოდ არიან აღჭურვილი ფიტო-სანიტარული კონტროლისთვის. საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შემდგომი რეფორმებია საჭირო.

სოფლის მეურნეობის სექტორის ბიუჯეტი (2011 – 2012)	2011 (მილ. ლარი)	2012 (მილ. ლარი)	განსხვავება	%
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	75,160	119,998	44,838,2	60
სასოფლო განვითარების პროგრამა	43,748,3	106,575	62,826,4	144
სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ცხოველთა ჯანმრთელობა	7,359,0	5,674	-1,685,5	-23
მევენახეობა-მელვინეობის განვითარება	10,040,1	7,750	-2,290,1	-23
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	1,726,1	0	-1,726,1	-100
დონორების მიერ ფინანსირებული პროექტები	12,286,6	0	-12,286,6	-100
სოფლის მეურნეობის სამინისტროს გაშლილი ბიუჯეტი (2012)	მილ.ლარი	მილ.ევრო	% მთელი ბიუჯეტი	% სმს-ის ბიუჯეტი ს
სახელმწიფო ბიუჯეტი - სულ	7,940,430	3,573,194		
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	119,998	53,999	1,51	100
სასოფლო განვითარების პროგრამა	106,575	47,959	1,34	88,8
სასოფლო განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა	6,200	2,790		5,2
სოფლის მეურნეობის ტექნიკის განახლება	15,400	6,930		12,8
სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაცია	41,500	18,675		34,6
მელიორაციის სისტემების მოდერნიზება	10,000	4,500		8,3
სოფლის მეურნეობის ქართული პროდუქტების, ღვინისა და სამზარეულოს ხელშეწყობა	0,830	0,374		0,7
თანამედროვე ტექნოლოგიების ხელშეწყობა	2,045	0,920		1,7
რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენების მხარდაჭერა	20,000	9,000		16,7
აგრარული სექტორის განვითარება/ხელშეწყობა	10,600	4,770		8,8
სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ეპიზოოტური დაავადებების რეაბილიტაცია	5,674	2,553	0,07	4,7
სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვისა და ეპიზოოტურ დაავადებათა რეაბილიტაციის პროგრამის მართვა და ადმინისტრირება	2,662	1,198		2,2
სურსათის უვნებლობაზე სახელმწიფო კონტროლი	0,200	0,09		0,2

ეპიზოლოტიური რეაბილიტაცია	0,392	0,176		0,3
მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარული სამედოლა	1,200	0,540		1,0
სურსათის, ცხოველთა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკა	1,220	0,549		1,0
მევენახეობა-მელვინეობის განვითარება	7,750	3,448	0,10	6,5

3.1. ეროვნულ კანონმდებლობაში დარგის მდგომარეობის აღწერა და შეფასება;

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნის შესახებ 2011 წლის მოხსენებაში (2012 წლის მაისი) ნათქვამია: „2011 წელს ევროკავშირმა და საქართველომ პროგრესს მიაღწია ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავებასა და გაფართოებაში აღმოსავლეთი პარტნიორობის ფარგლებში. დეკემბერში დაიწყო მოლაპარაკება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ, რომელიც სამომავლო ასოცირებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. საქართველომ კარგ წარმატებებს მიაღწია გამარტივებული სავაჭრო რეჟიმისა და რეადმისიის შეთანხმებების კუთხით, რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლის მარტში“. მემორანდუმში ასევე ნათქვამია, რომ, „მას შემდეგ რაც საქართველოს მიერ „ძირითადი რეკომენდაციების“ განხორციელებაში მიღწეული შედეგები საკმარისად იქნა მიჩნეული, ევროკავშირმა გადაწყვიტა დეკემბერში დაიწყო მოლაპარაკებები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“.

არსებობს შემდეგი საკანონმდებლო დოკუმენტები:

- კანონი სურსათის უვნებლობის შესახებ; კანონი ვეტერინარიის შესახებ;
- კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ; კანონი პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ;
- კანონი წყლის შესახებ,
- კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ,
- პროდუქტის უვნებლობისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი.

სურსათის უვნებლობის სტრატეგია პრემიერ მინისტრის კაბინეტმა 2011 წელს დაამტკიცა. სტრუქტურირებისა და შესაძლებლობათა განვითარების პროცესი ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ინტენსიური დახმარებით მიმდინარეობს. სურსათის უვნებლობის შესახებ კანონი საქართველოში ჯერ კიდევ 2006 წელს მიიღეს; თუმცა იგი ძალაში არ შესულა. ამ კანონში განსაზღვრულია ინსპექტირების სამსახურის მოვალეობები, რომლებიც 2013 წელს შევა ძალაში, როდესაც, პირველ წელს, დაახლოებით 800 საწარმოს შემოწმება მოხდება.

3.2. სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების არსებული და დაგეგმილი სამთავრობო პოლიტიკის და/ან სტრატეგიების აღწერა და შეფასება

მას შემდეგ რაც სოფლის მეურნეობამ საქართველოს პოლიტიკურ დღის წესრიგში უფრო დომინანტური ადგილი დაიკავა, მის მიმართ მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება დაიწყო ბიზნეს სექტორმა, სამოქალაქო საზოგადოების სექტორმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მართლმადიდებლურმა ეკლესიამ (რომელიც საქართველოში მნიშვნელოვან საკუთრებასა და მიწას ფლობს). ამან ხელი შეუწყო

2012-2022 წლებისთვის აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგიის მომზადებას. სტრატეგიის განვითარებაში სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის ხელშეწყობა აგრეთვე ევროკავშირის პრიორიტეტიცაა, რომელიც გათვალისწინებულია ევროკავშირის სურსათის უსაფრთხოების 2007 წლის პროგრამაში (EU-FSP), ხოლო, უფრო მოგვიანებით, 2012 წლის აგრარული და სასოფლო განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამაში (ENPARD). 2003 წელს ყოვლისმომცველი სტრატეგიის შემუშავების მიზნით მნიშვნელოვანი რესურსები გაიღო აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ, რომელიც არ მიუღიათ, იმ დროს ხელისუფლებისა და პრიორიტეტების ცვლილების გამო, რაც არჩევნების შემდეგ პოლიტიკისა და მიმართულების ცვლილებაზე მიუთითებს.

ევროკავშირი კვლავ აგრძელებს სტრატეგიის განვითარების პროცესისადმი მხარდაჭერას, რასაც იგი ახორციელებს ისეთი მექანიზმებისა და სააგენტოების მეშვეობით, როგორცაა TAIEX და FAO. ამ პროცესს ამყარებს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ევროპის კავშირის დელეგაციის ურთიერთქმედებები. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აგრარული სექტორის სტრატეგია შეიმუშავა სამუშაო ჯგუფის მეშვეობით, რომელმაც მუშაობა 2010 წლის აგვისტოში დაიწყო. პროცესში აგრეთვე ჩართული იყვნენ დონორები და შექმნილი იყო დონორთა კოორდინაციის კომიტეტი, თუმცა მხოლოდ რამდენიმე რეკომენდაცია იქნა შემუშავებული.

სტრატეგიის განხორციელების მიზნით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ევროკავშირთან, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან და სხვა პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, 3-4 წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე მუშაობს, სადაც აღწერილი იქნება კონკრეტული შედეგები, აქტივობები, პროექტები, ბიუჯეტები, შესრულების ვადები და შეფასების კრიტერიუმები. სოფლის მეურნეობის სტრატეგიის ძირითადი ამოცანა სოფლის მეურნეობის განვითარებაა, მცირე შინამეურნეობების გაძლიერებისა და მომგებიანი წარმოების ქსელის ფორმირების მეშვეობით.

უკვე დამტკიცებული სოფლის მეურნეობის სექტორის სტრატეგია საქართველოს სექტორული ბიუჯეტის მხარდაჭერის პროგრამის წინაპირობაა. სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა ხელს შეუწყობს აგრარული სექტორის სტრატეგიის განხორციელებას. მისი მიზანია სურსათის წარმოების გაზრდა და სოფლად სიღარიბის შემცირება. სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის კონკრეტული ამოცანები საქართველოში აგრარული სექტორის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული, სექტორის სტრატეგიის განხორციელებისათვის მხარდაჭერით და მცირე ფერმერული ორგანიზაციების განტკიცებით.

სოფლის მეურნეობის სტრატეგიით განსაზღვრული განვითარების მიმართულებები:

ხედვა: ეფექტიანი, კონკურენტუნარიანი და მდგრადი სასოფლო-სასურსათო სექტორი

მისია: სოფლის მეურნეობის განვითარება ღირებულების ქსელის გაუმჯობესების მეშვეობით

სოფლის მეურნეობის სექტორის სტრატეგიის ძირითადი მიზნები:

- i. **მეწარმეთა და ფერმერთა კონკურენტუნარიანობის განმტკიცება**
 კვლევითი ლაბორატორიების შექმნა და რეგიონებში ცენტრების გაფართოება; ა
 ფერმერთა რეესტრის შექმნა;
 მიწის ბაზრის განვითარება მთავრობის საკუთრებაში არსებული მიწების
 პრივატიზაციის მეშვეობით და მიწის ბანკის შექმნა;
 სოფლის მეურნეობის სექტორში სესხების, საიჯარო და დაზღვევის
 სისტემების განვითარება;
 პირველადი წარმოებისა და გადამამუშავების პრიორიტეტული
 მიმართულებების განსაზღვრა.
- ii. **სექტორის ინსტიტუციური განვითარება**
 სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომელთა შესაძლებლობების
 განმტკიცება და სტრუქტურული განვითარება;
 სოფლის მეურნეობის სექტორში დაქირავებულთა კვალიფიკაციის ამაღლება;
 სოფლის მეურნეობის სფეროში უმაღლესი განათლების ხარისხობრივი
 გაუმჯობესება;
 სოფლის მეურნეობის სექტორში ინსტიტუტებს შორის კომუნიკაციისა და
 კოორდინაციის გაუმჯობესება;
- iii. **ღირებულების ქსელის განვითარება**
 ახალი მარცვლეულისა და ჯიშების გავრცელება;
 სოფლის მეურნეობის სფეროში ეროვნული მარკეტინგის პროგრამის
 შემუშავება.
- iv. **რეგიონული და აგრარული ინფრასტრუქტურის განვითარება**
 არსებული საირიგაციო ინფრასტრუქტურის რეგისტრირება და
 საინფორმაციო სისტემის შექმნა;
 სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მომსახურების ცენტრების განვითარება
 ფერმერთა ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით;
 სოფლის მეურნეობის ინფრასტრუქტურის განვითარება სახელმწიფო და
 კერძო სექტორების პარტნიორობის მეშვეობით;
 სასოფლო ინფრასტრუქტურის განვითარება (ელექტროენერგია, წყლისა და
 გაზის მიწოდება, და სხვ.) ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტიტუტებთან
 თანამშრომლობის მეშვეობით.
- v. **სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფა**
 სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სამოქმედო გეგმის
 შემუშავება;
 სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინდიკატორების განსაზღვრა
 სასაქონლო კალათის ანალიზის მეშვეობით.

სტრატეგიის კონტექსტის ფარგლებში 2012 წლის პრიორიტეტებია:

- პირველად წარმოებაზე დღგ-სგან განთავისუფლება;
- 6 დამატებითი/კვლევითი ცენტრის შექმნა;
- თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სადემონსტრაციო მიწის
 ნაკვეთების შექმნა;
- მექანიზაციის განახლება და რეგიონებში 12 მომსახურების ცენტრის შექმნა;
- აგრო-გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის შექმნა (ელექტრონული
 სოფლის მეურნეობა);

- რეგიონული ოფისებისა და განყოფილებების შექმნა;
- არსებული საირიგაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა;
- ქართული პროდუქტის პოპულარიზაციის ღონისძიებების ხელშეწყობა;
- ღვინის ექსპორტის ბაზრის გაფართოება;
- პროდუქტის გეოგრაფიული მითითებების რეგისტრირება;
- ცხოველთა დაავადებების პრევენცია/სურსათის უვნებლობის სისტემის გაუმჯობესება;
- ლოგისტიკის ცენტრებისა და ცივი საწყობების ინფრასტრუქტურის განვითარება.

მიწის ჩართვა სასოფლო-სამეურნეო აქტივობებში

საჭიროა მიწის ყველა რესურსის იდენტიფიცირება, რათა გაიზარდოს ეკონომიკურად აქტიური სასოფლო-სამეურნეო მიწის მოცულობა. ამ თვალსაზრისით მრავალი შესაძლებლობა არსებობს: ტყის ფონდში ჩართული არასაკმარისად გამოყენებული საძოვრები და ფართობები; სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის პრივატიზების აქტიურად გაგრძელება; და დეგრადირებული მიწის ფართობების რეაბილიტაცია. 2015 წლისთვის სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის დამუშავებული ფართობები 50%-ით უნდა გაიზარდოს.

მარცვლეული, ღვინო და მსხვილფეხა საქონელი

ერთ-ერთი პრიორიტეტია მარცვლეულის წარმოების მხარდაჭერა და თვითკმარობის ღონის გაზრდა, რაც დაფუძნებული იქნება რაოდენობის (უფრო მეტი ფართობების ათვისება) და წარმადობის ზრდაზე. 2015 წლისთვის დასახული გეგმის შესაბამისად მარცვლეულზე მოთხოვნის 50 პროცენტი ადგილობრივი პროდუქციით უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სიმინდზე მოთხოვნა სრულად უნდა დააკმაყოფილოს და მეზობელი ქვეყნებისთვის სიმინდის ექსპორტიორი ქვეყანა უნდა გახდეს, დაახლოებით 200 000 ტონამდე მოცულობით.

ამ პროცესს ხელს შეუწყობს სათესლე და სანერგე მასალის განვითარება და სადემონსტრაციო/საგანმანათლებლო ცენტრების შექმნა ყველა რეგიონში, სადაც გამოიცდება უხვმოსავლიანი და მაღალპროდუქტიული ჯიშები და გამოყენებული იქნება თანამედროვე ტექნოლოგიები. ხელმისაწვდომობის გაფართოების მიზნით ასევე გაიზრდება სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მომსახურების ცენტრების რაოდენობა.

მნიშვნელოვან მიზნადაა დასახული გაზრდილი ექსპორტი, დივერსიფიცირებული ბაზრები, „ქვევრის“ ბრენდის ღვინის და ღვინის ტურიზმის განვითარება და ქართული ღვინისა და კულტურის ხელშეწყობა. 2015 წლისთვის ნავარაუდევია ღვინის ექსპორტის გაორმაგება და წარმოების 50%-ით გაზრდა. მეცხოველეობის სფეროში დაგეგმილია პროდუქტიულობის ზრდისთვის ხელშეწყობა და ექსპორტის პოტენციალის გაზრდა საჯიშე ფერმების, საკვების წარმოების და ხელოვნური განაყოფიერების ცენტრების განვითარების მეშვეობით

ლოგისტიკის ცენტრები

დაგეგმილია ლოგისტიკის ცენტრების შექმნა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ექსპორტის დივერსიფიცირების დონის ამაღლებას, სეზონურობაზე და რკინიგზით ტრანსპორტირებაზე დამოკიდებულების შემცირებას, და დამატებითი ღირებულების შექმნას გაუმჯობესებული პროდუქციის მარკეტინგის მეშვეობით. ამ ცენტრებში მწარმოებლებს, ექსპორტიორებს, იმპორტიორებსა და დისტრიბუტორებს საშუალება ექნებათ ამ ცენტრების მეშვეობით ისარგებლონ სასაწყობო შენობებით, პირველადი გადამამუშავების, დახარისხების, შეფუთვის საშუალებებით, საცალო და საბითუმო გაყიდვის კუთხეებით, კონტეინერების საცავებითა და ლაბორატორიებით. ამის შედეგად მეტი პროდუქტი მიიღებს საბაზროდ ვარგის სახეს და გაიზრდება ფერმერთა შამოსავალი, შემცირდება იმპორტი, რაც გამოიწვევს სურსათზე შიგა ფასების ცვალებადობის შემცირებას.

საირიგაციო სისტემები

საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციამ და განვითარებამ ხელი უნდა შეუწყოს პროდუქტიულობის ზრდას და მიწის ნაკვეთების ეფექტიანობას. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ახალი საირიგაციო სისტემების მოწყობას (წვეთოვანი, დაპკურება, და სხვ.) საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია დააფინანსებს, ხოლო პროექტები კერძო და საჯარო საწარმოთა პარტნიორობის საფუძველზე განხორციელდება.

სტრატეგიის განხორციელება

2011 წელს მთავრობამ შექმნა სოფლის მეურნეობის პოლიტიკის კომისია, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო ხელმძღვანელობს, შესაბამისი სამინისტროებისა და სააგენტოების მონაწილეობით, რეგიონული განვითარების სამინისტროსა და გარემოს დაცვის სამინისტროს ჩათვლით. ეს კომისია მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სექტორის სტრატეგიის მონიტორინგისა და განხორციელების პროცესში.

2012 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ახალი მთავრობა შეიქმნა.² ახალი მთავრობისთვის სოფლის მეურნეობა უმაღლესი პრიორიტეტული სფეროა. სოფლის მეურნეობის სამინისტრო სათანადო მიმართულებით შეასწორებს სტრატეგიას. განსაკუთრებით გამოკვეთილია მომსახურების უზრუნველყოფა, მექანიზაციის ცენტრების ჩათვლით. ახალი მთავრობის მიერ სტრატეგიული პრიორიტეტების გადასინჯვის შემდეგ მოხდება სამოქმედო გეგმის დაასრულება, რომელიც, თავის მხრივ, საფუძველს შექმნის საქართველოსა და ENPARD-ს შორის ფინანსური შეთანხმების დასრულებისთვის. ვინაიდან დღევანდელ სტრატეგიაში არც ერთი დებულება არ ეხება სასოფლო განვითარებას, სწორედ ამ სფეროშია მოსალოდნელი უფრო ინტენსიური ცვლილებები.

საქართველოს მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია შექმნას წინაპირობები წარმატებული, მდიდარი და ერთიანი საქართველოსთვის, სადაც

² 2012 წლის ოქტომბერში საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა კოალიციამ „ქართული ოცნება“, ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც ხელისუფლებიდან განდევნა ერთიანი ნაციონალური მჭძრაობა, რომლის ლიდერია პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

ყველა მოქალაქეს ექნება ცხოვრების ღირსეული გარემო და საშუალება გახდეს მსოფლიო საზოგადოებრიობის წარმატებული წევრი.

საქართველოს მთავრობა ამ მიზნების მიღწევას ცდილობდა სამუშაო ადგილების შექმნით და უმუშევრობის შემცირებით, და, ამავდროულად, პენსიონერებისა და უნარშეზღუდული პირებისათვის დამატებითი სოციალური დახმარების სისტემის შექმნით. შესაბამისად, მოდერნიზებისა და დასაქმების 2011-2015 წლების „ათპუნქტიანი გეგმა“ ორიენტირებულია ორ მიზანზე: როგორ შეიქმნას მეტი და უფრო მაღალანაზღაურებადი სამუშაო; და როგორც გაუმჯობესდეს მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობა. ეს ათი პუნქტია:

1. მაკროეკონომიკური სტაბილურობა
2. მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესება
3. საუკეთესო საინვესტიციო და ბიზნესგარემოს შექმნა დაგანვითერება
4. რეგიონული სავაჭრო და ლოგისტიკური ცენტრების შექმნა
5. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
6. სოფლის მეურნეობის განვითარება
7. განათლების სისტემის გაუმჯობესება
8. სოციალური პოლიტიკის დახვეწა
9. ხელმისაწვდომი, მაღალხარისხიანი ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბება
10. ურბანული და რეგიონული განვითარება

2011-2015 წწ მოდერნიზაციისა და დასაქმების 'ათპუნქტიანი' გეგმის სოფლის მეურნეობის განვითარების თავში ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობის ძირითადი მიზანია პირველადი წარმოების თანამედროვე საწარმოების შექმნისთვის ხელშეწყობა (ტრადიციული და თვითკმარი ტიპის სოფლის მეურნეობის პარალელურად), რომლებიც დაფუძნებული იქნება მეწარმეობის პრინციპებზე; სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალის მქონე სოფლის მეურნეობის ლოგისტიკის ცენტრების შექმნა; და შესაბამისად, სოფლად ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

სტიმულები გათვალისწინებულია ინვესტორებისთვისაც, „სოფლად 100 ახალი საწარმოს“ ინიციატივის ფარგლებში, სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების (მთელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების 75%) შესასყიდად საბაზრო ფასის 20%-ად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროექტებისთვის; 0% გადასახადი პირველადი გადამამუშავებისთვის; და ინვესტიციაზე ძირითადი კაპიტალის 100%-იანი ამორტიზაციით.

სოფლად ინვესტირების ფართომასშტაბიან პროექტებში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს პარალელურად, ინფრასტრუქტურის სამინისტროცაა ჩართული, და არა მხოლოდ ირიგაციის პროექტებში. სასოფლო თემების პრიორიტეტების უკეთ განხორციელების მიზნით შეიქმნა სოფლის განვითარების ფონდი. ფონდი მუშაობს თემებისაგან განაცხადების მიღების პრინციპით, ასევე ინვესტირების ხელშეწყობით - უფრო შემხვედრი ფონდებით და არა გრანტებით. ინვესტირების სფეროებიც მკაფიოდ განსაზღვრული არ არის - ფაქტობრივად არანაირი ზღვარი არ არის დაწესებული შესაძლო ინტერვენციებზე. ადგილობრივ თემებში ფონდების

არსებობის გამო (შემხვედრი ფონდებისთვის), ასევე პროექტებში მონაწილეობის ფონდების დაბალი მაქსიმალური რაოდენობის შედეგად, მან ჯერ კიდევ ვერ მოახერხა რაიმე ინიციატივის მხარდაჭერა ირიგაციის სფეროში და ორიენტირებულია თემის სხვა პრიორიტეტებზე, როგორცაა, სოციალური შენობების შეკეთება.

3.3. საქართველოს სამთავრობო პროგრამების ENPARD-ის მიდგომასთან თავსებადობის შეფასება

სოფლის მეურნეობის სტრატეგია მნიშვნელოვანი ხარისხითაა ჰარმონიზებული ENPARD -ის ამოცანებთან, რომლის მიზნებია:

- სოფლად ცხოვრების პირობების გაუმჯობესება ინკლუზიური ეკონომიკური ზრდისთვის და სოფლის მდგრადი განვითარებისთვის ხელშეწყობით;
- სურსათის უსაფრთხოებისთვის ხელშეწყობა ხელმისაწვდომი სურსათის უფრო მდგრადი მიწოდების მეშვეობით, და იმავდროულად სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სტანდარტების ამაღლებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მეტი სარგებლის მიღება ექსპორტის ბაზრიდან;
- სოფლის მეურნეობის და სოფლის ადმინისტრირების გაუმჯობესება ინსტიტუციური და დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების განვითარებით, აგრარული სტრატეგიის შექმნისა და მართვის ჩათვლით.

2012 წლის 28 აგვისტოს ევროპის კომისიამ განცხადება გააკეთა საქართველოში სოფლის მეურნეობისთვის და სურსათის უვნებლობისთვის მხარდაჭერის თაობაზე. აღმოსავლეთი პარტნიორობის ფარგლებში გამოყოფილი იქნება ახალი ფონდები საქართველოს სოფლის მეურნეობის მოდერნიზების მიზნით, შეიქმნება ინსტიტუტები, რომლებიც საქართველოს მოამზადებს ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრირებისთვის.

პროგრამის პირველი ნაწილის საფუძველზე დახმარებას მიიღებს საქართველოს აგრარული სექტორი, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ფერმერთა ასოციაციებს (მწარმოებელთა ორგანიზაციებს). იგი სამთავრობო ინსტიტუტებს დახმარებას გაუწევს უფრო ეფექტიანად უპასუხონ სოფლის ეკონომიკის მოთხოვნებს. იგი ასევე დახმარებას გაუწევს ფერმერთა ასოციაციებს, განამტკიცებს თანამშრომლობას ფერმერთა შორის და გაზრდის სურსათის უვნებლობის ხარისხს ტრენინგებისა და ტექნიკური კონსულტაციების მეშვეობით.

პროგრამის მეორე ნაწილი ხელს შეუწყობს საქართველოში ინსტიტუციურ რეფორმებს და განამტკიცებს სახელმწიფო ინსტიტუტებს, რომლებმაც უნდა მოამზადონ და განახორციელონ ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (პარტნიორობა მოცემულ სივრცეში ვაჭრობის ლიბერალიზაციისა და ევროკავშირის ბაზარზე არსებითად გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობის მიზნით, ასევე, გაუმჯობესებული საინვესტიციო შესაძლებლობებისთვის) შეთანხმების მომზადება და განხორციელება. ეს მოიცავს კონსულტაციებს და მოლაპარაკებებში ჩართული ინსტიტუტებისთვის დახმარების გაწევას, ასევე ინსტიტუტების აღჭურვას - მაგალითად, სურსათის ეროვნული სააგენტოსი - სპეციალიზებული ლაბორატორიებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მომავალში ამ

ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, განსაკუთრებით, ევროკული ნორმებისა და სტანდარტების დაცვით.

ევროკავშირის 2012 წლის სამოქმედო გეგმით 60 მილიონიანი ორმხრივი დაბანდება გათვალისწინებული საქართველოსთვის. ეს გათვალისწინებულია ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტით (ENPI). ყოველწლიური სამოქმედო პროგრამა ორ კომპონენტს მოიცავს:

- ENPARD საქართველო (40 მილიონი ევრო): პროგრამის მიზანია სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაზრდა და სოფლის განვითარება. იგი ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის ეროვნული სტრატეგიის განხორციელებას და მცირე ფერმერთა ასოციაციების განმტკიცებას. იგი ასევე ხელს უწყობს ქვეყანაში სურსათის უვნებლობის სისტემის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის თვალსაზრისით.
- ევროკავშირი-საქართველოს ხელშეკრულებების მხარდაჭერა (20 მილიონი ევრო): ტექნიკური და საკოორდინაციო შესაძლებლობათა განმტკიცება რამდენიმე ძირითად ინსტიტუტში, რომლებიც მოამზადებენ, ხოლო შემდეგ განახორციელებენ ასოციაციების ხელშეკრულებას და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ ხელშეკრულებას. ეს არის აღმოსავლეთი პარტნიორობის ყოვლისმომცველი ინსტიტუციური მშენებლობის ნაწილი.

პროგრამა განამტკიცებს არსებულ აქტივობებს (ანუ, დაწესებულება, TAIEX - ტექნიკური დახმარების და ინფორმაციის გაცვლის ინსტრუმენტი, SIGMA - მმართველობისა და მართვის გაუმჯობესების მხარდაჭერა, ასევე, ტექნიკური დახმარება).

3.4. პოლიტიკის კრიტიკა

ჩაურევლობის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ აგრარული და სასოფლო განვითარების სექტორი პრიორიტეტული გახდა, ვინაიდან სოფლის მეურნეობას და სოფლის მოსახლეობას მნიშვნელოვანი წილი უკავია დასაქმებისა და მშპ-ის მაჩვენებლებში. ეს აისახა სექტორისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის მნიშვნელოვან ზრდაში და სოფლის მეურნეობის სტრატეგიაში. ასევე აღიარებული იქნა სოფლის განვითარების პოლიტიკის ან დახმარების სქემის უქონლობით გამოწვეული ხარვეზი და ახალი ადმინისტრაცია ამ საკითხებს ყურადღებას მიაქცევს.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში სათანადო სტრატეგიებისა და დაფინანსების არქონის გამო სოფლის მეურნეობასა და სასოფლო განვითარებას ყურადღება თითქმის არ ექცეოდა. ფერმერთა და მწარმოებელი ორგანიზაციების განვითარების სტიმულების არქონის შედეგად ფერმერები და სოფლის მოსახლეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან გაირიყნენ. მწარმოებელი ჯგუფებისა და ორგანიზაციების განვითარება საქართველოს ENPARD-ის უპირველესი ორიენტირია, სამართლებრივი და მარეგულირებელი ცვლილებების განხორციელებასთან ერთად, რაც ხელს შეუწყობს მწარმოებელი ორგანიზაციების ფორმირებას.

ახალი მთავრობა სოფლის მეურნეობის სექტორისადმი დახმარების ფორმის რადიკალურ შეცვლას აპირებს. შესაძლებლობის გაუმჯობესების ამ სწრაფვის რეალიზებაში და მოსალოდნელი გამოწვევების მოგვერებაში ასევე თავის წვლილს შეიტანს საქართველო-ENPARD-ის სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა. განსაკუთრებით საყურადღებოა ტექნიკური დახმარების ელემენტი, რადგან იგი ხელს შეუწყობს ENPARD-ის ტიპის ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო კანონმდებლობისა და ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნას. ENPARD-ის განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონულ ბაზაზე. საქართველოს მთავრობა ყოველთვის აღიარებდა ქვეყნის ცენტრალურ როლს სამხრეთ კავკასიაში მიდგომებისა და მეთოდების დაკავშირების თვალსაზრისით.

4. ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასება

4.1. სამთავრობო ინსტიტუტების მიერ ENPARD-ის მიდგომის მართვის, განხორციელებისა და მონიტორინგის მდგომარეობის შეფასება

სოფლის მეურნეობის სამინისტროს არა აქვს სექტორის სათანადო განვითარებისთვის საჭირო შესაძლებლობები, რასაც, სხვა მიზეზებთან ერთად, არასაკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსებიც იწვევს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 2005-2010 წლებში კადრების 70%-ით შემცირების შემდეგ. ეს მრავალჯერადი რეორგანიზაციების შედეგია, როდესაც სხვადასხვა ფუნქციები გადაეცა კერძო სექტორს, ან მთავრობის სხვა სტრუქტურებს.

პრობლემებს იწვევს ასევე გამოცდილების ნაკლებობა და შიდა ტრენინგების საჭიროება. ამიტომ, სამინისტროს, დღეისათვის არა აქვს სტრატეგიის განხორციელების შესაძლებლობა. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ იცის ამ პრობლემების შესახებ. სტრატეგიის უმთავრესი მიზანია შესაძლებლობების მნიშვნელოვანი განმტკიცება სხვადასხვა ფორმით: აგრონომთა დასაქმება რეგიონებში (რაც აღადგენს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლობას რეგიონებში, რაც რამდენიმე წლის წინ გააუქმეს); და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო მოსახურების ცენტრების შექმნა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში (დანართი 1). ეს მომსახურების ცენტრები სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდთან შეიქმნა. ფონდმა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 12 სხვადასხვა ორგანიზაცია შექმნა.³

სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად აგრარულ სფეროზე სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებიც არიან პასუხისმგებელი:

1. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (მაგ., სასოფლო გზების რეაბილიტაცია, სოფლის დონეზე მცირე აგარარული ინფრასტრუქტურა);
2. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (მაგ., მიწის პრივატიზაციის პროცესის კოორდინაცია);
3. ენერგეტიკის სამინისტრო (ტყეებზე პასუხისმგებლობა);
4. განათლების სამინისტრო (ხელმძღვანელობს პროფესიულ განათლებას და ტრენინგის სკოლებს, სადაც სასწავლო გეგმაში სოფლის მეურნეობა დომინირებს);
5. ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური (მაგ., მიწის დეგრადაციისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საკითხები);
6. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, რომელიც ზედამხედველობას უწევს შემწეობებისა და სოფლის მეურნეობის პროგრამებს, რომლებიც იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ხორციელდება;

³ შპს 'მექანიზატორი', არის მფლობელი აღნიშნული ცენტრების. დანარჩენი კომპანიებია: შპს 'საქართველოს სასათბურე კომპანია', შპს 'ხორბლის ლოჯისტიკის კომპანია', შპს 'გორის სათბური', შპს 'მარცვლეულის სასაწყობე ცენტრი', შპს 'გრუზვინპრომი', შპს 'აკურა', შპს 'თავისუფალი საწარმო კომპანია', შპს 'მიწის რეაბილიტაციის სააგენტო', შპს 'სქართველო-ბელორუსიის ეკონომუკირუ და სავაჭრო სააგენტო', ერთობლივი საწარმო 'საქართველოს აგრარული კორპორაცია და შპს 'ქართული ბოსტნეული'.

7. სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტო - (სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების ზედამხედველობა, მონიტორინგი და კონტროლი);
8. ფინანსთან სამინისტროს შემოსავლების სამსახური (სანიტარული და ფიტოსანიტარული კონტროლი საზღვარზე);
9. ტურიზმის დეპარტამენტი (აგრო/სოფლის ტურიზმი);
10. საქართველოს სტატისტიკის სააგენტო (GEOSTAT), რომელიც ახორციელებს სოფლის მეურნეობის აღწერებს, რეგულარულ გამოკითხვებს, და აწარმოებს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ სტატისტიკას;
11. საქართველოს სოფლის მეურნეობის ფონდი სახელმწიფო სტრუქტურაა, რომელიც 2012 წელს შეიქმნა, სექტორის პრიორიტეტული სამთავრობო პროექტების განხორციელების მიზნით;
12. საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტი ახორციელებს სოფლის მეურნეობის სექტორში კანონების გადასინჯვას და მიღებას. ევროკავშირი კომიტეტს ტექნიკურ დახმარებას უწევს სოფლის მეურნეობის კოოპერატივებთან დაკავშირებული კანონმდებლობის მომზადებაში.
13. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ერთადერთი რეგიონია საქართველოში, რომელსაც პასუხისმგებლობა აქვს აღებული. მას აქვს თავისი სოფლის მეურნეობის სამინისტრო და თავისი სტრატეგია სექტორისთვის (ეროვნული სტრატეგიის შესაბამისი).
14. სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტო, რომელიც ამჟამად სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტრუქტურაში ჩართვის პროცესშია.

4.2. სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სფეროს დაინტერესებულ სუბიექტთა მიერ ENPARD-ის მიდგომის მართვის, განხორციელებისა და მონიტორინგის მდგომარეობის შეფასება

აგრარული და სასოფლო ეკონომიკის სუბიექტებს სუსტი შესაძლებლობები აქვთ. ასიოდე მცირე კოოპერატივსა და გაერთიანებას თუ არ ჩავთვლით (რომლებიც უცხოური დახმარების პროექტებით შეიქმნა), მცირე ფერმერთა უმრავლესობა, 95%, არანაირი ფორმით არ არის ორგანიზებული. ამასთანავე, სულ რამდენიმე ეროვნული ორგანიზაციის გარდა, საქართველოში არ არსებობს სტრუქტურა, რომელიც მთლიანად ფერმერების ინტერესებს წარმოადგენდეს, რითაც სუსტდება ფერმერთა შესაძლებლობა თავიანთი პრიორიტეტების ადვოკატირების თვალსაზრისით. მათგან განსხვავებით, სასოფლო-სამეურნეო მომსახურების მიმწოდებლები (50-მდე კერძო მომსახურების ცენტრი შეიქმნა ათასწლეულის განვითარების ფონდისა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ) ეროვნულ ასოციაციაში არიან გაერთიანებული.

ფერმერთა ორგანიზაციების არარსებობა აფერხებს განვითარებას. აუცილებელი იქნება მწარმოებელი ორგანიზაციების განვითარება, რათა ისინი არ გახდნენ ერთჯერადი კაპიტალდაბანდებისთვის შექმნილი ერთეულები, არამედ ჩამოყალიბდნენ დინამიურ ჯგუფებად, რომლებიც ხელს შეუწყობს ფრაგმენტაციის, რესურსების ნაკლებობის და ინვესტიციების სიმწირის დაძლევას, და ამავდროულად განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც გააუმჯობესებს ხელმისაწვდომობას

ტრენინგზე, კონსულტაციებზე, სწავლებაზე და ძირითად მომსახურებაზე, ვეტერინარული, ზოოტექნიკური და მექანიზატორული მომსახურების ჩათვლით.

საქართველოში არსებობს რამდენიმე მოქმედი საჯარო ინსტიტუტი, რომლებიც სოფლის მეურნეობის სფეროს კვლევებით, განათლებით ან სწავლებით არიან დაკავებული. საქართველოში სტუდენტთა ძალზე მცირე რაოდენობას თუ აინტერესებს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული კვლევები. სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტი, რომლის პრივატიზაციაც ახლახანს განხორციელდა, სათანადოდ აღჭურვილი არ არის. ადგილობრივი ორგანოები (არჩეული და დანიშნული) ზოგადად პოზიტიურად არიან განწყობილი და მონაწილეობას ღებულობენ განვითარების ინიციატივებში.

4.3. სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სფეროს დაინტერესებულ სუბიექტთა ტრენინგის საჭიროების შეფასება, კერძო სექტორის ჩათვლით, ENPARD-ის მიდგომის გამოყენების ხელშეწყობის მიზნით.

სვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციას (ევროკავშირი, შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო, გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, აშშ განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული პროექტები, შვეიცარიის განვითარების თანამშრომლობა, მოქალაქეთა ქსელი საგარეო ურთიერთობისთვის - საქართველო, აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი, გაეროს განვითარების პროგრამა და სხვ.) და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს (ACA, ABCO საქართველო, საქართველოს საჯარო ადმინისტრირების ინსტიტუტი, კავკასიის გენეტიკა და სხვ.) მრავალი ტრენინგი აქვთ ჩატარებული. ტრენინგის თემატიკა მოიცავს შემდეგ სფეროებს: პირველადი წარმოების ტექნიკა; სოფლის მეურნეობის მენეჯერები; მომსახურების მიმწოდებლები; რძის წარმოება და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი; ვეტერინარია; მცენარეთა დაცვა; სურსათის უვნებლობა; და სხვა საკითხები.

5. არსებული მიმდინარე პროგრამების მიმოხილვა

5.1. დონორთა პროგრამები

ევროპის კავშირი

შემოთავაზებული სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის მიზანია საქართველოში სურსათის წარმოების გაზრდა და სოფლად სიღარიბის შემცირება. კონკრეტული ამოცანაა სექტორის ეროვნული სტრატეგიის განხორციელებისათვის მხარდაჭერა და მცირე ფერმერული ორგანიზაციების განმტკიცება.

ზემოთქმულზე დაყრდნობით, სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა 4 ძირითად შედეგზეა ორიენტირებული, რომლებიც საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს:

- **შედეგი 1.** მცირე ფერმერთა შორის გაუმჯობესებული თანამშრომლობა, რაც მოიცავს: ფერმერთა ეკონომიკური თანამშრომლობის ჯგუფების შესახებ კანონმდებლობის მომზადებასა და მიღებას; ინფორმირებულობის ამაღლების კამპანიას, მცირე ფერმერთა თანამშრომლობისა და ღონისძიებათა განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, ახლადშექმნილი მცირე ფერმერთა ორგანიზაციების მხარდასაჭერად. იგი მოიცავს ტექნიკურ დახმარებას და ინვესტირებას, მოწყობილობებს და/ან მცირე ინფრასტრუქტურას ფერმერებისთვის, პროდუქტიულობის გაზრდის და ბაზარზე უკეთესი ხელმისაწვდომობის მიზნით (მაგ., გაუმჯობესებული სათესლე მასალა, მექანიზაციის საშუალებები, სასაწყობე მეურნეობა, და სხვ.). აქტივობები მოიცავს სამ ან ოთხ რეგიონს, ხოლო პილოტური გამოცდილება გავრცელდება საქართველოს სხვა რეგიონებშიც, მთავრობის ფინანსური დახმარებით. ENPARD -ის მიდგომის შესაბამისად გათვალისწინებული იქნება ევროპული გამოცდილება, როგორცაა LEADER-ის მეთოდი (ევროკავშირის ინიციატივა ევროკავშირში სასოფლო თემებისთვის დასახმარებლად, რომელიც ემსახურება ცხოვრების დონისა და ეკონომიური კეთილდღეობის ამაღლებას, ადგილობრივი სასოფლო აქტორების გაძლიერების მეშვეობით) და ევროკავშირის ფერმერებისათვის დახმარების სხვა ფორმები, ასევე გაწევრიანების მომლოდინე ქვეყნების გამოცდილებაც.
- **შედეგი 2.** ფერმერების გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა საგანმანათლებლო მომსახურებებზე, საგანმანათლებლო სამსახურების ქსელის შექმნით და ფერმერთა ორგანიზაციების შესაძლებლობათა განვითარების უზრუნველყოფით.
- **შედეგი 3.** რეგულირებული და განვითარებული გეოგრაფიული აღნიშვნები, გეოგრაფიული აღნიშვნების თვითრეგულირებადი ორგანოების შექმნისა და ლიცენზირების მოთხოვნების შემოღების მეშვეობით.
- **შედეგი 4.** სოფლის მეურნეობაში ჩართული ინსტიტუტების გაუმჯობესებული საქმიანობა, რომელიც მოიცავს: სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შესაძლებლობათა განმტკიცების/ტრენინგის აკადემიის

შექმნას; ახალი სასოფლო-სამეურნეო აღწერის ჩატარებას; სოფლის მეურნეობის კვლევების მეთოდოლოგიისა და შერჩევის გაუმჯობესებას და შესაძლებლობათა გაძლიერების ღონისძიებებს, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული აკადემიური ინსტიტუტების დახმარების მიზნით.

ამ შეზღუდვების გათვალისწინებით საქართველო-ENPARD-ის დაგეგმილი შედეგები მიღწეული იქნება რესურსების თანაბარი (50:50-ზე) განაწილებით სექტორის ბიუჯეტსა და გრანტებს შორის, რომლებსაც განმახორციელებელი ორგანიზაციები გასცემენ მოთხოვნის წინადადებების შესაბამისად. თითოეული გრანტის მიმღები პასუხისმგებელი იქნება ხელი შეუწყოს გარკვეულ რეგიონ(ებ)ში ბიზნესზე ორიენტირებული რამდენიმე ორგანიზაციის შექმნას.

გარდა ამისა, დეცენტრალიზებული მენეჯმენტი გამოიყენებს ევროკავშირის მიერ დელეგირებულ სტრუქტურებს, გაეროს განვითარების პროგრამას აჭარაში და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციას, რომლებიც სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობათა განმტკიცებაში დაეხმარებიან.

- სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) შესაძლებლობათა განმტკიცების ღონისძიებებს უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის სექტორის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელებაში დახმარების კუთხით. პროგრამის ამ კომპონენტის განხორციელებაში დასახმარებლად სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მოწვევა განპირობებულია იმით, რომ მას აქვს გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა პოლიტიკაში გათვალისწინებულ საკითხთა უმრავლესობის მიმართებით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოქმედებაზე პასუხისმგებლობის დაკისრება სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოითხოვა.
- გაეროს განვითარების პროგრამა განახორციელებს სოფლის მეურნეობის დახმარების ქვეპროგრამას აჭარის ავტონომიურ რეგიონში, სადაც მთლიანი პროგრამის სარკისებური არეკვლა უნდა მოხდეს, თუმცა კონკრეტულად ამ რეგიონზე იქნება ფოკუსირებული. გაეროს განვითარების პროგრამის შერჩევა განპირობებულია აჭარის სოფლის მეურნეობის სფეროში მისი გამოცდილებით.

ბიუჯეტის მხარდაჭერი ტრანშების გამოყოფა, 2012-2015. ფიქსირებული ტრანშების გამოყოფაზე ზეგავლენას იქონიებს მაკროეკონომიკის სტაბილურობისა და საჯარო ფონდების მართვის მდგომარეობა; სექტორის პოლიტიკის განხორციელების დამაკმაყოფილებელი პროცესი, როგორც ეს სექტორის სათანადო სამოქმედო გეგმითაა ნაჩვენები; სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის საკოორდინაციო ორგანოს შექმნა; და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის სახელმწიფო დაფინანსების პროცენტული ზრდა.

ცვალებად ტრანშებთან მიმართებით სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა სვადასხვა პირობებსა და ნიშნულებს (benchmarks) დაექვემდებარება, რომლებიც ორიენტირებული იქნება შემდეგ კრიტერიუმებზე:

(1) ფერმერთა კოოპერატივების შესახებ კანონმდებლობის მიღება, რომელიც აღმოფხვრის იმ ფაქტორებს (გადასახადი ან სხვა), რომლებიც მცირე ფერმერებს კოოპერატიული ჯგუფების შექმნაში უშლის ხელს;

(2) სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ახალი სასოფლო-სამეურნეო მომსახურების ცენტრების შექმნა და მათი მზადყოფნა ფერმერებისთვის მომსახურების მისაწოდებლად; და

(3) სულ მცირე, 50 სასოფლო-სამეურნეო მომსახურებისა და/ან მარკეტინგის კოოპერატივების შექმნა და ფუნქციონირება.

გაწეული ხარჯები დამოკიდებული იქნება ფინანსურ შეთანხმებაში დადგენილი პირობების დაკმაყოფილებაზე. სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის (სპმპ) ზედამხედველობა დაევალება სპმპ-ის საკოორდინაციო ორგანოს, რომელიც შეიქმნება ბიუჯეტის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. ეს ორგანო მოახდენს სექტორის საკოორდინაციო შეხვედრების ორგანიზებას წელიწადში სამჯერ - ევროკავშირის დელეგაციის, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და დარგობრივი სამინისტროებისა და სააგენტოების მონაწილეობით, რათა შეფასდეს აგრარული სექტორის სტრატეგიის განხორციელების მიმდინარეობა. საჭიროების შემთხვევაში მოიწვევენ განვითარების სხვა პარტნიორებს, არასახელმწიფო აქტორებს და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს.

ყოველდღიური ტექნიკური და ფინანსური მონიტორინგი უწყვეტი პროცესი იქნება, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო განახორციელებს. ამ მიზნით სოფლის მეურნეობის სამინისტრო პროექტისთვის შექმნის მუდმივმოქმედ შიგა ტექნიკური და ფინანსური მონიტორინგის სისტემას, რომელიც გამოყენებული იქნება მიღწევების შესახებ ანგარიშების მოსამზადებლად. შიგა აუდიტს და საჯარო ფინანსების მართვის კონტროლს ასევე დაექვემდებარება საბიუჯეტო დახმარება, რასაც საქართველოს კონტროლის პალატა განახორციელებს. გარე კონტროლის მისიები შეამოწმებენ სათანადო პოლიტიკის რეფორმის მატრიცასთან შესაბამისობას, რომლის შედეგებიც იქნება თითოეული მომდევნო გადმორიცხვების წონაპირობა (ანუ, ერთობლივი წლიური შეფასება).

მცირე ფერმერთა თანამშრომლობის კომპონენტით გათვალისწინებული თითოეული გრანტის ფარგლებში საკუთარი შიგა მონიტორინგის სისტემა შეიქმნება, რომელმაც უნდა მოიცვას რეგულარული ანგარიშგება და გამოკითხვები, რაც შედეგების შეფასებისთვისაა საჭირო. თითოეული გრანტის მიმართ ასევე განხორციელდება ხარჯების შემოწმება, ევროკავშირის საგარეო აქტიობათა საგრანტო კონტრაქტების პირობების შესაბამისად.

პროექტის მიდგომასთან მიმართებით ასევე განხორციელდება შუალედური და საბოლოო შეფასებები, ასევე საბოლოო აუდიტი. ერთობლივი მენეჯმენტის შემთხვევაში, და როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს, გამოყენებული იქნება შესაბამისი ჩარჩო ხელშეკრულებების დებულებები, რომლებზედაც ხელი აქვთ მოწერილი საერთაშორისო ორგანიზაციებს. სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ სხვა ინსტიტუტებთან კოორდინაციით

ორგანიზებული იქნება კომუნიკაციისა და თვალსაჩინოების კომპონენტი, ევროკავშირის საგარეო აქტიობის კომუნიკაციისა და თვალსაჩინოების სახელმძღვანელოს ორიენტაციის შესაბამისად. ევროპული კომისია, ამ ინსტიტუტებთან ერთად, ორგანიზებას გაუწევს შესაბამის საჯარო ღონისძიებებს, რათა ფართო საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია პროგრამის განვითარებისა და მისი მიღწევების შესახებ.

იმის გათვალისწინებით, რომ სხვა დონორები უკვე უზრუნველყოფენ ან გეგმავენ დახმარებას გარკვეულ პრიორიტეტულ სფეროებში, ევროკავშირის სექტორული პოლიტიკის მხარდამჭერი პროგრამა ფოკუსირებული იქნება სექტორის სტრატეგიის კონკრეტულ ასპექტებზე, რომლებსაც მთავრობა არ აფინანსებს (როგორც ეს ხდება სასოფლო ინფრასტრუქტურის შემთხვევაში), სადაც სხვა დონორები არ აქტიურობენ და სადაც ევროკავშირი განსაკუთრებით ეფექტიანია და/ან ფუნდამენტური გამოცდილება აქვს.

საქართველოსთვის შეთავაზებულ ENPARD-სა და ევროკავშირის დახმარების სხვა კომპონენტებს შორის მაღალი სინერგია არსებობს. ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცეების შესახებ ევროკავშირსა და საქართველოს შორის მოლაპარაკებებში სურსათის უვნებლობა, სანიტარია და ფიტოსანიტარია ძირითადი ელემენტებია, ასევე სოფლის მეურნეობის შემდგომ სამოქმედო გეგმებში (2011 წლის სამოქმედო გეგმაში სურსათის ეროვნული სააგენტოს შეძლებლობების განმტკიცებისთვის 2.3 ევროა გამოყოფილი და შემდგომი დახმარებაა გათვალისწინებული 2012 წლისთვის).

ევროპის კავშირი ასევე ახორციელებს ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებებს 2008 წლის ომის შედეგად დევნილებისთვის, ძირითადად სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მეშვეობით. ეს დახმარება მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრების პირობების ამაღლებას. შეზღუდული რაოდენობის ფერმერთა ასოციაციების შექმნას ხელი შეუწყო ევროკავშირის რამდენიმე წარმატებულმა პროექტმა, რომლებიც არასახელმწიფო აქტორებთან ერთად განხორციელდა. საქართველო-ENPARD-ის გრანტის კომპონენტი მნიშვნელოვნად გაზარდის ამ პროექტების საფუძველზე მიღწეულ წარმატებულ გამოცდილებას/შედეგებს. ევროკავშირი გრანტებს ასევე უზრუნველყოფს (არასახელმწიფო აქტორებისთვის⁴ და გარემოს და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვისთვის⁵) სამოქალაქო საზოგადოებისთვის, მათ შორის, გარემოსა და კატასტროფების მართვის პროექტებისთვის. მიღებული გაკვეთილები

⁴ ახალი პროგრამის მთავარი მიზანია არასახელმწიფო აქტორების შესაძლებლობების განვითარება და ადგილობრივი ხელისუფლებისთვის დახმარების გაწევა. იგი ასევე ემსახურება ღონისძიებათა თანადაფინანსებას არააგრარულ სექტორში, როგორცაა, ჯანდაცვა, გარემოს დაცვა და განათლება; აგრეთვე, გრძელვადიანი პარტნიორობა სამოქალაქო საზოგადოებასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის.

⁵ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის პროგრამა, ენერგეტიკის ჩათვლით, განვითარებად ქვეყნებს დაპარტნიორ ორგანიზაციებს ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების მართვის საკითხებში ეხმარება, ასევე, მრვალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.

გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველო-ENPARD-ის ფარგლებში სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისას.

საქართველო-ENPARD-ის პროგრამაში ჩართული ევროკავშირის მიდგომა ფოკუსირებულია მცირე ფერმერთა განვითარების მხარდაჭერაზე. ეს კომპონენტი ხელს შეუწყობს მცირე ფერმერთა ჯგუფების შექმნას მიზნობრივ რეგიონებში და და შერჩეულ რაიონებში: მცხეთა-მთიანეთში, შიდა ქართლში, რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში და გურიაში. განსხვავებული სქემით პროექტი განხორციელდება აჭარის რეგიონში.

სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)

საქართველოს მთავრობა და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია შვიდ პრიორიტეტულ სფეროში თანამშრომლობს, რომლებიც ქვეყნის პროგრამირებულ ჩარჩოშია ჩამოყალიბებული (CPF 2010–2015):

- i. პოლიტიკა და ინსტრუმენტები სოფლის განვითარებისა და რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდასაჭერად;
- ii. ცხოველთა ჯანმრთელობა და პროდუქტიულობა;
- iii. სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება და მცენარეთა დაცვა;
- iv. სურსათის უვნებლობა და მომხმარებელთა დაცვა;
- v. მიწის რესურსების მენეჯმენტი და მიწათსარგებლობა;
- vi. მეტყევეობა;
- vii. თევზჭერისა და აკვაკულტურის განვითარება.

ევროკომისიის/სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის საინფორმაციო სისტემების პროგრამა მიზნად ისახავს სურსათის უვნებლობის სფეროში გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებას ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთ სივრცეში - DCI FOOD 2009/233-068. სოფლის მეურნეობის სამინისტრო აღიარებს ხარისხიანი ინფორმაციის მნიშვნელობას სურსათის უსაფრთხოების სფეროში გადაწყვეტილების მიღების პროცესისთვის. პროგრამა ხელს უწყობს და ეხმარება მუდმივი დისკუსიის წარმოებას ინფორმაციის მწარმოებელ ინსტიტუტებთან, განსაკუთრებით ჯეოსტატთან და ბაზრის კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტთან, რათა სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილების მიმღები პირები საიმედო ანალიზით იყვნენ უზრუნველყოფილნი.

გაეროს პროგრამა საქართველოში

გაეროს განვითარების დახმარების სქემა (UNDAF) (2011-2015) საკონსულტაციო პროცესის შედეგად შეიქმნა და იგი აღწერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობის სფეროებს 2011-2015 წწ. იგი შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული ეროვნული განვითარების პრიორიტეტებთან, რომლებიც დადგინდა პროგრამისთვის „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“, ასევე ათასწლეულის განვითარების ეროვნულ მიზნებთან (MDGs) და სხვა ძირითად დოკუმენტებთან. მასში გამოკვეთილია სამი ურთიერთდაკავშირებული თემატური სფერო, რომლის ფარგლებშიც გაეროს

სისტემას საქართველოს პრიორიტეტებსა და საჭიროებებზე უფრო ეფექტიანი რეაგირება შეუძლია:

- *სიღარიბის შემცირება*, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ინკლუზიურ განვითარებას, სამუშაო ადგილების შექმნას და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობას, განათლებას და ძირითად სოციალურ მომსახურებებს, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფებისთვის.
- *დემოკრატიული განვითარება*, რომლის მიზანია დაბალანსებული, დამოუკიდებელი, სამართლიანი და ინკლუზიური მმართველობის სისტემისა და პროცესების ხელშეწყობა ყველა დონეზე, რომელიც დაფუძნებული იქნება სამართლის უზენაესობის, ადამიანის უფლებების და თანასწორობის პრინციპებზე.
- *კატასტროფების რისკის შემცირება*, რომლის მიზანია საქართველოს გაძლიერება კატასტროფების მიმართ, პრევენციული ზომებისა და გადაუდებელ შემთხვევებში ზიანისა და დანაკარგების შემცირების გზით.

სხვები

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო, აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი (KfW), შვეიცარიის განვითარების თანამშრომლობა და დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტო ძირითადი დონორები არიან, რომლებიც დახმარებას უწევენ საქართველოს. მათი მიმდინარე პროექტების ნუსხა ასე გამოიყურება:

დონორი	პროექტი	€ მილიონი	ტიპი	ხანგრძლ.
აშშ საერთაშორ. განვით.სააგენტო	ს/მ მექანიზაციის პროექტი	4	გრანტი	2009/2012
აშშ საერთაშორ. განვით.სააგენტო	ახალი ეკონომიკური შესაძლებლობები	15	გრანტი	2011/2015
აშშ საერთაშორ. განვით.სააგენტო	ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა	10	გრანტი	2010/2014
აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი	ცხოველთა ჯანმრთელობის პროგრამა	1	გრანტი	2008/2012
შვეიცარიის განვითარების თანამშრომლობა	საბაზრო კავშირები სიღარიბის წინააღმდეგ	7	გრანტი	2008/2014
მსოფ. ბანკი	კახეთის რეგიონული განვითარება	45	სესხი	2012/2015
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი	სოფლის მეურნეობის კრედიტის საშუალებები - ბანკები	40	სესხი	2011/2013

რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი	სოფლის მეურნეობის საკრედიტო საშუალება - MFIs	9	სესხი	2011/2013
დანის საერთაშორისო განვითარების სააგენტო	შერჩეული ღირებულების ქსელის მხარდაჭერა	9	გრანტი	2012/2015

თუმცა, ამ პროექტთაგან, სოფლის განვითარებაზე ფოკუსირებულია მხოლოდ კახეთის რეგიონული განვითარების პროექტი (მსოფლიო ბანკი) და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების პროექტი (აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო), დანარჩენი პროექტები ძირითადად სოფლის მეურნეობის ღირებულების ქსელის განვითარებას ისახავს მიზნად. ცხრილში ქვემოთ მოცემულია სოფლის მეურნეობის სფეროში მთავრობის ის ხუთი პრიორიტეტული სფერო, რომლებზეც დონორები მუშაობენ.

სტრატეგიული პრიორიტეტი	ძირითადი დონორ(ებ)ი
კონკურენტულობის გაუმჯობესება კერძო სექტორის განვითარების მეშვეობით	EU, EBRD, KfW, SDC, USAID
სოფლის მეურნეობაში ჩართული ინსტიტუტების საქმიანობის გაუმჯობესება	EU, UNDP, FAO
სურსათის უსაფრთხოება	EU, FAO
სურსათის ღირებულების ქსელის მხარდაჭერა	USAID, SDC, DANIDA
სასოფლო ინფრასტრუქტურის განვითარება	Government, WB, USAID

5.2. შედეგების შეგროვება და ანალიზი

სოფლის მეურნეობის სფეროში ევროკავშირის მიერ უზრუნველყოფილ დახმარებასთან მიმართებით არსებობს მოსაზრება, რომ, თუკი სოფლის მეურნეობა და სურსათის უსაფრთხოება პირველადი ამოცანებია, მაშინ რეგიონში და რაიონში სოფლის მეურნეობის შედარებითი უპირატესობა კიდევ უფრო მაღალი დონის სამიზნე კრიტერიუმები უნდა იყოს.

საქართველოში სოფლის მოსახლეობა შედარებით ღარიბია. საფრთხეს ქმნის ის, რომ სიღარიბის დაძლევის პროგრამები ორიენტირებულია უღარიბეს და იზოლირებულ ტერიტორიებზე (მთიან რეგიონებზე), რომლებიც ძირითადი წარმოების რაიონებიდან მოშორებით მდებარეობს. საქართველოს სიღარიბის შეფასების მისიამ (მსოფლიო ბანკი, 2009 წლის აპრილი) დაასკვნა, რომ სოფლად სიღარიბის შემცირებაზე ფოკუსირებული ინიციატივებისთვის საჭიროა:

- მიზნობრივი სოციალური დახმარების გაფართოება და მისი გავრცელება მთის სოფლის მოსახლეობაზე - სოფლად სიღარიბის დონე ყველაზე მაღალია შიდა ქართლის, კახეთისა და მცხეთა-მთიანეთის მთიან რეგიონებში;
- სოფლის მეურნეობის მაღალი პოტენციალის მქონე რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდა - იქ სადაც სოფლის მეურნეობისთვის

ხელსაყრელი აგრო-კლიმატური პირობებია და არსებობს წარმოებისა და პროდუქტიულობის გაზრდის საგულისხმო შესაძლებლობები.

სოფლის თემების განმტკიცებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიდგომა ითვალისწინებს ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების ჩართვას და ნიშნულების განსაზღვრის პროცესს, რომელიც დაკავშირებული იქნება შემდეგ სტრუქტურულ მახასიათებლებთან:

- სოფლის თემების განმტკიცება ადგილობრივი ადმინისტრაციების გაძლიერებით და სოფლის განვითარების აქტივობებში ადგილობრივი თემების მონაწილეობის ხელშეწყობით.
- მოთხოვნადი პროდუქტის განსაზღვრისა და წარმოების ხელშეწყობი პროექტების მხარდაჭერა მწარმოებელი ორგანიზაციების მიერ: დამატებითი ღირებულება სოფლის დონეზე წარმოებისთვის და სასოფლო აქტივობათა დივერსიფიცირება, დასაქმების საშუალებები და ბაზარზე ხელმისაწვდომობა.
- შესაძლებლობათა აღქმის დონის ამაღლება, რათა მოხდეს რეაგირება კლიმატის ცვლილებაზე და შემცირდეს ამინდის ექსტრემალურ პირობებთან დაკავშირებული რისკი კონკრეტული რეგიონული და სათემო პროგრამების შექმნით, რომლებიც დაფუძნებული იქნება სათანადო და კარგ გამოცდილებაზე.

6. სუსტი სფეროები და SWOT ანალიზი

6.1. სექტორისთვის დამახასიათებელი SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<ul style="list-style-type: none"> • არსებობს განვითარების პოლიტიკა, სტრატეგია და მოქმედების გეგმა; • ახალი მთავრობისთვის სოფლის განვითარება და სოფლის მეურნეობა მაღალპრიორიტეტული საკითხია; • სოფლის მეურნეობის სფეროში არსებობის ზოგადი პოლიტიკა, მაგრამ იგი ჯერ განხორციელებული არ არის; • უკვე არსებობს და განვითარებულია მომსახურების მიწოდების მექანიზმები (მექანიზაცია); • ევროკავშირი აქტიურადაა ჩართული პოლიტიკის რეფორმების წარმართვის და მთავრობის მხრიდან რეაგირებისთვის მზადყოფნის გაუმჯობესების პროცესში; • ზოგადად ქართველები მჭიდროდ არიან დაკავშირებული სოფლის გარემოსთან და მრავალი ახდენს სოფელში ინვესტირებას. 	<ul style="list-style-type: none"> • არ არსებობს სოფლის განვითარების პოლიტიკის ჩარჩო; • არ არის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ორიენტირებული მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამები, გარდა კონკრეტულ შემთხვევებში დარიგებული მცირე ოდენობის დახმარებისა; • სოფლის განვითარებისთვის გარკვეული პროგრამების არსებობა, მაგრამ კონსოლიდირებული მიდგომისა და პოლიტიკის ჩარჩოს გარეშე; • ათეული წლის განმავლობაში სექტორი უგულვებელყოფილი იყო, სოფლის მეურნეობა და სოფლის განვითარება არ იყო პრიორიტეტული სფერო; • სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებების ურთიერთგადამფარავი უფლებამოსილებები სოფლის განვითარების მკაფიო მანდატის გარეშე; • არ არსებობს რაიმე სტრუქტურა, რომელზედაც სამინისტროები იქნებიან ფოკუსირებული სოფლის განვითარების თვალსაზრისით; • მთავრობის ხელმძღვანელობით მართული სასოფლო განვითარების სამსახურები ორიენტირებულია მოგებაზე და კავშირი არა აქვს სასოფლო განვითარების რაიმე სხვა პროცესთან; • არ არსებობს ადგილობრივ დონეზე მეწარმეობის ან ინიციატივების განვითარების მხარდამჭერი მექანიზმები; • სოფლის მეურნეობაში და სასოფლო ეკონომიკაში ჩართული სუბიექტების სუსტი შესაძლებლობები, არასამთავრობო, კერძო და ადგილობრივი ორგანოების ჩათვლით; • მთავრობის ინსტიტუტების შეზღუდული შესაძლებლობები ENPARD-ის ტიპის მიდგომების შექმნისა და განხორციელებისთვის; • შეზღუდული ადგილობრივი ინიციატივები

	<p>და პრიორიტეტების, შესაძლებლობებისა და განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების შესახებ დოკუმენტების სიმწირე;</p> <ul style="list-style-type: none">• სოფლის მეურნეობის სამინისტროში არ არსებობს ინსტიტუციური მეხსიერება, რაც გამოწვეულია ხშირი საკადრო რეფორმით და შესაძლებლობების შემოწმების არასათანადო პრაქტიკით;• ფერმერთა ორგანიზაციები სუსტია და მათ საზოგადოებაში უმნიშვნელო როლი აკისრიათ, პოლიტიკის შედარებით არამეგობრულ გარემოში.
--	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

საფრთხეები	შესაძლებლობები
<ul style="list-style-type: none"> • სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარება არ არის მიჩნეული სათანადო პრიორიტეტად; • მთავრობის მხრიდან არასათანადო რეაგირება ვერ უზრუნველყოფს სათანადო შედეგებს საქართველო-ENPARD-ის მიდგომიდან; • დეპოპულაციისა და მიგრაციის ტენდენციებით გამოწვეული სოფლის დაცარიელება; • ძირითადი სასურსათო პროდუქტის საიმედო მარაგი რისკის წინაშე დგას, რაც გამოწვეულია ეროვნულ დონეზე წარმოებისა და ტრადიციული მიწოდებლებისაგან მიწოდების შეწყვეტით კლიმატით გამოწვეული მძიმე პერიოდის დროს; • საფრთხის წინაშე დგას რძისა და ხორცის პროდუქტების ადგილობრივი მიწოდება, ენდემური დაავადებების გამო; • პოლიტიკური ნების ნაკლებობა მიწის რეფორმის სათანადო ღონისძიებების მიმართებით - დანაწევრებული ნაკვეთები და გამოუყენებელი მიწა. 	<ul style="list-style-type: none"> • განვითარების დიდი პოტენციალი აქვს სასოფლო ეკონომიკის ძირითად სექტორებს, როგორცაა, სოფლის მეურნეობა და ტურიზმი; • სოფლის მეურნეობითა და სოფლის განვითარების საკითხებით სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებია დაინტერესებული და ისინი მნიშვნელოვნად ეხმარებიან მთავრობას სოფლის მეურნეობის სფეროში სტრატეგიების, პროგრამებისა და პროექტების მომზადებაში; • დონორთა დახმარება შეიძლება გაიზარდოს რეფორმების რეაგირების უნარის გაზრდის პარალელურად; • შესაძლებელია სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მოდიფიცირება, რათა მათ ხელი შეუწყონ პოლიტიკის განხორციელებას; • ახალი ხელმძღვანელობა ძალზე მოტივირებულია და ორიენტირებულია სოფლის მეურნეობაზე; იგი დარგს უმაღლეს პრიორიტეტად მიიჩნევს; • უკვე შემუშავებულია კანონპროექტი ფერმერთა ორგანიზაციების შესახებ და ახალი მთავრობა მონაწილეობას მიიღებს მისი საბოლოო პროექტის დამტკიცებაში; • რუსეთის ბაზრების კვლავ გახსნა.

6.2. ყველაზე რელევანტური პრიორიტეტული სფეროების ჩამონათვალი

სოფლის განვითარების პოლიტიკისა და სტრატეგიის არარსებობის დაძლევა მნიშვნელოვან პრიორიტეტადაა აღიარებული. სოფლის მეურნეობის არსებული სტრატეგია სოფლის განვითარებას მხოლოდ ზოგადი ტერმინებით ეხება და ძირითადად სოფლის მეურნეობაზეა ორიენტირებული. დღეისათვის ისიც კი არ არის ნათელი, რომელი სახელმწიფო ინსტიტუტი იქნება პასუხისმგებელი სოფლის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელების პროცესის ზედამხედველობაზე. მოსალოდნელია, რომ იგი ჩართული იქნება სოფლის მეურნეობის სამინისტროს მანდატში. თუმცა ეს მოითხოვს მნიშვნელოვან სტრუქტურულ და საკანონმდებლო ცვლილებებს მთავრობის შიგნით და შესაძლებლობათა გაძლიერებას სამინისტროს სისტემაში.

7. რეკომენდაციები მოქმედებათა შესახებ, რომლებიც შეიძლება ორმხრივ კონტექსტში განხორციელდეს.

საქართველოსთვის შემუშავდა ENPARD პროგრამა; პირველად იგი აღმოსავლეთის პარტნიორობის ფარგლებში შეიქმნა. სოფლის მეურნეობის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის დასრულების შემდეგ გაფორმდება ფინანსური ხელშეკრულება. ხელშეკრულების განხორციელების პერიოდი 84 თვეა. ეს არის სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა, სოფლის მეურნეობის განვითარების, რომლის საერთო ღირებულება 40 მილიონი ევროა და იგი ორი ელემენტისაგან შედგება:

- საერთო ბიუჯეტის მხარდაჭერა (ცენტრალიზებული მენეჯმენტი): € 18 მილიონი
- პროექტის წარმართვის მეთოდოლოგია (ცენტრალიზებული/ერთობლივი მენეჯმენტი): € 22 მილიონი
მთავრობა დამატებით გამოყოფს ბიუჯეტიდან 54 მილიონ ევროს სოფლის მეურნეობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციისთვის. გათვალისწინებულია სხვა ინვესტიციები 3 მილიონი ევროს ოდენობით.

სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამის კონკრეტული მიზანია საქართველოში სოფლის მეურნეობის სექტორის გაუმჯობესება ეროვნული სტრატეგიული გეგმის განხორციელების მხარდაჭერით და მცირე ფერმერული ორგანიზაციების განმტკიცებით. მთავრობის მიერ შემუშავებულ სტრატეგიაში ჩამოყალიბებულია ხუთი ძირითადი შედეგი/პრიორიტეტი. ვინაიდან სხვა დონორები უკვე უზრუნველყოფენ ან გეგმავენ მხარდაჭერას სტრატეგიის პრიორიტეტულ სფეროებში (მაგ., აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო - ღირებულების ქსელის სფეროში), სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა ფოკუსირებული იქნება სტრატეგიის კონკრეტულ ასპექტებზე, სადაც (1) დონორები არ არიან აქტიური და (2) სადაც ევროკავშირს აქვს დამატებითი ღირებულება და/ან ცოდნა/გამოცდილება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა ფოკუსირებული იქნება ოთხ ძირითად შედეგზე, რომლებიც საქართველოს 2012-2022 წწ სოფლის მეურნეობის სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია:

- შედეგი 1. მცირე ფერმერთა შორის მტკიცე თანამშრომლობა;
- შედეგი 2. მცირე ფერმერებისთვის შესაძლებლობათა განმტკიცებაზე გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა;
- შედეგი 3. რეგულირებული და განვითარებული გეოგრაფიული მითითებები;
- შედეგი 4. სოფლის მეურნეობაში ჩართული ინსტიტუტების გაუმჯობესებული ეფექტიანობა.

საქართველოს ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტექნიკური დახმარების ელემენტს, ვინაიდან იგი ხელს შეუწყობს სკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნას, რომელიც ქვეყანას ENPARD-ის ტიპის მიდგომების განხორციელებისთვის სჭირდება.

ამავდროულად, სხვა დონორებმა, შესაბამისობაში უნდა მოიყვანონ თავიანთი აქტივობები, რათა კიდევ უფრო განამტკიცონ ეს პოზიტიური შესაძლებლობა და შესაბამისი სიგნალები გაუგზავნონ ახალ მთავრობას. ამ მიზნით ევროპის კავშირის დელეგაციაში (საქართველოში) შეიქმნა დონორთა კოორდინაციის ჯგუფი. ამ ჯგუფს დაეხმარება სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტით „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობათა განმტკიცება და მხარდაჭერა“. ამ კოორდინაციას რეგიონული განზომილებაც აქვს, რამეთუ საქართველო სამხრეთ კავკასიაში ინიციატივათა დამაკავშირებლის როლს ასრულებს.

7.1. სოფლის მეურნეობისა და სასოფლო სექტორის განვითარების ხარვეზების განსაზღვრა სამომავლო მოქმედებათა ფარგლებში

1. სასოფლო განვითარების პოლიტიკის არქონა

სასოფლო განვითარების პოლიტიკის არქონა ENPARD-ის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ელემენტია. ამ ხარვეზის განხილვა უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორებისთვის:

- სოფლის განვითარების საერთო პოლიტიკა და მხარდამჭერი მექანიზმები;
- ადგილობრივი მოქმედების ჯგუფები - მათი როლი და ფორმირება;
- სოფლის მეურნეობის მოწინავე გამოცდილების პაკეტის მომზადება, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცედურებთან ერთად.

2. მწარმოებელი ორგანიზაციები:

მწვავე საკითხი და ძირითადი პრობლემაა დანაწევრებული მიწის ნაკვეთები და ინსტრუმენტები, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს მიწის ნაკვეთების გასამსხვილებლად კოოპერაციებისა და ასოციაციების მეშვეობით. ამ თვალსაზრისით საჭიროა რეგიონული პოზიციის ჩამოყალიბება კოოპერატივების/მწარმოებელი ორგანიზაციების ფორმირების მიმართებით. პროდუქტისა და მომსახურებების განსაზღვრისას და იმ მოთხოვნების ჩამოყალიბებისას, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს მხარდაჭერაზე უფლების მოსაპოვებლად, გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი: უნდა იყოს ნებაყოფლობითი; ხელს უნდა უწყობდეს ზოგადი რეჟიმის მიზნებს; და უნდა იყოს სასარგებლო - წევრებისთვის შეთავაზებული მომსახურების ფარგლებისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით.

3. ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია.

არსებობს ღირებულებათა ქსელები, რომლებიც ამ სექტორისთვისაა დამახასიათებელი. შეფასების დროს გამოვლინდა ძირითადი შეზღუდვები; ესენია:

- სასოფლო თემებში პროფესიონალიზმისა და ტრენინგის დაბალი დონე;
- სტანდარტებთან, რეგულაციებთან, კანონმდებლობასთან და შედარებით ინფორმაციასთან დაკავშირებული ხარვეზები;
- ცუდად განვითარებული სურსათის უვნებლობის სისტემა; სანიტარიისა და ვეტერინარიის დონე.

3.1 რძე და რძის პროდუქტები

ადმოსავლეთი პარტნიორობის ფარგლებში ყველაზე ღირებული პროდუქტებია რძე და ხორცი, როგორც შიგა მიწოდებისთვის, ისე საერთაშორისო ვაჭრობისთვის. რეგიონის ქვეყნების დიდ ნაწილში რძის წარმოების ფუნქცია ძირითადად შინამეურნეობებს აკისრია, რომლებიც იყენებენ სამოვრებზე და მდებარეობაზე უფასო მისაწვდომობას. რძე და რძის წარმოება უპირველეს ყოვლისა ეროვნულ, ხოლო შემდეგ - რეგიონულ ბაზაზე უნდა იქნეს განხილული, როდესაც საქმე ეხება მოდერნიზაციის საჭიროებას, წარმოების განვითარებას, რეფორმებსა და კანონმდებლობის შექმნას. მასთან დაკავშირებული საკითხებია:

- რეგიონში საერთო და ჰარმონიზებული სტანდარტების ჩამოყალიბება რძისა და რძის პროდუქტებისთვის;
- რეგიონში რძის პროდუქტების წარმოების კომერციულ ჭრილში გადაყვანის ღონისძიებები;
- რეგიონში საწარმოებისთვის და თემებისთვის აკრედიტებული ფერმების (ბრუცელოზისაგან თავისუფალი) სტატუსის მიღწევის ღონისძიებები ცხოველთა დაავადებების პრევენციისა და კონტროლის პროგრამების მეშვეობით, განსაკუთრებით ბრუცელოზის და ტუბერკულოზის მიმართებით, რომლებიც ადვილად ვრცელდება ცხოველებსა და ადამიანებს შორის რძისა და რძის პროდუქტების მეშვეობით.
- რძის წარმოებაში უფრო მაღალი ხარისხისა და დამატებითი ღირებულების მიღწევის ღონისძიებები (მაგ., შეიძლება შემოღებული იქნეს გეოგრაფიული მითითებები რძის ნაწარმზე, ქართულ ღვინოზე წარმატებული გამოყენების მსგავსად)

3.2 მაღალი ღირებულების სოფლის მეურნეობა (HVA)

კერძო შინამეურნეობების მიწის ნაკვეთების მომხმარებლებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცენარეული კულტურები, განსაკუთრებით, ახალი ხილი და ბოსტნეული. ისინი შინამეურნეობების შემოსავლების, მიწის გამოყენების, შიდა მიწოდებისა და საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვან ნაწილს ქმნიან. მიწის გამოყენება მაღალი ღირებულების სოფლის მეურნეობისთვის მოიცავს ახლომდებარე მიწას (ბოსტანსა და ეზოს) და სახნავ მიწას სარწყავით.

7.2. წინადადებები საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ამ ხარვეზების აღმოფხვრის ხელშეწყობი მოქმედებების შესახებ

სამხრეთ კავკასიაში ძირითადი პრობლემა მიწის დანაწევრება, დარგში თანამშრომლობის ნაკლებობა და არასაკმარისი ტრენინგი და განათლებაა. სურსათით საიმედო მომარაგებას, განსაკუთრებით, ძირითადი მოხმარების მარცვლეულით, განსაკუთრებით კი - ხორბლით, საგულისხმო ადგილი უკავია სოფლის მეურნეობის სუბსიდირების ღონისძიებებში, რომლებიც სახელმწიფო პროგრამების მეშვეობით ფინანსდება.

ცხოვრების საშუალებების პერსპექტივის თვალსაზრისით სოფლის ოჯახებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რძისა და ხორცის წარმოებაა. მფლობელობისა და კონტროლის საშუალებები, და მალეობ ადგილებში თავისუფალი სამოვრების გამოყენება, საქართველოში და მთელ სამხრეთ კავკასიაში წინა პლანზე აყენებს სანიტარულ და ვეტერინარულ საკითხებს.

- ცხოველთა ტრანსსასაზღვრო დაავადებები და ზოონოზური დაავადებები. ცხოველთა დაავადებების პროგრესული განვითარება რეგიონს სერიოზულ ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ პრობლემებს უქმნის, ასევე, მეზობელ ქვეყნებსაც, ევროკავშირის ქვეყნების ჩათვლით. გავრცელებულ ცხოველთა და ზოონოზურ დაავადებათა შორისაა ბრუცელოზი, ტუბერკულოზი, თურქული, აფრიკული ღორის გრიპი, ციმბირის წყლული და ცოფი.
- ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურებზე მისაწვდომობის ნაკლებობა. ამ ქვეყნებში არ მომხდარა ცხოველთა ჯანმრთელობის მხარდამჭერი პოლიტიკის (რომელიც კვლავ ცენტრალიზებულ ხასიათს ატარებს) გაუმჯობესება საბაზრო ეკონომიკასთან ადაპტირების თვალსაზრისით, რაც გამოწვეულია სახელმწიფო და კერძო პროფესიონალთა ტექნიკური შესაძლებლობების ნაკლებობით.
- ფერმერებს შორის ცხოველთა და ადამიანის დაავადებათა შესახებ ცოდნისა და ინფორმირებულობის დაბალი დონე (ანუ, ბრუცელოზის, ტუბერკულოზის, და სხვ.)
- მიუხედავად იმისა, რომ მეცხოველეობის პროდუქტები (რძე და ხორცი) ყველაზე ღირებული პროდუქტების ჯგუფია აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში, და სოფლად ცხოვრების საშუალებათა შორის მთავარი ელემენტია, სექტორში დომინირებს მცირე, თვითკმარი და ნახევრად თვითკმარი მცირე მესაკუთრეები, რომლებსაც შეზღუდული რესურსების და ზრდის ნაკლები პოტენციალი აქვთ. მათ არ იყენებენ კომერციული დანიშნულებით, ან არ ხდება ბაზარზე ორიენტირება.

ცხოველთა ჯანმრთელობის საკითხი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ვაჭრობისა და ტრანსსასაზღვრო გადაადგილებისთვის, არამედ უვნებელი სურსათის მარაგის შექმნისთვისაც, რაც მნიშვნელოვანი ელემენტია საქართველოს მოსახლეობისთვის და ტურიზმისთვის. რეგიონის სამხარეულო და მენიუ დაფუძნებულია რძისა და ხორცის პროდუქტებზე, რომელთა მეშვეობითაც, ინფიცირების შემთხვევაში, შეიძლება გავრცელდეს ცხოველთა დაავადებები. საკითხის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თბილისში, საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში, სამხრეთ კავკასიის ეპიდემიოლოგიისა და ლაბორატორიული ტრენინგის პროგრამა დაფუძნდა.

ცხოველთა ჯანმრთელობისა და დაავადებების კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განხილვის მიზნით სამხრეთი კავკასიის ცხოველთა ჯანმრთელობის ფორუმი (რომელიც განვითარების ქსელს წარმოადგენს) უზრუნველყოფს საშუალებებს, რომლებიც ფოკუსირებული იქნება ცხოველთა ჯანმრთელობის

(შესაბამისად, საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე) სიტუაციაზე რეგიონში; ასევე უზრუნველყოფს სახელმძღვანელო მითითებებს მეცხოველეობის დარგისთვის და მეცხოველეობის პროდუქტებით ვაჭრობისთვის. ეს ფორუმი კონცენტრირებული იქნება ღონისძიებებზე, რომლებიც გააუმჯობესებს დაავადებათა პრევენციასა და კონტროლს. ამ რეგიონული ფორუმის დღის წესრიგი მოიცავს:

1. სახელმწიფო და კერძო პროფესიონალთა შესაძლებლობების განმტკიცება;
2. მეცხოველეობისა და სურსათის ინდუსტრიაში უშუალოდ ჩართული სუბიექტებისთვის ცნობიერების ამაღლების კამპანიები;
3. პრევენციის, კონტროლისა და ცხოველთა ჯანმრთელობაზე ზედამხედველობის და ადრეული გაფრთხილებისა და სწრაფი რეაგირების სისტემების პროგრამების შექმნის ხელშეწყობა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
4. რეგიონული და ეროვნული ვეტერინარული დიაგნოსტიკური ლაბორატორიების ოქმების ჰარმონიზება, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

7.3. მწარმოებელი ორგანიზაციები საქართველოში: წინადადებები ფორმირების შესახებ

მწარმოებელი ორგანიზაციების ფორმირებას ხელს შეუწყობს **საქართველო- ENPARD** -ის საბიუჯეტო დახმარების პროგრამა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იქნება, ფისკალურ და საკანონმდებლო ცვლილებებთან და გაძლიერებულ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად. ეს არის საგულისხმო მოცულობისა და ღირებულების პირველი ENPARD-ი. უნდა შეიქმნას 50 მწარმოებელი ორგანიზაცია.

საქართველო- ENPARD, ევროკავშირის გამოცდილების საფუძველზე, მწარმოებელი ორგანიზაციების ფორმირებისთვის საჭირო ზოგადი წესების, მოთხოვნების, პროცედურებისა და მეთოდოლოგიების შემუშავების სმუალებას შექმნის. მწარმოებელი ორგანიზაციების ფორმირება საქართველოში კიდევ უფრო გაზრდის სხვადასხვა ინსტრუმენტების კვლევებისა და განვითარების შესაძლებლობებს, რაც ხელს შეუწყობს მწარმოებელი ორგანიზაციების ამუშავებას, რომლებიც სოფლის მეურნეობისა და სასოფლიო განვითარების ეფექტიანობის ზრდის მექანიზმის როლს შეასრულებს.

საქართველო-ENPARD-ის ფარგლებში საჭიროა მწარმოებელ ორგანიზაციათა პაკეტის გათვალისწინება, რომელმაც უნდა მოიცვას მთავარი ღირებულების ქსელი (რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია შინამეურნეობების შემოსავლებისთვის) და სამუშაო ადგილების შექმნა დამატებითი ღირებულებების აქტივობების მეშვეობით. საქართველო-ENPARD ასევე კარგი საშუალება იქნება ინფორმაციის გავრცელებისთვის და უკუკავშირისთვის, რაც მოემსახურება მწარმოებელის ორგანიზაციების ფორმირებას აღმოსავლეთი პარტნიორობის ფარგლებში. იგი უნდა შეესაბამებოდეს აღმოსავლეთი პარტნიორობის ეგიდით ჩატარებული შეფასების შედეგად დადგენილ სამ პრიორიტეტს:

- (1) სოფლის პოლიტიკის განვითარება;
- (2) მწარმოებელი ორგანიზაციების ფორმირება;
- (3) საწარმოების მოდერნიზება, მათ შორის, რძისა და რძის წარმოებაში; სამომხმარებლო კულტურების წარმოებაში; მაღალი ღირებულების სოფლის მეურნეობაში (HVA); და მომსახურების მიწოდების ქსელში.

1) რძისა და ხორცის მიწოდების ქსელი

ვინაიდან რძე და ხორცი უპირველესი მნიშვნელობისაა რეგიონში ღირებულების ქსელის თვალსაზრისით, საჭიროა რძისა და ხორცის მწარმოებელი ორგანიზაციების ხელშეწყობა, როგორც ფორმირების პროცესში მყოფი, ისე უკვე არსებული ორგანიზაციებისთვის დახმარების გაწევის გზით. მაგალითად, შვედეთის საერთაშორისო განვითარების საგენტოს პროექტი საქართველოში დახმარებას უწევს რძისა და რძის პროდუქტების სექტორის განვითარებას. რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელ ორგანიზაციებთან მიმართებით მთავარი საკითხები იქნება:

- რძისა და რძის პროდუქტების სტანდარტების განსაზღვრა;

- რძის პროდუქტებისაგან (რძისაგან) მოგების მიღებისთვის საჭირო ღონისძიებები - მართული ნახირის ფორმირება, კვების, წველის, შენახვისა და დისტრიბუციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება;
- სათემო სათიბების მართვა და ჩართულობის ღონისძიებების გამოყენება/მოგების საზღვრების დადგენა (რაც აუცილებელია როგორც დაავადებების კონტროლისთვის, ისე მწვანე საფარის კონსერვაციისთვის);
- ნახირის/თემის აკრედიტაციის საშუალებები (ბრუცელოზისგან თავისუფალი) - სახელმძღვანელო და საინფორმაციო პაკეტი. საკითხები უნდა მოიცავდეს ღობურების შემოვლას, ტესტირებას, დაავადებებისა და ინფექციის გადამტანების კონტროლს, დაკვლის პოლიტიკას და დადებითი ტესტის შემთხვევაში კომპენსაციის საკითხს;
- ადგილობრივი ვეტერინარული სამსახურები, რომლებიც განახორციელებენ დაავადებათა მონიტორინგს, ტესტირებასა და შემდგომ ღონისძიებებს;
- გამოცდილების დაგროვება, რომელიც მწარმოებელი ორგანიზაციის წევრებისთვის იქნება სახელმძღვანელოც და მოთხოვნაც;
- მეცხოველეების ტრენინგი და განათლება, კარგი გამოცდილება და მენეჯმენტი.

2) სამომხმარებლო მარცვლეული კულტურების ქსელი - ხორბალი და სიმინდი

საქართველოში ხორბლის წარმოება განადგურებულია. ყოველწლიური წარმოება ეროვნული მოხმარების 10%-ს შეადგენს, ასევე დაბალია ხარისხიც (დაფქვის ხარისხი). იგივე მდგომარეობაა სიმინდთან დაკავშირებითაც. მწარმოებელი ორგანიზაციების ფორმირება მიმართული უნდა იყოს ისეთ ტერიტორიებზე, სადაც სათანადო სახნავი მიწების დიდი ფართობებია, კერძოდ, აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველოს დაბლობებში, სადაც მრავლადაა გამოუყენებელი მიწები, განსაკუთრებით, კახეთში.

სტრატეგიასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მწარმოებელი ორგანიზაციები უნდა შეიქმნას კონსოლიდირებულ მიწის ნაკვეთებთან, სადაც მნიშვნელოვანი ფართობებია ნათესებისთვის, ხორბლისთვის და ზეთოვანი კულტურებისთვის. მწარმოებელი ორგანიზაციის პაკეტში გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციის კონსოლიდაციისა და ფინანსური ინსტრუმენტები:

- ფინანსირება: დაბალპროცენტიანი აკრედიტივები, რომლებიც დაცულია კონსიგნაციით, სოფლის მეურნეობის კალენდრის შესაბამისად;
- მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირება და მათი კონსოლიდირება ბლოკებად;
- მომსახურებები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის და უხმოსავლიანობის უზრუნველყოფის პაკეტები;
- ჯიშებისა და მცენარეთა დაცვის პროდუქტების გამოცდა;
- მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია;
- საინვესტიციო კომპანიები - ელიტური და ჰიბრიდული სათესლე მასალების მიმწოდებელი ჯგუფები

3) მალაღლირებული სოფლის მეურნეობის მიწოდების ქსელი - ხილი, ბოსტნეული და კარტოფილი

მრავალი მწარმოებელი ორგანიზაცია, რომლებიც დღეისათვის ფუნქციონირებს, იზოლირებულ მთიან რაიონებშია შექმნილი, მიზნობრივი კრიტერიუმების გამო (ძირითადად - სიღარიბე, გენდერი, ეთნიკური კუთვნილება, ვისთვისაც სოფლის მეურნეობა არსებობის საშუალებაა). კრიტერიუმებმა უნდა მოიცვას ბარის მწარმოებლებიც, რომლებიც ხილსა და ბოსტნეულს აწარმოებენ მიწებზე, რომლებიც უზრუნველყოფილია საირიგაციო საშუალებებით. დახმარების ღონისძიებების ფოკუსირება უნდა მოხდეს ბაზრის კონკრეტულ მიწოდებაზე და პროდუქციის კონსოლიდაციის სისტემებზე, დახარისხებაზე, შეფუთვაზე, შენახვასა და დისტრიბუციაზე, რაც აუცილებელია მოცემულ ბაზარზე დამკვიდრებისთვის, ღირებულებისა და ხელმისაწვდომობის პერიოდების გაზრდისთვის. მთავარი მოთხოვნა უნდა იყოს წევრების მონაწილეობა თანადაფინანსებაში და მენეჯმენტში.

4) მომსახურების ორგანიზაციები

სექტორში მომსახურეთა დაბალი პროფესიონალიზმი დამახასიათებელია იმ ქვეყნებისთვის, სადაც დანაწევრებული მიწის ნაკვეთებია. სხვადასხვა სექტორებში მწარმოებელი ორგანიზაციების ფუნქციონირებისთვის საჭიროა, რომ მომსახურების ორგანიზაციებმა უზრუნველყონ რჩევები და კონსულტაციები, განსაკუთრებით, ვეტერინარიის, ზოოტექნიკის, აგრონომიის, ლოგისტიკის, დაგეგმვის, ფერმერული მეურნეობის მოვლის და მარკეტინგის სფეროებში.

ასეთი მომსახურებების განვითარება, მექანიზაციისა და ლოგისტიკის განვითარებად ცენტრებთან ერთად, მწარმოებელი ორგანიზაციების ზრდისა და წარმატების ძირითადი ელემენტი იქნება. მომსახურება შეიძლება დაუკავშირდეს მიწოდების პაკეტებს, სადაც მიმწოდებელი უზრუნველყოფს კონსულტაციებს პროდუქციის კომერციალიზაციასთან და შემოსავლების მდგრადობასთან დაკავშირებით, რათა ისინი არ იყვნენ დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფოს და/ან დონორის დახმარებაზე. უნდა გაიზარდოს მომსახურების ცენტრების სიცოცხლისუნარიანობა, განისაზღვროს შემოსავლების ნაკადი სახელმწიფოსგან, დონორებისგან და საბაზრო გარიგებებისგან. სახელმწიფოზე დაფუძნებული შემოსავლები უნდა დაეყრდნოს კერძო და სახელმწიფო სექტორების პარტნიორობას.

8. რეგიონული ხარვეზების გამოვლენა, პრიორიტეტების დადგენა და რეკომენდაციები სამომავლო მოქმედებებისთვის

ევროკავშირსა და მისი აღმოსავლელი პარტნიორების (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა) თანამშრომლობა ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა უმნიშვნელოვანესი ელემენტია. აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნები ორ განსხვავებულ გეოგრაფიულ ბლოკს ქმნის: სამხრეთი კავკასია - საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი; და ცენტრალური ევროპის ქვეყნები - მოლდოვა, უკრაინა და ბელორუსი.

აღმოსავლეთი ევროპა (EE)

ბელორუსი, მოლდოვა და უკრაინა

ევრაზიის სტეპი და მოლდოვისა და უკრაინის შავმიწა ნიადაგი, ჭაობიანი ნიადაგი, ტყე და ბელორუსიის თიხა ნიადაგები



სამხრეთი კავკასია (SC)

სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო

ამიერკავკასია, აღმოსავლეთი ევროპის და სამხრეთ-დასავლეთი აზიის მოსაზღვრე რეგიონი, მოიცავს მტკვარი-არაქსის აუზს, შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შორის.



პლატფორმები აღმოსავლეთი პარტნიორობის მრავალმხრივი მიმართულების მთავარი ელემენტია. ისინი ასახავენ აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ძირითად სფეროებს. ეს სფეროებია:

- დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა (პლატფორმა 1);
- ✓ **ეკონომიკური ინტეგრაცია და დაახლოება ევროკავშირის პოლიტიკასთან (პლატფორმა 2);**
- ენერგეტიკული უსაფრთხოება (პლატფორმა 3) და
- კონტაქტები ადამიანებს შორის (პლატფორმა 4).

აღმოსავლეთი პარტნიორობის მრავალმხრივი პლატფორმების ზოგადი მითითებებისა და დებულების შესაბამისად (2009 წლის 5 ივნისი) შეიქმნა აღმოსავლეთი პარტნიორობის სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების საბჭო. მას ხელმძღვანელობს სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების გენერალური დირექტორატი, ხოლო განვითარებისა და თანამშრომლობის გენერალური დირექტორატი უზრუნველყოფს საბჭოს წინადადებების შესაბამისობას განვითარების პოლიტიკასთან და მითითებებთან.

ქვემოთ მოცემულია საბჭოს მიზნები, რომლებსაც დაამტკიცებენ აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნების სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების რეგიონული ტექნიკური სემინარის მონაწილეები 2012 წლის ნოემბერში:

- სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების სფეროში ევროპის კავშირისა და პარტნიორი ქვეყნების გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისთვის ხელშეწყობა, დარგის კონკრეტული სტრატეგიების, პოლიტიკისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების ჩათვლით;
- სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების ევროკავშირის პროგრამის (ENPARD) შემდგომი განვითარებისა და განხორციელების ხელშეწყობა - პარტნიორ ქვეყნებში სექტორის საერთო პრობლემების გამოვლენისა და საერთო გადაწყვეტების მოძიების პროცესში დახმარების გაწევის მეშვეობით, რომლებიც გამოყენებული უნდა იქნეს ეროვნულ და რეგიონულ დონეზე;
- პარტნიორი ქვეყნების მიერ ეროვნულ და რეგიონულ დონეზე განხორციელებული ღონისძიებების თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა და დუბლირების თავიდან აცილება.

საბჭოს საქმიანობა უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- მონაწილეთა შორის ინფორმაციისა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარება (შეხვედრებათა წარდგენისა და ურთიერთგაცვლის ფორმით), პოლიტიკის მეთოდების, პროცედურული მოთხოვნების (მათ შორის, დაინტერესებულ სუბიექტთა ჩათვლით), ადმინისტრაციული და ორგანიზაციული მოთხოვნების ჩათვლით; და სხვ.
- ჩარევის სფეროების განსაზღვრა, რაც განხილული უნდა იქნეს იმ პროგრამების დადგენამდე, რომლებიც თანადაფინანსებული იქნება ევროკავშირის და/ან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (IFIs) მიერ.

8.1. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სასოფლო განვითარების სექტორში რეგიონული განსხვავებების შეფასება, მეცხოველეობის სექტორის ჩათვლით

ზოგადად, სამხრეთი კავკასიისა და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებს შორის (რომლებიც ქმნიან აღმოსავლეთი პარტნიორობის კომპონენტს), მკაფიო განსხვავებაა. სამხრეთი კავკასიის ქვეყნებში 'თვითდასაქმებული' მცირე მესაკუთრეები მთელი ფერმერული მეურნეობების 97.33%-ს ფლობენ და პრაქტიკულად მცენარეულ და ცხოველურ პროდუქციას მთლიანად ისინი აწარმოებენ. 'თვითდასაქმებულებს', აღმოსავლეთ ევროპაში იგივე კატეგორიების მსგავსად, არც ფინანსური და არც სტატისტიკური სტატუსი არ გააჩნიათ, გარდა ადგილობრივი მოსაკრებლებისა და მიწის გადასახადისა. სტატისტიკა ფაქტობრივად ძალზე ფართო დიაპაზონზეა დაფუძნებული, რაც თითქმის არასისტემურია. არ არის მონაცემები ბაზარში ჩართულობის, ეკონომიკური ზომის და რეალური მუშა ერთეულების შესახებ.

მიწის მცირე ფართობები, რომლებსაც მიწის განაწილების შემდეგ სოფლის მოსახლეობა ფლობს (ბელორუსიის გარდა), ცალკე ნაკვეთებადაა დანაწილებული, ტიპების მიხედვით, ბოსტნების ჩათვლით. ყოველივე ეს, გაერთიანებებისა და თანამშრომლობის დაბალ დონესთან ერთად, გლეხურ მეურნეობაზე დაფუძნებულ სოფლის მეურნეობას ქმნის. შეფუთვის, შენახვის, მოვლისა და დისტრიბუციის ინფრასტრუქტურის არქონა და შეზღუდული საბაზრო ქსელები აფერხებს დამატებითი ღირებულების განვითარებას ხარისხისა და ხანგრძლივი სეზონური ხელმისაწვდომობის მეშვეობით. ყოველივე ამას თან სდევს დიდი დანაკარგები.

A. მიწის გამოყენება: EaP6 (SC3 & EE3) შედარებული EU27-თან (მილიონი ჰა)				
	SC3	EE3	EU27	სულ
მთლიანად მიწის ფართობი	18.63	84.51	400.42	503.56
სასოფლო-სამეურნეო (ს/ს) ფართობი ჰა	9.91	53.92	170	233.8
სასოფლო-სამეურნეო ფართობი %	53.2%	63.8%	42.5%	46%
სახნავი	3.25	42.62	97.3	143.2
მრავალწლიანი	0.57	1.33	10.9	12.8
სხვა	5.60	9.97	61.8	77.37
B. მიწის მფლობელობა: EaP6 (SC3 & EE3) შედარებული EU27-თან (მილიონი)				
მოსახლეობა სულ	16.7	58.82	502.5	578.02
სოფლად %	45%	31.55%	23%	24.5%
სოფლად სულ	7.51	18.56	115.57	141.64
სოფლის მეურნეობაში %	44.3%	9.2%	5.2%	6.7%
სოფლის მეურნეობაში	7.4	5.35	26	38.75
ნაკვეთების რაოდენობა	2.7	7.8	14	24.5
საშუალო ზომის ნაკვეთი	1.48 Ha	1.4H a	14 Ha	
ვერძო / HH	97.33%	45.9%	47% ⁶⁾	63.41%
ს/ს საწარმოები	2.67%	54.1%	53%	

სამხრეთი კავკასიის ქვეყნების საერთო მახასიათებელი, განსაკუთრებით 2007 წლის გვალვისა და მარცვლეულის ტრადიციული მიმწოდებლების შეზღუდვების ფონზე, საიმედო სურსათის მარაგის განვითარების აუცილებლობაა, განსაკუთრებით - ხორბლის. ამ ამოცანის გადაჭრას ხელი შეუწყვეს ფინანსირებითა და სუბსიდიებით, რაც საბაზინო სქემებით განხორციელდა.

მარცვლეულის წარმოების ეს აუცილებლობა თავისთავად ხელს უწყობს მიწის ფართობების ბლოკებად კონსოლიდირებას - მწარმოებლებისა და სოფლის მეურნეობის კოოპერატივებისთვის ფორმალური და საკონონმდებლო სისტემების შექმნის მეშვეობით. ამავდროულად გათვალისწინებული უნდა იქნეს დაბრკოლებებისაგან განთავისუფლების საშუალებები, საქონელბრუნვისა და დამატებითი ღირებულების ზღვრების ჩათვლით.

⁶ განსაზღვრულია როგორც ნაკლები, ვიდრე 1 ESU = €1200

ამ ქვეყნებს მნიშვნელოვანი პრობლემები აქვთ ირიგაციასთან და მისგან გამომდინარე პრობლემებთან დაკავშირებით, რაც ძალაში ნიადაგების არასათანადო დამუშავების შედეგია, რაც ნიადაგის პროდუქტიულობის დაცემას იწვევს. პრობლემურია გამოუყენებელი მიწების საკითხიც, რომლებსაც მეპატრონეები უბრალოდ არ ამუშავებენ - ასეთი მიწები ასი ათასობით ჰექტარია.

აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთი კავკასიისაგან განსხვავებით, ძალიან დიდი საწარმოებია, განსაკუთრებით ბელორუსიასა და უკრაინაში. თუმცა, უკრაინასა და მოლდოვაში ასევე ბევრია მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების მფლობელებიც, ბოსტნების ჩათვლით, სადაც იგივე პრობლემებია, რომლებიც სამხრეთი კავკასიის ქვეყნებში, უბრალოდ აქვთ უკეთესი მიწა და კლიმატური პირობები.

სამხრეთი კავკასიის ქვეყნებში სახელმწიფოს საკუთრებაში მიწის დიდი ფართობები და სათემო საძოვრებია, რომლებიც პირუტყვის ძოვის ერთადერთი წყაროა. მათ ინდივიდუალური მფლობელები ჰყავთ. ამ საძოვრებზე და ზაფხულის მაღალთიან საძოვრებზე დიდი ოდენობით ნახირის ძოვების შედეგად იქმნება მწვანე საფარის მენეჯმენტისა და ცხოველთა ჯანმრთელობის კონტროლის პრობლემა, ქვეყნის შიგნით და სასაზღვრო რეგიონებში. რეგიონში გავრცელებული ზოონოზური და ენდემური დაავადებების ნუსხა საკმაოდ დიდია. უკრაინასა და მოლდოვაში მეცხოველეობას ძირითადად მცირე ფერმერები მისდევენ. მათი საქონელი მახლობელ სათემო საძოვრებზე ძოვენ, რითაც ხელს უშლიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებას და პრობლემებს უქმნიან (უმართავ) საძოვრებს და მიწისზედა წყლებს, რადგან პირუტყვს შინამეურნეობების ეზოებში ინახავენ.

ვაჭრობისა და წარმოების განვითარება ყველა ქვეყანაში რთული საკითხია, სავაჭრო ბლოკების ფარგლებში კვოტებისა და ტარიფების შესახებ მოლაპარაკებების ჩათვლით, მათ შორის, ევროკავშირის, საბაჟო კავშირის და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კონტექსტში.

ეროვნულ დონეზე საკითხები უფრო პრაგმატულია; ესენია: საერთო წესები და სტანდარტები, ინფორმაცია საქმიანობისა და ფასების სტრუქტურის შესახებ, და ტექნიკური ბარიერები, განსაკუთრებით, სანიტარია და ფიტოსანიტარია.

8.2. რეკომენდებული მოქმედებები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს რეგიონულ კონტექსტში

მრავალმხრივი თანამშრომლობის ჩარჩო

მოსალოდნელია, რომ ENPARD-ის მიდგომა დაეხმარება პარტნიორ ქვეყნებს უფრო ეფექტიანად იმოქმედონ უცხო ბაზრებზე, მაქსიმალური სარგებელი მიიღონ ღმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცეებიდან, ქვეყნის შიგნით მოახდინონ ფერმერული მეურნეობების სტიმულირება და ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების სტრატეგიების განხორციელებას.

აგრარული და სასოფლო განვითარების ძირითადი რეგიონული მსგავსება, რომელსაც მეტ-ნაკლებად ვხვდებით აღმოსავლეთი პარტნიორობის თითოეულ ქვეყანაში, შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს, კერძოდ: (ა) აგრო-სურსათის მიწოდების ქსელის შეზღუდულობა და არაქმედითობა; და (ბ) ინსტიტუციური და პოლიტიკის შეზღუდულობა და არაქმედითობა.

A. აგრო-სასურსათო მიწოდების ქსელის შეზღუდვები და არაქმედითი მხარეები:

- A.1 დანაწევრებული მიწის ნაკვეთები და მწარმოებელთა შორის თანამშრომლობისა და ინტეგრირების ნაკლებობა;
- A.2 სასოფლო თემებში პროფესიონალიზმისა და ტრენინგების დაბალი დონე;
- A.3 სტანდარტების, რეგულაციების, კანონმდებლობისა და შედარებითი ინფორმაციის ნაკლებობა;
- A.4 სურსათის უსაფრთხოების არარსებობა სტრატეგიული მარცვლეულური და ცხოველური წარმოშობის პროდუქციის მიმართ;
- A.5 მოძველებული ტექნოლოგია და სოფლად სათანადო ინფრასტრუქტურის არარსებობა
- A.6 სოფლის მეურნეობის სფეროში კარგი საქმიანობისთვის კოდექსის ან სტიმულების არარსებობა.

B. ინსტიტუციური და პოლიტიკის შეზღუდვები და არაქმედითობა:

- B.1 სურსათის უვნებლობის განვითარებული სისტემა: სანიტარულ-ვეტერინარული
- B.2 სოფლის განვითარების პოლიტიკის, გაწერილი კომპეტენციების ან საბიუჯეტო რესურსების არარსებობა
- B.3 წარმოების სუბსიდირებაზე კონცენტრირება, ურთიერთშეთავსების მექანიზმის არსებობის გაერშე
- B.4 მრავალი პრიორიტეტის გამოკვეთის საჭიროება და მათი ჩართვა საბიუჯეტო სქემებში.

ყველა ზემოაღნიშნული გამოწვევა თითოეულ ქვეყანაში შეიძლება კატეგორიულად დალაგდეს სექტორის მხარდაჭერის მიდგომების, პოლიტიკისა და ამოცანების პრიორიტეტების და ვაჭრობაში ჩართულობის ფარგლების მიხედვით. თუმცა, გამოწვევათა საერთო მახასიათებლები და მათი გადაჭრის გზები, სამომავლო რეგიონულ აქტივობებზე ფიქრის საშუალებას იძლევა. ეს აქტივობები ხელს შეუწყობს და დაეხმარება რეგიონის ყველა ქვეყანას. მხარდაჭერის სფეროები/საჭიროებები სამ ფართო თემატურ ნაწილად შეიძლება დაიყოს; ესენია:

1. სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების პოლიტიკა, განვითარების ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩო:

აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებში ხშირად ხდებოდა სოფლის მოსახლეობის იგნორირება პოლიტიკისა და პროგრამების შექმნისა და განხორციელების პროცესებში. პოლიტიკის ასეთი ვაკუუმის შედეგად მოხდა სოფლების დეპოპულაცია, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ქალაქებში ან საზღვარგარეთ მიგრაციის გზით. ეს უარყოფითი დემოგრაფიული ტენდენცია, აგრარული ინდუსტრიის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ენერჯიული მუშახელის საჭიროებასთან ერთად, უფრო ძლიერ პოლიტიკასა და ინსტიტუციურ მიდგომებს მოითხოვს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს განვითარება.

1.1 სოფლის განვითარების პოლიტიკა, კომპეტენცია და საბიუჯეტო რესურსები

- 1.1.1 საჭიროა შემუშავდეს მკაფიო სასოფლო პოლიტიკა, დადგენილი კომპეტენციები და სტრატეგიული პრიორიტეტები, რომლებიც განმტკიცებული იქნება განსაზღვრული საბიუჯეტო სქემით;
- 1.1.2 საჭიროა პოლიტიკა და პროგრამები სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად სტრატეგიული მარცვლეულისა და ცხოველთა ჯიშების წარმოებისათვის და წარმოების სუბსიდიებისა და დანმარებების სქემის მოდიფიცირება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ფერმერული პრაქტიკისა და სტანდარტების ურთერთთავსებადობა და გაუმჯობესება.

1.2 სტანდარტები და რეგულაციები

- 1.2.1 საჭიროა აგრო-სურსათის ნაწარმის სტანდარტები, რეგულაციები, კანონმდებლობა და შედარებითი ინფორმაცია წარმოების შესახებ (მთლიანი მარჟა)
- 1.2.2 საჭიროა სისტემების განვითარება, სურსათის უვნებლობისა და ცხოველთა ჯანმრთელობის სტანდარტების უზრუნველსაყოფად

2. სოფლის მეურნეობის და მეცხოველეობის სექტორის კონკურენტუნარიანობა და მდგრადი გაძლიერება

2.1 მიწის მართვა და გარემოს გაუმჯობესება

- 2.1.1 საჭიროა პოლიტიკისა და პროგრამების განვითარება, რათა მოგვარდეს მიწის დანაწევრებისა და მწარმოებელთა თანამშრომლობისა და ინტეგრაციის პრობლემები;

- 2.1.2 საჭიროა პროგრამების განვითარება, რათა გაიზარდოს როგორც ფერმერული, ისე არაფერმერული მეურნეობების მუშაკთა პროფესიონალიზმი და პროფესიული ტრენინგის საშუალებები;
- 2.1.3 საჭიროა გაუმჯობესდეს ხელმისაწვდომობა სოფლის მეურნეობის სათანადო ტექნოლოგიებზე და სოფლის სათანადო ინფრასტრუქტურაზე;
- 2.1.4 საჭიროა კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გონივრული და მართვადი კოდექსის შექმნა.

3. თემის მიერ მართული სასოფლო განვითარება

3.1 ცხოვრების დონის გაუმჯობესება და ეკონომიური აქტიობის დივერსიფიცირების ხელშეწყობა

- 3.1.1 საჭიროა თემის მიერ სასოფლო განვითარების მართვის ხელშეწყობა, რათა გაუმჯობესდეს სოფლად ცხოვრების პირობები;
- 3.1.2 საჭიროა დახმარების სისტემებისა და ღონისძიებების ხელშეწყობა სოფლად ეკონომიკური, სოციალური და კულტურული (მდგრადი) მრავალფეროვნების განვითარების მიზნით.

9. დასკვნები და მიღებული გაკვეთილები

9.1. მიმოხილვა

ამ კვლევაში (საქართველოში აგრარული და სასოფლო სექტორების განვითარების შეფასება) განხილულია საქართველოში სოფლის მეურნეობისა და სასოფლო სექტორების განვითარების მნიშვნელობა, აღიარებულია მათი მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი და მნიშვნელობა ეროვნულ ეკონომიკაში და მისი მოდერნიზების მწვავე აუცილებლობა. კვლევაში გათვალისწინებული იყო კონსულტაციები სოფლის მეურნეობაში ჩართულ სუბიექტებთან, სამთავრობო ორგანოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, დონორების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ჩათვლით. კვლევაში ჩართული იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- საქართველოში სოფლის მეურნეობის და სასოფლო განვითარების სექტორების საბაზისო და ძირითადი მონაცემები;
- სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების სამთავრობო პოლიტიკის სტატუსი.
- საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტების სფერო და ძირითადი ღონისძიებები;
- ინფორმაცია ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების შესახებ და სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების ხელშეწყობის პრინციპები;
- სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარებისთვის პრობლემებისა და მათი გადაწყვეტის განსაზღვრის მნიშვნელობა;
- როგორ შეესაბამება სათანადო სამთავრობო პროგრამები ENPARD-ის მიდგომას, და ევროკავშირის ფონდებიდან სარგებლობის მიღების შესაძლებლობა ENPARD-ის პროგრამის მეშვეობით.

სემინარი (დანართი 3), რომელშიც მთავარი სუბიექტები მონაწილეობდნენ, ორგანიზებულ იქნა სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების სექტორში ეროვნული ინიციატივებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირებისა და განსაზღვრის მიზნით. შემუშავდა ძირითადი რეკომენდაციები:

- სოფლის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტია; ვინაიდან სოფლის მეურნეობას და სასოფლო ტერიტორიებს მნიშვნელოვანი წილი უკავია ქვეყნის მოსახლეობაში, დასაქმებაში და მშპ-ში, ამ პრიორიტეტის შენარჩუნება სასურველია;
- სათანადო პოლიტიკისა და ფონდების უქონლობის გამო სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების მხარდაჭერას უმნიშვნელო ყულადღეობა ექცეოდა. გარდა ამისა, ფერმერთა ორგანიზაციების სტიმულირების ნაკლებობამ სოფლის მოსახლეობის/თვითდასაქმებული ფერმერების გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან გამორიცხვა გამოიწვია. აქედან გამომდინარე, სექტორის მხარდაჭერა უნდა მოიცავდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და მოდერნიზაციის ღონისძიებებს, ასევე, სოფლის განვითარებას.
- საჭიროა მთავრობის პოლიტიკის გაუმჯობესება და ფინანსების უზრუნველყოფა სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარებისათვის.

- ახალი მთავრობა სოფლის მეურნეობის სექტორისა და დახმარების ფორმის რადიკალურ შეცვლას აპირებს. ამ სწრაფვის რეალიზებისათვის მას საგულისხმო დახმარება სჭირდება, რათა გაუმჯობესდეს ინსტიტუციური შესაძლებლობები და წინ აღუდგეს მოსალოდნელ გამოწვევებს. კონსტრუქციულ რეფორმებს ხელი უნდა შეუწყოს ყველა დაინტერესებულმა სუბიექტმა, რათა მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ყველა არსებული (ინსტიტუციური და პერსონალური) რესურსი.
- საქართველო-ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებით რელევანტურია ტექნიკური დახმარების ელემენტი, რადგან იგი ხელს შეუწყობს ქვეყნის საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს მშენებლობას ENPARD-ის ტიპის მიდგომების განხორციელებისთვის. პარალელურად დონორებმა თავიანთი მოქმედებები უნდა შეუსაბამონ ამ პოზიტიური განვითარების შემდგომ მხარდაჭერას.
- ENPARD-ის ღონისძიებებისა და მიდგომების ტესტირება უნდა მოხდეს განმახორციელებელი სტრუქტურების მიერ, ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რაც ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების საშუალებაა. ეს ინსტიტუტებს საშუალებას მისცემს უფრო აქტიური როლი შეასრულონ პროგრამის შემდეგი ციკლის განხორციელებაში.
- საქართველოს მთავრობა ყოველთვის აღიარებდა, რომ რეგიონულ მიდგომებსა და ინიციატივებში ქვეყანა ცენტრალურ როლს ასრულებს.

საქართველო-ENPARD-ის პროგრამის მიმდინარეობა და შედეგები მნიშვნელოვან უკუკავშირს შექმნის სოფლის მეურნეობის განვითარების ღონისძიებების მიმდინარეობისა და მათი შედეგების მიმართებით. სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების საბჭო, რომელიც უკვე შექმნილია, შექმნის პლატფორმას, რომელიც, ENPARD-ის მიმდინარეობის პერიოდში, განავითარებს, გააფართოებს და დაასრულებს მიდგომებს, და უზრუნველყოფს მათ დახვეწასა და მოდიფიცირებას.

9.2. რეგიონის საერთო დღის წესრიგის საკითხები სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების საბჭოსთვის

1	სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების პოლიტიკა; ინსტიტუციური და მარეგულირებელი ჩარჩოს განვითარება
1.1	სასოფლო განვითარების პოლიტიკა, კომპეტენცია და საბიუჯეტო რესურსები
1.1.1	საკითხი: არ არსებობს სოფლის განვითარების პოლიტიკა, განსაზღვრული პოლიტიკა, ან საბიუჯეტო სქემაში განსაზღვრული სტრატეგიული პრიორიტეტები.
1.1.2	საკითხი: ურთიერთთანხვედრის მექანიზმების ჩართვა სახელმწიფო დახმარების ღონისძიებებში, რაც მიზნად ისახავს სტრატეგიული მარცლეულისა და ცხოველურ პროდუქტებში სურსათის უსაფრთხოების გაუმჯობესებას.
1.2	სტანდარტები და რეგულაციები
1.2.1	სტანდარტების, რეგულაციების, კანონმდებლობის და შედარებითი ინფორმაციის ხარვეზები საკითხი: საერთო სტანდარტების საჭიროება, რომლებიც აკმაყოფილებენ ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტებს, რათა ჩართული იქნეს შესაბამისობის უზრუნველყოფის მექანიზმები - არსებული რეგულაციების მონიტორინგისა და შემოქმედების მექანიზმები.

1.2.2	<i>სურსათის უვნებლობისა და ცხოველთა ჯანმრთელობის დაბალგანვითარებული სისტემა საკითხი: სანიტარულ და ფიტოსანიტარულ სტანდარტებთან შესაბამისობა, განსაკუთრებით, ვეტერინარულ-სანიტარულ სტანდარტებთან ცხოველებისათვის და ცხოველური წარმოების პროდუქტებისთვის.</i>
2	<i>სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის სექტორის კონკურენტუნარიანობა და მდგრადი პროდუქტიულობის განმტკიცება</i>
2.1	<i>მიწის მართვა და გარემოს გაუმჯობესება</i>
2.1.1	<i>დანაწევრებული მიწის ნაკვეთები და მწარმოებელთა თანამშრომლობისა და ინტეგრაციის ნაკლებობა საკითხი: მცირე და დანაწევრებული მიწის ნაკვეთების დომინირება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის არასაიმედო მიწოდება</i>
2.1.2	<i>სოფლის თემებში პროფესიონალიზმისა და ტრენინგის დაბალი დონე საკითხი: სოფლად მცხოვრებ მწარმოებელთათვის ტრენინგსა და განათლებაზე ხელმისაწვდომობა, საგანმანათლებლო ცენტრების, ფერმერთა სკოლებისა და კოლეჯის კურსების მეშვეობით</i>
2.1.3	<i>მოძველებული ტექნოლოგია და სოფლად სათანადო ინფრასტრუქტურის ნაკლებობა საკითხი: წარმოებისა და მოსავლის შემდგომი აქტივობებისთვის მოძველებული და არაეფექტიანი სისტემები, საწყობის, შენახვის, დისტრიბუციისა და ბაზრების</i>
2.1.4	<i>სოფლის მეურნეობის კარგი პრაქტიკის რეგიონული კოდექსი საკითხი: სოფლის მეურნეობის კარგი პრაქტიკისა და დამხმარე მექანიზმების კოდექსის განსაზღვრა, წყლით მომარაგებისა და ირიგაციის სისტემების ჩათვლით</i>
3	<i>თემის მიერ მართული სასოფლო განვითარება</i>
3.1	<i>ცხოვრების პირობების გაუმჯობესება და ეკონომიკური აქტივობების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა</i>
3.1.1	<i>თემის მიერ განხორციელებული სასოფლო განვითარების ხელშეწყობა საკითხი: სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარებაში თემის მონაწილეობის ხელშეწყობი მექანიზმი და სოფლის განვითარების პოლიტიკა და სტრატეგიის განვითარება</i>

სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების საბჭოსთვის შეთავაზებული პირველი თემა (ტექნიკური სემინარი, 2012 წლის 19 ნოემბერი): 'რა არის სასოფლო განვითარება?'

10. მითითებები და გამოყენებული წყაროები

1. საქართველოს ეროვნული პროგრამა, 2011-2013 წწ.
2. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტი, 2007-2013 წწ.
3. ევროკავშირი/საქართველოს სამოქმედო გეგმა
4. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის 2011 წლის მოხსენება ქვეყანაში მოვლენათა მიმდინარეობის შესახებ (Country Progress Report) 2011 წ. - საქართველო, 2012 წლის მაისი
5. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება საქართველოში, 2011 წლის მიღწევები და რეკომენდაციები მოქმედებისთვის
6. სტატისტიკის ეროვნული ოფისი (ჯეოსტატი)
7. Review of EU-Assisted Development Aid in the Agriculture Sector in Georgia, საბოლოო მოხსენება, პროექტი No. 2010/247181
8. ტექნიკური და ადმინისტრაციული დებულებები: ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარებისთვის (ENPARD - საქართველო)
9. მოდერნიზაციისა და დასაქმების ათპუნქტიანი სტრატეგიული გეგმა 2011-2015 (საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული)
10. სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სექტორის სტრატეგია, 2012-2022 წწ.
11. სურსათის უვნებლობის ყოვლისმომცველი სტრატეგიისა და კანონმდებლობის დაახლოების პროგრამა, საქართველო
12. საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგია, 2010 – 2017წწ.
13. <http://www.mof.ge/en/Budget>
14. საბოლოო მოხსენება Support Added Value Enterprise Activity, 2009, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო, Agvantage
15. სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სტრატეგიული დოკუმენტი, საქართველო
16. ევროკომისიის/სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის პროგრამა „საინფორმაციო სისტემები სურსათის უსაფრთხოების სფეროში გადაწყვეტილების მიღების გაუმჯობესებისთვის აღმოსავლეთი პარტნიორობის ფარგლებში“: *კონფერენცია საქართველოში მცირე ფერმერთა ორგანიზაციების პოლიტიკისა და პროგრამების მხარდაჭერის შესახებ – საქართველოსა და ევროპის შერჩეული ქვეყნების გამოცდილების მიმოხილვა*
17. www.foodsec.org/web/regional/europe/georgia/en/: სურსათის უსაფრთხოება და სოფლის მეურნეობის ძირითადი ასპექტები
18. CARE, კონფერენცია მცირე ფერმერთა განვითარების შესაძლებლობების შესახებ, 2012 წლის 21 ივნისი: *საქართველოს სასოფლო განვითარების კონცეფციის განმარტება*.
19. აფრიკული ღორის გრიპი: ამიერკავკასიაში ტრანსსასაზღვრო დაავადების კვლავ გავრცელების პერსპექტივა, FAO REUD, ცხოველთა წარმოებისა და ჯანმრთელობის განყოფილება.

20. OIE პროექტი „ბრუცელოზის, ტუბერკულოზის, ცოფის, თურქული და ციმბირის წყლულის დაავადებების ზედამხედველობა და პროფილაქტიკა დსთ-ის ქვეყნებში“
21. ათასწლეულის გამოწვევის ანგარიში, მონიტორინგის მოხსენება: საქართველო, 2010 წელი
22. მსოფლიო ბანკი, სოფლის განვითარების პროექტის განხორციელების დასასრული და შედეგების შესახებ ანგარიში, 2012 წლის ივნისი
23. საქართველოში სიღარიბის შეფასება (მსოფლიო ბანკი, 2009 წლის აპრილი)
24. სტატისტიკა, ტენდენციები, მითითებები: EUROPA, EUROSTAT, FAOSTAT, GEOSTAT, IndexMundi, World DataBank, USDA, IMF

11. დანართები

დანართი 1: ფერმერთა მომსახურების ცენტრები (ფმც) და მექანიზაციის
მომსახურების ცენტრები (მმც)

დანართი 2: ორგანიზაციული სქემა, აგრარული და სასოფლო განვითარება

დანართი 3: სემინარი, 2012 წლის 18 ოქტომბერი

დანართი 1: ფერმერთა მომსახურების ცენტრები (ფმც) და მექანიზაციის მომსახურების ცენტრები (მმც)

MCC/CNFA/ADA პროექტი

N	სახელწოდება	რეგიონი	რაიონი	ტიპი
1	შპს 'ქართლის ჰოლდინგი' (ზაზა ავალიშვილი)	ქვემო ქართლი	ბოლნისი	ფმც/მმც
2	ინდემწარმე სოლომონ ქოროლიშვილი	კახეთი	სიღნაღი	ფმც/მმც
3	ინდემწარმე ამბროსი მაჭარაშვილი	კახეთი	ლაგოდეხი	ფმც/მმც
4	შპს 'აიბოლიტი 20' (შ.ბაირამოვი)	ქვემო ქართლი	მარნეული	ფმც/მმც
5	ინდემწარმე თამაზ ნიფარიშვილი	შიდა ქართლი	კასპი	ფმც/მმც
6	თერჯოლის ფერმერთა სახლი (რამაზ ცქიფურიშვილი)	იმერეთი	თერჯოლა	ფმც/მმც
7	შპს 'აგროქართლი' (გიორგი სიმონიშვილი)	შიდა ქართლი	გორი	ფმც/მმც
8	შპს 'აგროსფერო გურჯაანი' (იოსებ ძამანაშვილი)	კახეთი	გურჯაანი	ფმც/მმც
9	შპს 'ნობლექსი' (ალექსანდრე ედიბერიძე)	კახეთი	ყვარელი	ფმც
10	ინდემწარმე დიანა კახიძე	იმერეთი	წყალტუბო	ფმც
11	ინდემწარმე 'თამარი' (ნინო რატიანი)	სამეგრელო - ზემო სვანეთი	მესტია	ფმც
12	საქონლის ბაზარი (პავლე გელაშვილი)	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ფმც
13	შპს 'ნექტარი'	იმერეთი	ჭიათურა	ფმც
14	შპს 'აგროშარმი'			ფმც
15	ინდემწარმე გია კორძაძე	ქვემო ქართლი	გარდაბანი	ფმც/მმც
16	ინდემწარმე გიორგი მინდიაშვილი	კახეთი	საგარეჯო	ფმც
17	ინდემწარმე მამუკა წიქორიძე	იმერეთი	წყალტუბო	ფმც
18	შპს 'ალვა'	იმერეთი	საჩხერე	ფმც
19	ინდემწარმე ლაშა გიორგაძე	გურია	ჩოხატაური	ფმც
20	ინდემწარმე კახი მესაბლიშვილი	კახეთი	თელავი	ფმც/მმც
21	შპს 'ფერმერის სახლი'	აჭარა	ხელვაჩაური	ფმც
22	ინდემწარმე ზურაბ ქართველიშვილი	იმერეთი	ვანი	ფმც
23	შპს 'გვაზა'	სამეგრელო - ზემო სვანეთი	სენაკი	ფმც
24	ინდემწარმე ბექან გონაშვილი	კახეთი	დედოფლის-წყარო	ფმც
25	შპს 'აგროსერვისი ქარელი'	შიდა ქართლი	ქარელი	ფმც
26	შპს 'ფერმერის სახლი'	სამეგრელო - ზემო სვანეთი	ხოზი	ფმც
27	ინდემწარმე ავთანდილ გუნცაძე	იმერეთი	ზესტაფონი	ფმც
28	შპს 'სასოფლო საკონსულტაციო სამსახური'	სამცხე-ჯავახეთი	ასპინძა	ფმც
29	შპს 'სოფლქიმია'	კახეთი	გურჯაანი	ფმც

30	ინდემწარმე ნატო გიორგაძე	გურია	ლანჩხუთი	ფმც
31	ინდემწარმე აგასი ეზოიანი	სამცხე-ჯავახეთი	ახლქალაქი	ფმც
32	შპს 'აგროტექნოცენტრი'	სამცხე-ჯავახეთი	ადიგენი	ფმც
33	ინდემწარმე ნუგზარ კილაძე	შიდა ქართლი	ხაშური	ფმც

USAID/CNFA/AMP პროექტი


N	სახელი	რეგიონი	რაიონი	ტიპი
1	შპს 'ალავერდი'	ქვემო ქართლი	მარნეული	მმც
2	ინდემწარმე გონაშვილი	კახეთი	დედოფლის-წყარო	მმც
3	შპს „ლაბა +“	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	მმც
4	ინდემწარმე ნახუცრიშვილი	შიდა ქართლი	ქარელი	მმც
5	შპს „მამული 96“	ქვემო ქართლი	გარდაბანი	მმც
6	ინდემწარმე პეტრიაშვილი	ქვემო ქართლი	თეთრიწყარო	მმც
7	შპს „დორანი“	კახეთი	ახმეტა	მმც
8	შპს „DVPlus“	ქვემო ქართლი	ბოლნისი	მმც
9	ინდემწარმე თვალაშვილი	შიდა ქართლი	გორი	მმც
10	შპს „ჯეონატ“	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სენაკი	მმც
11	შპს „აგრონომინალი“	კახეთი	სიღნაღი	მმც
12	შპს „ალვა“	იმერეთი	საჩხერე	მმც
13	ინდემწარმე ლონდარიძე	სამცხე-ჯავახეთი	ასპინძა	მმც
14	ინდემწარმე აროშიძე	კახეთი	გურჯაანი	მმც
15	ინდემწარმე ლურსმანაშვილი	იმერეთი	ზესტაფონი	მმც
16	ინდემწარმე მიქიაშვილი	რაჭა-ლეჩხუმი	ამბროლაური	მმც
17	ინდემწარმე გამყრელიძე	გურია	ოზურგეთი	მმც
18	შპს „დავითი“	კახეთი	ლაგოდეხი	მმც
19	ინდემწარმე ხარაძე	ქვემო ქართლი	გარდაბანი	მმც
20	შპს „რუკა“	სამეგრელო-ზემო სვანეთი	ხობი	მმც
21	შპს „ენერჯია 777“	სამცხე-ჯავახეთი	ახალქალაქი	

საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია GAC

N	სახელწოდება	რეგიონი	რაიონი	ტიპი
1	შპს მექანიზატორი	თბილისი	თბილისი	ფმც/მმც
2	შპს მექანიზატორი	ქვემო ქართლი	მარნეული	ფმც/მმც
3	შპს მექანიზატორი	ქვემო ქართლი	ბოლნისი	ფმც/მმც
4	შპს მექანიზატორი	შიდა ქართლი	კასპი	ფმც/მმც
5	შპს მექანიზატორი	შიდა ქართლი	ქარელი	ფმც/მმც
6	შპს მექანიზატორი	სამცხე-ჯავახეთი	ახალციხე	ფმც/მმც
7	შპს მექანიზატორი	კახეთი	გურჯაანი	ფმც/მმც
8	შპს მექანიზატორი	კახეთი	დედოფლის-წყარო	ფმც/მმც

9	შპს მექანიზატორი	იმერეთი	ზეესტაფონი	ფმც/მმც
10	შპს მექანიზატორი	იმერეთი	სამტრედია	ფმც/მმც
11	შპს მექანიზატორი	სამეგრელო	აბაშა	ფმც/მმც
12	შპს მექანიზატორი	რაჭა/ლეჩხუმი	ამბროლაური	ფმც/მმც
13	შპს მექანიზატორი	გურია	ოზურგეთი	ფმც/მმც

დანართი 2: სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ორგანიზაციული სქემა



დანართი 3: სემინარი, 2012 წლის 18 ოქტომბერი

9.00 მონაწილეთა რეგისტრაცია, საკონფერენციო დარბაზი, სასტუმრო 'ბეტსი', თბილისი, საქართველო

09.30 გახსნა: ბ-ნი *რაიმუნდ იელუ*, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ალტერნატიული წარმომადგენელი საქართველოში; ბ-ნი *ხუან ეჩანოვი*, ევროკავშირის ENPARD-ის საკონტაქტო პირი ევროკავშირის დელეგაციაში საქართველოში.

10.00 განმარტება სემინარის შესახებ, კონცეფცია და სტრატეგია, ბ-ნი *რაიმუნდ იელუ*,

10.30 კვლევის პრეზენტაცია, „საქართველოში სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების შეფასება“

-ქვეყნის მოხსენება, ბ-ნი *ზურაბ ჩეკურიშვილი*, *FAO ეროვნული კონსულტანტი*.

-*სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების პრიორიტეტები, ხარვეზები და სამიზნეები*, ბ-ნი *მარკ ლე სელერი*, *FAO საერთაშორისო კონსულტანტი*.

11.30 ყავის შესვენება

12.00 ჯგუფური განხილვა, მოდერატორი ბ-ნი *დრაგან ანგელოვსკი*, *FAO საერთაშორისო კონსულტანტი*.

12.30 შემაჯამებელი დასკვნები/რეკომენდაციები და მიღებული გაკვეთილები, სახელმძღვანელო პრინციპების წარდგენა მომავალი ინტერვენციებისთვის. ბ-ნი *დრაგან ანგელოვსკი*, *FAO საერთაშორისო კონსულტანტი*.

13.00 სემინარის დახურვა. Closing of the workshop. ბ-ნი *რაიმუნდ იელუ*, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ალტერნატიული წარმომადგენელი საქართველოში; ბ-ნი *ხუან ეჩანოვი*, ევროკავშირის ENPARD-ის საკონტაქტო პირი ევროკავშირის დელეგაციაში საქართველოში

სემინარის ანგარიში

1. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკასთან

დაკავშირებული დოკუმენტები

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოს პოლიტიკაში სოფლის მეურნეობის სექტორს უმნიშვნელო ადგილი ეკავა. სოფლის მეურნეობა განვითარების პრიორიტეტი 2010-2011 წწ გახდა, რაც გამოიწვია მარცვლეულის ექსპორტის შემცირებამ ტრადიციული მიმწოდებელი ქვეყნებიდან და სურსათის ფასების ზრდამ 2010 წელს.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში მთავრობა შეიცვალა. ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად მოსალოდნელია ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პოლიტიკის სახეცვლილებაც. ამ მოხსენების დაწერის

მომენტისთვის ახალი მინისტრები დაინიშნა, თუმცა, ახალი პოლიტიკის ერთადერთი სახელმძღვანელო დოკუმენტი მმართველო კოალიციის პროგრამაა.

✓ ეროვნული დონე

საქართველოს სოფლის მეურნეობის სტრატეგიული პოლიტიკა სოფლის მეურნეობის სექტორის სტრატეგიას ეფუძნება, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა. სტრატეგია მოიცავს პერიოდს 2012 წლიდან 2022 წლამდე. სტრატეგიის განხორციელების მიზნით, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ევროკავშირთან, სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად 3-4 წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება დაიწყო.

სოფლის მეურნეობის სტრატეგიის ძირითადი ამოცანაა სოფლის მეურნეობის განვითარება, მცირე შინამეურნეობების გაძლიერებისა და მომგებიანი წარმოების ქსელის ფორმირების მეშვეობით. დოკუმენტში საკმაოდ ფართოდაა ასახული სოფლის მეურნეობის სექტორის პრიორიტეტები, თუმცა, მასში ვერ მოხერხდა სტატისტიკის სიტუაციაში მყოფი სასოფლო სექტორის პრობლემების განხილვა.

2011 წელს მთავრობამ ჩამოაყალიბა სოფლის მეურნეობის პოლიტიკის კომისია, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო ხელმძღვანელობს, შესაბამის დარგობრივ სამინისტროებთან/სააგენტოებთან ერთად, რეგიონული განვითარების სამინისტროსა და გარემოს დაცვის სამინისტროს ჩათვლით. მოსალოდნელია, რომ ეს კომისია მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სექტორის სტრატეგიის განხორციელებაში.

შეინიშნება, რომ სოფლის მეურნეობის სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა (რომელიც მომზადების ბოლო ფაზაშია) კიდევ უფრო გაღრმავდება და გაუმჯობესდება, რადგან მასში არც ერთი დებულება არ ეხება სასოფლო განვითარებას. სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული დამატებითი სტრატეგიები „ათპუქნტიან გეგმაშია“ მოცემული, რომელიც მიზნად ისახავს უფრო მეტი და უფრო მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილების შექმნას და მოქალაქეთა სოციალური სტატუსის გაუმჯობესებას.

სტიმულები გათვალისწინებულია ინვესტორებისთვისაც, „სოფლად 100 ახალი საწარმოს“ ინიციატივის ფარგლებში, სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების (მთელი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობების 75%) შესასყიდად საბაზრო ფასის 20%-ად, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროექტებისთვის; 0% გადასახადი პირველადი გადამამუშავებისთვის; და ინვესტიციაზე ძირითადი კაპიტალის 100%-იანი ამორტიზაციით. 2011 წელს რეგიონული განვითარების სამინისტრომ პრემიერ მინისტრის მიერ მიღებული სტრატეგიისთვის რამდენიმე თემა შეიმუშავა, რომლებიც სოფლის ინფრასტრუქტურასთანაა დაკავშირებული, კერძოდ, ელექტრომომარაგება, გაზი და სასმელი წყალი.

ყველა დაინტერესებული სუბიექტი აღიარებს, რომ არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც დაარეგულირებს სოფლად არასასოფლო-სამეურნეო აქტივობებიდან მიღებულ შემოსავლებს; ასევე არ არსებობს კანონმდებლობა სოფლის განვითარების შესახებ. ნებისმიერი კანონში გათვალისწინებული უნდა იქნეს გეოგრაფიული რეგიონი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მთიან რაიონებს, რადგან მათთვის არ არსებობს სახელმწიფო პროგრამა, ხოლო მხოლოდ სოფლის მეურნეობა მდგრადობის უზრუნველსაყოფად საკმარისი არ არის. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად აუცილებელია მდგრადობის განვითარება. ყველა აქტივობას წინ უნდა უძღოდეს პილოტური პროექტები. ერთ-ერთ მეთოდად შეიძლება გამოყენებული იქნეს ნაკლებად ხელსაყრელი ადგილებისთვის მეტი მხარდაჭერის უზრუნველყოფა სპეციალური პროგრამების მეშვეობით. არსებობს კანონი, რომელიც განსაზღვრავს მთიან რეგიონებს, თუმცა კრიტერიუმები მოდიფიცირებას მოითხოვს.

ყველა დაინტერესებულ სუბიექტს მიაჩნია, რომ სოფლის განვითარება უფრო დივერსიფიცირებული უნდა იყოს. სოფლის განვითარებას სჭირდება ინდიკატორების შემუშავება, როგორცაა, სოფლის მოსახლეობის შემოსავალი და სიღარიბის დონე, და არა მხოლოდ პროდუქციაზე ორიენტირებული ინდიკატორები. მთავრობამ უნდა ჩამოაყალიბოს მისი მოლოდინები და ხედვა სოფლის განვითარების მიმართ. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარება ცენტრალური ხელისუფლების ეგიდით უნდა მოხდეს, რადგან ეს სექტორები განუყოფელია. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო სეზონი მთიან რეგიონში ხანმოკლეა და ადამიანებს სჭირდებათ სხვა შემოსავლები არასასოფლო-სამეურნეო სექტორიდან, რომლებიც სოფლის მეურნეობის პარალელურად განვითარდება. მხოლოდ ასეთი განვითარებით შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს სოფელში მოსახლეობის შენარჩუნება.

სოფლის განვითარება ხშირად დამოკიდებულია გარკვეულ წინაპირობებზე, მაგალითად, ინფრასტრუქტურაზე, რომელიც არასასოფლო-სამეურნეო აქტივობებისთვისაა საჭირო. ამას შესაძლოა დიდი ინვესტიციები დასჭირდეს. ასეთ შემთხვევაში საჭირო იქნება პრიორიტეტების გამოკვეთა პრიორიტეტებიდან.

✓ რეგიონული/ადგილობრივი დონე

პროცესს უძღვება რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ხოლო რეგიონული განვითარების სტრატეგიის მიზნებისთვის რამდენიმე რეგიონმა უკვე მიიღო თავიანთი განვითარების სტრატეგიები. ყველა რეგიონს კანონით მოეთხოვება განვითარების დოკუმენტების ქონა. ზოგადად, სოფლის განვითარება და სოფლის მეურნეობა ამ დოკუმენტებში არასათანადოდაა ასახული. დღეისათვის რეგიონული განვითარების დოკუმენტების შემუშავებაში დონორების მიერ დაფინანსებული პროექტებია ჩართული.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსგან სოფლის განვითარების ფონდიდან დახმარების მიღების მიზნით მრავალმა

მუნიციპალიტეტმა ადგილობრივი განვითარების გეგმები შეიმუშავა. ამ საკითხზე დონორების მიერ დაფინანსებული რამდენიმე პროექტაცაა ორიენტირებული, რომლებიც ადგილობრივი განვითარების დოკუმენტების შექმნაში უწევენ დახმარებას. მრავალი ასეთი დოკუმენტი პროექტების მიზნებისთვის მომზადდა და ისინი ადგილობრივ ხელისუფლებას არ დაუმტკიცებია.

საჭიროა პოლიტიკის განმტკიცება, რომელიც ფოკუსირებული იქნება ადგილობრივი ხელისუფლების ჩართვაზე და ადგილობრივ დონეზე ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე. ვინაიდან ადგილობრივ დონეზე პოლიტიკის განვითარებისა და განხორციელებისთვის შეზღუდული შესაძლებლობები არსებობს, ამ ამოცანის შესასრულებლად ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფაა საჭირო. ადგილობრივი ხელისუფლება (არჩეული და დანიშნული) ზოგადად პოზიტიურადაა განწყობილი საკითხის მიმართ და ჩართული არიან დონორთა პროექტებით შემოთავაზებულ ინიციატივებში.

2. სოფლის განვითარების მხარდაჭერის პროგრამები

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სექტორში დახმარების რაიმე გრძელვადიანი პროგრამა არ განუხორციელებია, გარდა მცირე ოდენობით ინვესტიციების დარიგებისა (საწვავის ფიქსირებული რაოდენობა/20 ლიტრი თითოეულ შინამეურნეობაზე და ერთი ტომარა სასუქი).

მთავრობამ შექმნა სახელმწიფო კომერციული სტრუქტურები (მექანიზატორი და საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია, და სხვ.), რომლებიც მომსახურებას სთავაზობენ ფერმერებს და არაპირდაპირი გზით კონკურენციას უწევენ კერძო სექტორს მომსახურებისა და ინვესტიციების მიწოდებაში.

მთავრობა რეგულარულად აღნიშნავდა, რომ უნდა მომხდარიყო მომსახურების ცენტრების პრივატიზება. მრავალი დაინტერესებული სუბიექტი ასეთ მიდგომას კერძო სექტორისთვის საზინოდ მიიჩნევდა. მოსალოდნელია, რომ ახალი მთავრობა გადააფასებს ამ სტრუქტურების როლს, რასაც ტრანსფორმაციის პროცესი მოჰყვება.

ყველა დაინტერესებულ მხარეს მიაჩნია, რომ უნდა განვითარდეს ინსტრუმენტი განხორციელებული აქტივობებისა და მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სჭირდება თავისი ინსტიტუციური მეხსიერების განმტკიცება, რათა მოახდინოს საუკეთესო გამოცდილების იდენტიფიცირება და შეფასება, მისი ფართოდ დანერგვის მიზნით. მეორე მხრივ, სოფლის მეურნეობის სექტორმა უნდა შეიმუშაოს SWOT ანალიზი, რაც საჭიროა სხვადასხვა სფეროებში დახმარების ღონისძიებათა დასაბუთებისთვის.

3. დაინტერესებულ სუბიექტთა მონაწილეობა პოლიტიკის დოკუმენტებისა და დახმარების პროგრამების მომზადებაში

2012 წლის თებერვალში საქართველოს მთავრობამ დაასრულა სოფლის მეურნეობის სექტორის სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა სხვა დარგობრივ სააგენტოებთან კონსულტაციებით. სტრატეგია განიხილეს პრემიერ მინისტრის ოფისში. სტრატეგიაზე კომენტარების გაკეთება

სთხოვეს დონორებს, თუმცა ძალიან ცოტა რეკომენდაცია იქნა მიღებული. სოფლის მეურნეობის სექტორის სტრატეგიის მომზადებაში ადგილობრივი ხელისუფლება არ მონაწილეობდა. გადაწყვეტილების მიღების ან პოლიტიკის შემქნის პროცესში ჩართული არ იყო ფერმერული ორგანიზაციები. ეს ის პრიორიტეტია, რომელსა ყურადღება სჭირდება.

ფერმერული ორგანიზაციების სექტორი დანაწევრებული და სუსტია. მათ დახმარებას უწევენ უცხოური პროექტები. მცირე ფერმერთა უმრავლესობა, 95%, არ არის ორგანიზებული ან რაიმე ფორმით წარმოდგენილი. ფერმერულ ორგანიზაციებს ხელს უშლის საგადასახადო და შიდა მოწყობის შემზღუდავი პოლიტიკა. ფერმერულ ორგანიზაციებს სჭირდებათ სპეციალური კანონმდებლობა, რათა მოხდეს მათი აღიარება პარტნიორებად განვითარების პროცესში. ბოლო წელს მთავრობამ ხელი შეუწყო ახალი კანონმდებლობის მომზადებას ფერმერული ორგანიზაციების შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ ფერმერებს არა აქვთ რთული ორგანიზაციული სტრუქტურების მართვისთვის საჭირო სათანადო შესაძლებლობები, ახალი კანონმდებლობა ამარტივებს მოთხოვნებს და მათ უფრო ნათლად აყალიბებს, რათა ადვილად გასაგები იქნეს ამ სტრუქტურების წევრებისთვის. მოსალოდნელია, რომ ახალ საკანონმდებლო ჩარჩოს მალე მიიღებს ახალი მთავრობა. დამაბრკოლებელ ფაქტორადაა მიჩნეული საგადასახადო პოლიტიკა და მას ახალი მთავრობის მხრიდან ყურადღების მიქცევა სჭირდება.

4. პოლიტიკის დოკუმენტებისა და პროგრამების მომზადებისას გამოყენებული სტატისტიკა

სოფლის მეურნეობის საერთო აღწერა ბოლოს 2005 წელს ჩატარდა, ჯეოსტატის მიერ, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის დახმარებით. სტატისტიკას აწარმოებს და ყოველწლიურად აქვეყნებს ჯეოსტატი.

5. ინდიკატორები და სამიზნეები პოლიტიკის დოკუმენტებში და დახმარების პროგრამებში

სოფლის მეურნეობის სტრატეგიაში ინდიკატორები და სამიზნეები დაფიქსირებული არ არის, გარდა ზოგადი ამოცანებისა. მონიტორინგის მოთხოვნა სამოქმედო გეგმაშია მითითებული, რომელიც მალე დასრულდება.

6. სხვა სამინისტროებისა და დაინტერესებული სუბიექტების მიერ განხორციელებულ პროგრამათა სინერგია

სხვადასხვა სამინისტროთა თანამშრომლობის შედეგად მთავრობაში აკუმულირებული სინერგია მიუთითებს, რომ სამინისტროებს აქვთ ინფორმაცია სხვადასხვა სამთავრობო პროგრამების შესახებ. თუმცა, არ არსებობს რაიმე კონკრეტული მექანიზმი ყველა სამინისტროს შორის კოორდინაციის უზრუნველსაყოფად, გარდა პრემიერ მინისტრისა. დახმარების ღონისძიებებისა და პოლიტიკის დოკუმენტებს შემდგომ განიხილავს პრემიერ მინისტრის ოფისი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მათი შესაბამისობა ეროვნულ პრიორიტეტებთან. თუმცა, საჭიროა თანამშრომლობის პლატფორმის გაუმჯობესება.

7. ინვესტიციების ხელშემწყობი მექანიზმები და კრედიტებზე მისაწვდომობა

სოფლის მოახლეობისა და დევნილთა ჯგუფებისთვის დახმარების მიზნით დონორების მიერ დაფინანსებული რამდენიმე პროექტისა და სოფლის განვითარების ფონდიდან განხორციელებული ინვესტიციების გარდა, საქართველოს მთავრობას (განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს) ინვესტიციებზე დაფუძნებული რაიმე ინიციატივები არ განუხორციელებია.

საქართველოს ENPARD-ის და ახალი მთავრობის სამომავლო პოლიტიკის მიმართ ყველა დაინტერესებულ სუბიექტს მიაჩნია, რომ წინა პლანზე უნდა წამოიწიოს საინვესტიციო მხარდაჭერა. თუმცა სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს კრედიტებზე ხელმისაწვდომობის პრობლემას და ძალზე მაღალ საპროცენტო განაკვეთს.

სოფლის მოსახლეობისთვის კრედიტებზე მისაწვდომობის პრობლემა ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებად მიაჩნეული. მცირე და საარსებო საშუალებად გამოყენებული ფერმების მეკატრონეებისთვის საბანკო გარანტიების უზრუნველყოფა სერიოზული საკითხია. სოფლად აშკარად შეინიშნება ნაღდი ფულის დეფიციტი. აქედან გამომდინარე, საჭიროა გამარტივებული მიდგომების გამოყენება, რათა თავიდან იქნეს აცილებული საბანკო სისტემები და მაღალი ზედნადები ხარჯები. არახელსაყრელ ტერიტორიებზე საკრედიტო-ფინანსური დახმარებები ეკონომიკურად/აგრარულად ხელსაყრელ ტერიტორიებთან შედარებით უფრო ინტენსიური უნდა იყოს, და მათ მთავრობა და დონორები უნდა ახორციელებდნენ.

8. სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერის ინსტიტუციური მოწყობა

სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებაში დღეისათვის ჩართული არიან, ერთ მხრივ, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საჯარო საწარმოები, ხოლო მეორე მხრივ, ინფრასტრუქტურის სამინისტრო და სოფლის განვითარების ფონდი, ადგილობრივი ხელისუფლების მეშვეობით. ასეთი მიდგომა გაზრდის სოფლის მეურნეობის სამინისტროს როლსა და წარმოაჩენს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან დაკავშირებულ წინააღმდეგობებს. ეს სამინისტრო აღარ იარსებებს, როგორც კი დეცენტრალიზაცია ყურადღების ცენტრში მოექცევა და ინფრასტრუქტურა ეკონომიკის სამინისტროს ნაწილი გახდება.

ახალი მთავრობისთვის, რომელსაც სამომავლო რეფორმების განხორციელება მოუწევს, ყველაზე მნიშვნელოვანი დაბრკოლება შესაძლებლობათა ნაკლებობაა, ყველა დონეზე (სამინისტროების, რეგიონული და ადგილობრივი ორგანოების). ამიტომ, მეტი აქცენტი იქნება საჭირო ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებაზე და ინსტიტუციური მოწყობის დაფუძნებაზე, რაც აუცილებელია სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის განხორციელებისთვის.

ინსტიტუტებს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების პოლიტიკის მართვის, დაგეგმვის და მონიტორინგის დაბალი შესაძლებლობები აქვთ და ამიტომ ეს არის გაუმჯობესების ერთ-ერთი პრიორიტეტი და ENPARD-ის ტიპის მიდგომისა და სახელმწიფო დახმარების პროგრამების განხორციელების წინაპირობა.

რამდენიმე სამინისტრო - ეკონომიკის, რეგიონული, სოფლის მეურნეობის და გარემოს დაცვის - უნდა წარმოადგენდეს სოფლის განვითარების სამუშაო ჯგუფს ან მასზე ზედამხედველობის პლატფორმას. ყველა დაინტერესებული სუბიექტი მიიჩნევს, რომ სამთავრობო პროგრამები ადგილობრივ აქტივობებს უნდა დაეფუძნოს. არჩეული ადგილობრივი ორგანოები უფრო აქტიურად უნდა ჩაერთონ პრიორიტეტების განსაზღვრაში, ხოლო დანიშნულმა ხელისუფლებამ მონაწილეობა უნდა მიიღოს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების პროგრამების მენეჯმენტში. ადგილობრივი ხელისუფლების ჩართვა კონცენტრირებული უნდა იქნეს ადგილობრივი ინიციატივებისთვის სათანადო გარემოს შექმნაზე.

9. დასკვნები და რეკომენდაციები:

1. სოფლის განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტია; ვინაიდან სოფლის მეურნეობას და სასოფლო ტერიტორიებს მნიშვნელოვანი წილი უკავია ქვეყნის მოსახლეობაში, დასაქმებაში და მშპ-ში, ამ პრიორიტეტის შენარჩუნება სასურველია;
2. სათანადო პოლიტიკისა და ფონდების უქონლობის გამო სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარების მხარდაჭერას უმნიშვნელო ყულადღება ექცეოდა. გარდა ამისა, ფერმერთა ორგანიზაციების სტიმულირების ნაკლებობამ სოფლის მოსახლეობის/თვისდასაქმებული ფერმერების გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან გამორიცხვა გამოიწვია. აქედან გამომდინარე, სექტორის მხარდაჭერა უნდა მოიცავდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და მოდერნიზაციის ღონისძიებებს, ასევე, სოფლის განვითარებას.
3. საჭიროა მთავრობის პოლიტიკის გაუმჯობესება და ფინანსების უზრუნველყოფა სოფლის მეურნეობისა და სასოფლო განვითარებისთვის.
4. ახალი მთავრობა სოფლის მეურნეობის სექტორისაში დახმარების ფორმის რადიკალურ შეცვლას აპირებს. ამ სწრაფვის რეალიზებისთვის მას საგულისხმო დახმარება სჭირდება, რათა გაუმჯობესდეს ინსტიტუციური შესაძლებლობები და წინ აღუდგეს მოსალოდნელ გამოწვევებს. კონსტრუქციულ რეფორმებს ხელი უნდა შეუწყოს ყველა დაინტერესებულმა სუბიექტმა, რათა მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ყველა არსებული (ინსტიტუციური და პერსონალური) რესურსი.
5. განსაკუთრებით საყურადღებოა ტექნიკური დახმარების ელემენტი, რადგან იგი ხელს შეუწყობს ENPARD-ის ტიპის ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო კანონმდებლობისა და ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნას. ამის პარალელურად დონორებმა თავიანთი საქმიანობა ამ პოზიტიური განვითარების შესაბამისად უნდა წარმართონ.
6. ENPARD-ის ღონისძიებებისა და მიდგომების ტესტირება უნდა მოხდეს განმახორციელებელი სტრუქტურების მიერ, ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რაც ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების საშუალებაა. ეს ინსტიტუტებს საშუალებას

მისცემს უფრო აქტიური როლი შეასრულონ პროგრამის შემდეგი ციკლის განხორციელებაში.

7. საქართველოს მთავრობა ყოველთვის აღიარებდა, რომ რეგიონულ მიდგომებსა და ინიციატივებში ქვეყანა ცენტრალურ როლს ასრულებს.

